პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 38, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ფინეთი მოითხოვს ადგილს ერთა ლიგის საბჭოში
— რუმინეთი იმუქრება ერთა ლიგიდან გამოსვლით.
— მფრინავი შესტაკოვი გამოფრინდა ტოკიოდან.
— ბუქარესტის მბეჭდავების გაფიცვა გრძელდება.
— ფინეთის ს.-დ. საჭიროდ თვლიან შეთანხმებას საბჭ. კავშირთან.
— იაპონიის პროტესტი ანტი-იაპონურ მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთში.
— აჯანყების ლიკვიდაცია ლიტვაში.
— უცხოელების დაპატიმრება პარიზში.
— პოლიტ. პატიმრების შიმშილობა უნგრეთში.
— საფრანგეთ - ამერიკის მოლაპარაკება.
— მიწისძვრა უკრაინაში, ყირიმში და აფხაზეთში.

სამშაბათი, 13 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 207 (1952)

ოცი პროცენტით

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ უმაღლეს ორგანოების დადგენილების თანახმად, ადმინისტრატიულ-სამართველო აპარატის შესანახი ხარჯები ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისშივე 20 პროცენტით უნდა იქნეს შემცირებული 1926—27 წელთან შედარებით. 20 პროცენტი არის მხოლოდ მინიმუმი და, სადაც მოსახერხებელია, ხარჯების შემცირება, რა თქმა უნდა, უნდა გატარდეს ამაზე მეტად. ამის საშუალება ზოგან უეჭველად არის. როგორც საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ამას წინედ გამოქვეყნებული ცირკულიარული წერილი იუწყება, „ბევრ დაწესებულებებში ხარჯების შემცირება შესაძლებელია 40—45 პროცენტით და ხშირად მეტიც კი“.

აქ სიტყვის გაგრძელება არ დაგვჭირდება იმის გასამართავად, თუ რა მიზანი და მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას. ის უდიდესი და გადაუდებელი სამეურნეო - კულტურული აღმშენებლობა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, უნდა უზრუნველვყოთ ფინანსიური რესურსებით. ხარჯების ხსენებული 20 პროცენტიანი დაკლება დამატებითი წყაროს შექმნის აქ აღმშენებლობის წარმატებისა და გაფართოებისათვის. საშუალებათა გადიდება განსაკუთრებით აუცილებელია დღეს—საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით. იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ ეკონომიური ბლოკადა გამოგვიცხადონ და ჩვენს წინააღმდეგ ომისათვის ნიადაგი მოამზადონ. ასეთ პირობებში ჩვენ ერთი მხრით, უნდა გავაძლიეროთ სოციალისტურ სახელმწიფოს თავდაცვა, მეორე მხრივ უფრო ფართედ უნდა გავშალოთ მუშაობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან მისი სამეურნეო დამოკიდებულების მოსპობისათვის. საგარეო სესხების იმედი ჩვენ ნაკლები უნდა გვქონეს. აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად საჭირო თანხები უნდა გამოვნახოთ ქვეყნის შიგნით. მრავალ სხვა ზომებს შორის ამ მხრივ უკანასკნელ როლს არ ითამაშებს სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება, რაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით მოგვცემს ასეულ და ათასეულ მილიონის ეკონომიას.

რა ზომები უნდა მივიღოთ ამ დირექტივის გასატარებლად? ინსპექციის კომისარიატის უკვე ნახსენებ ცირკულიარში ჩამოთვლილია ეს ზომები.

ბევრი თქმულა და დაწერილა ჩვენი დაწესებულებების ანგარიშიანობის შესახებ, ანგარიშების ზღვა დღემდე ახრჩობს ცოცხალ საქმიანობას, ასაზრდოებს ბიუროკრატობას და მასებისაგან აშორებს აპარატს. მაგრამ ამ მოვლენის უბედურება მარტო ამაში როდია: ანგარიშიანობაზე სრულებით უსარგებლოდ იხარჯება მეტად მნიშვნელოვანი თანხები. მისი უკიდურესობამდე გამარტივება, წარმოადგენს რა აპარატის გაჯანსაღებას და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის ერთ უმთავრეს ზომას, ამავე დროს არის აპარატის გაიაფების, ხარჯების შემცირების რადიკალური საშუალება.

უდავოა, რომ ბევრს დაწესებულებებში შტატი ჯერ კიდევ აუცილებელზე მეტია, რაც აიხსნება იმით, რომ მუშაობის რაციონალიზაცია არ არის სასურველად ჩატარებული. შტატების შემცირება და ამავე დროს აპარატის მუშაობის გაუმჯობესება—ასეთია მეორე გზა მოცემულ დირექტივის შესასრულებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სათანადო დადგენილების თანახმად, შტატის შემცირების გამო, განთავისუფლებული თანამშრომელნი უზრუნველყოფილ იქნებიან 1—1 ნახ. თვის ხელფასით. ამასთან, უნდა მოხდეს მათი გადამზადება კვალიფიკაციის აწევის მიზნით, რათა შემცირებაში მოხვედრილი პირები ადვილად მოეწყონ სხვაგან. აგრეთვე მათ მიეცემათ სხვადასხვა უპირატესობანი და შეღავათები სამუშაოს გამოძებნის დროს. ასე, რომ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი.

ცნობილია, რომ ჩვენში სხვადასხვა ყრილობების და თათბირების მოწვევა მეტად გავრცელებულია. ხშირად ისინი აუცილებლობით არ არიან გამოწვეულნი. ყრილობების მუშაობაც არა იშვიათად ძალზე ჭიანურდება და მრავალი ხალხი ცდება თავის პირდაპირ საქმეს. ამ ყრილობების თუ თათბირების მოწვევა-შენახვაზე საგრძნობი საშუალება მიდის. ბოლო დროს სპეციალური დადგენილება იქნა გამოტანილი მათი მოწვევის წესის შესახებ. ყრილობების და თათბირების მუხლის განსაზღვრა, მათი მუშაობის გაჯანსაღება და მოკლე დროში ჩატარება არა მცირე ეკონომიას მოგვცემს.

არის კიდევ მრავალი გზები ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შესამცირებლად, როგორც მივლინებებისა, ტრანსპორტისა, დაწესებულებათა ბინებისა, საუწყებო გამომცემლობასა და სხვა ასეთებთან დაკავშირებული ხარჯების შემოკლება. თუ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა კარგად შეიგნეს ამ დარგში მდგარი ამოცანა და საჭირო ინიციატივა და უნარი გამოიჩინეს, დირექტივის განსახორციელებლად ფართე ასპარეზი იშლება.

საკონტროლო ორგანოები ფხიზელ თვალყურს ადევნებენ, თუ რამდენად გატარდება დავალება. ამავე დროს გადამჭრელი როლი ეკუთნება მასსების მონაწილეობას ამ საქმეში. მათი აქტივობა საწინდარი იქნება კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის.

როგორც ვსთქვით, მომავალ საბიუჯეტო წლიდან ყოველ პირობის გარეშე უნდა გატარდეს 20 პროცენტიანი დაკლება. დრო მეტად მცირეა დარჩენილი, რომ დაყოვნება შეიძლებოდეს. დირექტივა უნდა განხორციელდეს სასწრაფოდ. ამასთან ცხადია, ამ მიზნით მიღებულ ღონისძიებებს არ უნდა ექნეს მექანიკური ხასიათი, რომ დაწესებულებათა მუშაობა არ შეფერხდეს. პირიქით,—ამ ღონისძიებებს საფუძვლად აპარატის რაციონალიზაცია უნდა დაედვას.

დისკუსიის შესახებ ყრილობის წინ

პარტიული წესდების თანახმად, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა დაადგინა მე-15-ე ყრილობამდე ერთი თვით ადრე გაიხსნას დისკუსია ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო. ეს საკითხები—პარტიის ცენტრალურ დაწესებულებების და კომინტერნის აღმასკომის დელეგაციის ანგარიშები, სახალხო განათლების ხუთწლიური გეგმა და მუშაობა სოფლად.

ყრილობამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ამ საკითხების გარშემო ცეკა გამოაქვეყნებს თეზისებს, რომლებიც საფუძვლად დაედებიან დისკუსიას. შემდეგ გამოქვეყნდება კონტრ-თეზისები, თუ კი ვინმე, კერძოთ ოპოზიცია წარმოადგენს მათ.

როგორ ხასიათს უნდა ატარებდეს დისკუსია ყრილობის წინ, ნამდვილად როგორი დისკუსია სჭირდება და არგებს პარტიას?—პარტიას ესაჭიროება საქმიანი დისკუსია, რომლის დროსაც პარტიული მასები, პარტიის ადგილობრივი ქვედა ორგანიზაციების და წევრთა პრაქტიკული გამოცდილების თვალსაზრისით შემოწმებენ და შეაფასებენ ცეკას თეზისებს. როგორც ცეკას, ისე მე-15-ე ყრილობას დისკუსიამ უნდა მისცეს მთელი რიგი ახალი პრაქტიკული მითითებანი. წინადადებანი და მასალები დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო.

მაგრამ ოპოზიცია ცდილობს პარტიას სულ სხვანაირი დისკუსია მოახვიოს თავზე. მისი წარმომადგენლები თავისი გამოსვლებით როგორც პლენუმზე, ისე მის შემდეგ უჯრედებში ცდილობენ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ შემუშავებული სადისკუსიო გეგმის ჩაშლას და თავისი ფრაქციული სადისკუსიო გეგმის გატარებას.

ამ ფრაქციული გეგმის მიხედვით, დისკუსია უნდა გაიმართოს არა ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების, არამედ „საერთოდ“ „ყველა“ საკითხების გარშემო; ამასთან რასაკვირველია, სიტყვა „ყველა“-ში იგულისხმება ის საკითხები, რომლებშიაც ოპოზიცია არ ეთანხმება პარტიას. ერთი სიტყვით, მე-15-ე ყრილობის წინაშე მდგარ საქმიან პრაქტიკულ ამოცანების განხილვის მაგიერ, ოპოზიცია ცდილობს მოახვიოს პარტიას ოპოზიციური პლატფორმის განხილვა, პლატფორმის, რომელიც შეთითხნა მასებისაგან მოწყვეტილ, გაკოტრებულ „ყოფილ ბელადების“, ხოლო ეხლა კი ცენტრად დარჩენილ ინტელიგენტების ჯგუფმა. ცდილობს რა საქმიანი დისკუსიის ჩაშლას, ოპოზიცია ამით [illegible] ცეკას, რომ ის აყენებს საკითხს თავისი თავის შესახებ. „ყოფილ ბელადების დაბრუნების“ შესახებ პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე, ამტკიცებს, რომ ეს საკითხი მისთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე სოციალისტური აშენებლობის ყველა პრაქტიკული ამოცანები. თავის თავად ცხადია, რომ პარტია არ დაეთანხმება ასეთ თვალსაზრისს.

ოპოზიცია ცდილობს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, დააბრუნოს პარტია მის მიერ უკვე მრავალჯერ განხილულ და მრავალჯერ გადაწყვეტილ საკითხებისაკენ. ისეთ საკითხების შესახებ, როგორიცაა ფრაქციებისა და ჯგუფების დაუშვებლობა პარტიაში, სოციალიზმის აშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, მასლოვ-ფიშერის გამთიშველი ჯგუფის და სხვ.; ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გადაწყვეტილებები არა მარტო ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მრავალი პლენუმებისა, პარტკონფერენციებისა, არამედ პარტიის ყრილობებისაც, დაწყებული მე-10-ე ყრილობიდან 1921 წელში, და კომინტერნის გადაწყვეტილებები. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ოპოზიცია მაინც განაგრძობს დისკუსიას ამ საკითხების გარშემო, და ეხლაც, მე-15-ე ყრილობის წინ, ცდილობს ასეთივე დისკუსიის გაჩაღებას. მისთვის სრულიად არ არსებობს დისციპლინა. ასეთი საქციელი გაუგონარია ბოლშევიკურ პარტიაში, მსგავს მოვლენებს ჰქონდა ადგილი მხოლოდ ბოლშევიკებთან მენშევიკების ბრძოლის დროს. მიმართავს რა დისკუსიის წარმოების ასეთ მეთოდს, ოპოზიცია ამით ამტკიცებს, რომ ის თავის თავს სთვლის პარტიად პარტიაში, უცხო სხეულად საკ. კომ. პარტ. (ბ) შიგნით. ჩვენ აქ აღარ ვლაპარაკობთ ოპოზიციის შეხედულებათა ანტიპარტიულ ხასიათისა და პარტიაში ისეთი „თეზისების“ თავისუფალ „ქადაგობის“ დაუშვებლობაზე, როგორიც, მაგალითად, „თეზისი“ კლემანსოს ან და „ტერმიდორის“ შესახებ.

ფორმალურ - ორგანიზაციულ პოზიციაზედაც რო დავრჩეთ, აშკარაა, რომ ოპოზიცია მოითხოვს დისკუსიას, რომელშიაც ის შესძლებდა გამოსვლას სავსებით ლეგალური ფრაქციის სახით, რომელიც ყველა საკითხებში ეწინააღმდეგება პარტიას. უპირისპირებს მას თავისი ცალკე „პლატფორმას“, ჰყავს თავისი ლეგალური ფრაქციული შტაბი, აწვევს პარტკრებებს „თანამოაზრეებს“ და სხ. მარტო დაშვება ასეთი დისკუსიის ენიშნებოდა ოპოზიციისათვის მისი ცნობილ მოთხოვნილების დაკმაყოფილება—„ლენინისა და მეათე ყრილობის მიერ ჩვენს პარტიაში ფრაქციების აკრძალვის გაუქმების“ შესახებ.

მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანი თუ იფიქრებს, რომ ჩვენი პარტია დღეს, ყრილობის წინ, დაუშვებს ფრაქციების ასეთ თავისუფლებას. და მართლაც, ვის სჭირდება „ფართე დისკუსია“ „პლატფორმების გარშემო“, ვინ მოითხოვს მას? რომელიმე პარტიული ორგანიზაცია? ან და შეიძლება მნიშვნელოვანი უმცირესობა რომელიმე მსხვილ მუშურ ორგანიზაციაში, ან და ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში? არაფერი ამის მსგავსი. ოპოზიციას არავინ ჰყავს, გარდა თითო-ოროლა კაცისა, რომლებიც არ სარგებლობენ გავლენით პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ მასაში. არც ერთი არა მარტო რაიონული ან სამაზრო ორგანიზაცია, არამედ არც ერთი უჯრედიც კი არ უჭერს მას მხარს, არც ერთ უჯრედში არ ჰყავს მას სულ უმნიშვნელო უმცირესობაც კი.

ბოლშევიკური წესდების თვალსაზრისით პირდაპირ სასაცილოა ოპოზიციონერების მოთხოვნა, რომ პარტიამ ყრილობის წინ ლეგალობა მიანიჭოს მათ ფრაქციებს და ნება დართოს გამოვიდნენ ისე, როგორც ისინი მოისურვებენ. ასეთი მოთხოვნილების წამოყენება შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომლისთვისაც ლენინის პარტია არის უცხო პარტია, ხოლო ლენინის წესდება—„ბოლშევიკური ჩექმა“, რომელიც „ფეხს უჭერს“ და რომლის სრულებით გახდაზე უკვე უარს არ იტყვიან.

ემზადებიან რა ახალი გალაშქრებისათვის პარტიის წინააღმდეგ, ოპოზიციონური „გალბრუკები“ პირდაპირ ატაცებული არიან მოუთმენლობის ქინით და ცდილობენ ცეკას მიერ დაწესებულ სადისკუსიო ვადის ჩაშლას და დისკუსიის დაწყება დაუყოვნებლივ. მათი აზრით, პარტიას ისე ცოტა (!) უკამათნია უკანასკნელ წლებში, რომ მისთვის არაფრად ღირს, „მიმდინარე საქმეების“ გადადება და სადისკუსიო კრებებზე დასწრება ოპოზიციურ ბულბულების ახალი არიების მოსასმენად. ოპოზიციისათვის არ არსებობს პრაქტიკული მუშაობა, რომელიც არ იცდის, რომელიც პარტიას არ აძლევს ნებას ზედმეტი ძალა და დრო დახარჯოს დისკუსიაზე. არ არსებობს იმიტომ, რომ ოპოზიცია არ ცხოვრობს პარტიის სიცოცხლით; ოპოზიცია, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა კრუპსკაიამ, ცხოვრობს, განცალკევებულ, მის მიერვე ხელოვნურად შექმნილ მსოფლიოში. პარტიას საკმაოდ მოაბეზრეს თავი ოპოზიციის ფრაქციულმა გამოსვლებმა, პარტიამ იცის, თუ ეს გამოსვლები ვის და რას უქადიან. ყველამ იცით, თუ როგორ ელიან ამას და ვერ ელირსენ ჩვენი მტრები. მარტო ერთი დაურიდებელი ლაპარაკი ლენინის პარტიასთან, ლაპარაკი, რომელიც შეითვისეს ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი „ტერმიდორიანობის“ და „კულაკური გადაგვარების“ თეორიის ავტორებმა, უსაზღვრო სიხარულს ჰგვრის პროლეტარიატის მტრებს. აი სწორედ ამიტომ პარტია არავითარ შემთხვევაში არ დაიავადმყოფებს თავს „სადისკუსიო ციებ-ცხელებით“. პარტია თავის მხრივ მიიღებს ყველა ზომებს იმისათვის, რომ ოპოზიცია გააჩეროს საქმიან და არა ფრაქციულ დისკუსიის ფარგლებში.

ხოლო თუ პარტია ვერ მოახერხებს ამას, თუ ოპოზიციის ლიდერები მიაფურთხებენ თავის 8 აგვისტოს შემარიგებელ განცხადებას, ისევე, როგორც მიაფურთხეს შარშანდელ 16 ოქტომბრის განცხადებას,—მაშინ მთელი დანაშაული და პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ. მაშინ უკვე გვიან იქნება პატიების თხოვნა პარტიისაგან, როგორც ეს მათ მოიმოქმედეს უკვე ორჯერ და აღუთქვეს პარტიას ფრაქციული მუშაობის შეწყვეტა. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე პარტიამ სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა, პარტიამ უკანასკნელად გააფრთხილა ოპოზიცია. ადგილობრივ პარტორგანიზაციების ურიცხვი რეზოლიუციები ერთხმად ამოწმებენ პარტიის ამ გადაწყვეტილებას.

პარტიას აქვს მოთმინების საზღვარი. ბოლშევიკები აღარ მოითმენენ თავის პარტიაში მოტყუებას, პირფერობას, ურჩობას, ინტელიგენტურ თავაშვებულობას და ბატონურ ანარქიზმს. ჭეშმარიტად გადაგვარებული „ტერმიდორიანელები“ ჩვენს პარტიაში, თავმოყრილნი ტროცკისტული ოპოზიციის გარშემო, სადაც არც ერთი ფრთა არ გამოეთიშა პირწავარდნილ ოპორტიუნისტ-საპროტნოველებს, არც რენეგატ მასლოვებს,—ან ქედს მოიხრიან პარტიის ნების წინ და დაჰყრიან თავის გამთიშველ ფრაქციულ იარაღს, ან და პარტია გადააბიჯებს მათ და მტკიცედ წავა სოციალიზმისაკენ ლენინის მიერ ვაკვალული გზით.

„პრავდა“, 12 სექტემბერი.

ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ერთა ლიგის სესიაზე

პოლონეთის პროექტი საყოვ. საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ კომისიას გადაეცა

ჩემბერლენი იძულებული იყო თავი შეეკავებია ანტი-საბჭოთა გამოსვლებისგან ლიგის სესიაზე

სპარსეთის პრესა ესალმება საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებას

ერთა ლიგის სესიაზე

სამანდატო ტერიტორიების განაწილება

ჟენევა, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭომ 9 სექტემბრის დილის სხდომაზე ცნობად მიიღო ლიგის სამანდატო კომისიის მოლაპარაკება სირიასა, პალესტინასა და სხვა ტერიტორიებზე მანდატების გავრცელების საკითხის გარშემო. სამანდატო კომისიის მომხსენებელმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „სირიის ადგილობრივ მცხოვრებთა აჯანყება საბოლოოდ ჩაქრობილია“. პოლონეთის სამხედრო გემების ყოფნის შესახებ დანციგის ნავთსადგურში, საბჭომ დაადგინა, რომ პოლონეთი და დანციგის ოლქი უნდა შეეცადონ ამ საკითხის მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით. თუ 15 სექტემბრამდე ეს მოლაპარაკება არ გამოიღებს დადებით შედეგებს, მაშინ ეს საკითხი განსახილველად გადეცემა ერთა ლიგის სამხედრო-საზღვაო ქვე-კომისიას. ფინეთის წინადადების განხილვის დროს „ფინანსიური დახმარების შესახებ იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც თავს დაესხნენ“, ბენეშმა შეიტანა წინადადება, რათა მოხსენება გადაეცეს ფინანსიურ კომისიას, ხოლო ცალკე სახელმწიფოთა მოსაზრებები ამ საკითხზე განსახილველად გადაეცეს ერთა ლიგის პლენუმს. ლიგის საბჭომ ერთხმად მიიღო ბენეშის წინადადება. (ადს).

შტრეზემანის გამოსვლა

ჟენევა, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის 9 სექტემბრის საღამოს სხდომაზე **შტრეზემანის** გამოსვლით და იწყო კამათი ყველა ძირითად საკითხების გარშემო. შტრეზემანმა ილაპარაკა საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის, განიარაღების საკითხის და უშიშროების საკითხის შესახებ. შტრეზემანმა აღნიშნა, რომ უშიშროების საკითხის გადაწყვეტა გაცილებით უფრო მეტ უთანხმოებას იწვევს ცალკე სახელმწიფოებს შორის, ვიდრე ყველა დანარჩენი საკითხები.

„მაგრამ, მიუხედავად ამისა, — სთქვა შტრეზემანმა, — **ომი მაინც არ წარმოადგენს კაცობრიობის უკეთესი მომავლის მომზადების საშუალებას. გერმანია, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირია უშიშროება თავის ხალხისათვის, მზად არის გამოვიდეს მოწინავე მებრძოლად ერთა ლიგის იმ ცდების განხორციელებისათვის, რომელიც საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ არიან მიმართულნი,** საკვირველია, როდესაც გამოსთქვამენ აზრს, რომ თითქოს ლოკარნოს ხელშეკრულება შეეხება ხალხის მხოლოდ ერთ ჯგუფს და არა ლიგის ყველა მონაწილეებს. ლოკარნოში დადებულ ხელშეკრულებათა გავლენა ვრცელდება როგორც დასავლეთზე, ისე აღმოსავლეთზედაც. ლოკარნოს ხელშეკრულებები წარმოადგენენ ომისაგან თავის დაღწევის ნამდვილ საშუალებას და ამასთან ერთად უზრუნველყოფენ ერთა ურთიერთგაგებას“.

თავის სიტყვის ბოლო ნაწილში შტრეზემანი მოითხოვდა საყოველთაო განიარაღებას. შტრეზემანის სიტყვა წარმოადგენდა ერთგვარ საპროგრამო სიტყვას, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა მიისწრაფვის თანამშრომლობისაკენ ერთა ლიგასთან, გმობს ოპოზიციის როლს ერთა ლიგაში და ფიქრობს გერმანიის ინტერესების დაცვას ლიგის ფარგლებში. შტრეზემანის პოზიციის მიხედვით, გერმანიის დელეგაცია არ იჩენს ლიგაში უკმაყოფილო პატარა სახელმწიფოების სათავეში ჩადგომის სურვილს და ერევა დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიურ თამაშში.

შტრეზემანის განცხადება, სადაც ის მოითხოვს რეზოლიუციის გამოტანას თავდასხმითი ომის წინააღმდეგ, მოწმობს იმას, რომ ინგლისმა და გერმანიამ უარყვეს პოლონეთის წინადადება.

პოლონეთის დელეგატის სოკალის გამოსვლა, რომელმაც გამოაქვეყნა პოლონეთის წინადადებაში შეტანილი შესწორებები, **ამტკიცებს, რომ პოლონეთი და ჟენევით აღარ მოითხოვს საყოველთაო ხელშეკრულების დადებას ურთიერთ თავდაუსხმელობის საკითხზე.**

შესწორების შინაარსის მიხედვით, პოლონეთს უნდა, რათა ლიგის პლენუმმა ამ საკითხზე გამოტანილ რეზოლიუციაში განაცხადოს, რომ ლიგაში შემავალი სახელმწიფოები მოვალენი არიან დაემორჩილონ თავდასხმითი ომის წარმოების აკრძალვისა და მშვიდობიანი გზით ყველა სადაო საკითხების გადაჭრის პრინციპს.

სოკალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლონეთის მისწრაფებაა, რათა მშვიდობიანობის სურვილი განხორციელებულ იქნას აგრეთვე პოლონეთის ურთიერთობაშიც იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ შედიან ერთა ლიგაში. ამიტომ პოლონეთი აწარმოებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების გარშემო. (ადს).

ბრიანის გამოსვლა

პარიზი, 11 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმზე წარმოთქმულ თავის სიტყვის ბოლო ნაწილში ბრიანმა განაცხადა:

„**ერთა ლიგაში შემავალი ყველა სახელმწიფოებმა გულწრფელად უნდა შეზღუდონ შემდეგი შეიარაღება.** შეიძლება ზოგიერთი, გადაჭარბებული იმედები ამ დარგში გაცრუვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთა ლიგამ ხელახლა უნდა მოკიდოს ხელი ამ საკითხის განხილვას“.

სამთა კონფერენციის ჩაშლის შესახებ ბრიანმა განაცხადა, რომ მხოლოდ ერთა ლიგისა და ყველა ქვეყნების საერთო ღონისძიებით შესაძლებელია საზღვაო შეიარაღების შეზღუდვა. „ერთა ლიგის ყოველი წევრი, — სთქვა დასასრულ ბრიანმა, — უნდა გრძნობდეს თავს ერთი ოჯახის, საყოველთაო კეთილდღეობის სურვილით გამსჭვალულ ოჯახის წევრად და სცდილობდეს მშვიდობიანობის დაცვას და მის განმტკიცებას არბიტრაჟის გზით“.

პოლონეთ - საფრანგეთის პროექტი ჩაფლავდა

ჟენევა, 11 სექტემბერი. საფრანგეთ - პოლონეთის „ინიციატივას ერთა ლიგის პლენუმზე დამარცხულად სთვლიან. პოლონეთის წინადადების ბედი, რომელსაც გაიზიარებს აგრეთვე ჰოლანდიის დელეგაციის პროექტიც, მოწმობს, რომ ჩემბერლენის ნება - სურვილები ჟენევაში გადამჭრელ ფაქტორს წარმოადგენს.

რაც შეეხება განწყობილებას, უნდა ითქვას, რომ საფრანგეთ - პოლონეთის ინიციატივას თანაგრძნობით შეხვდენ, როგორც ლიმიტროფები და მცირე ანტანტის სახელმწიფოები, აგრეთვე, ყველა ასე თუ ისე ოპოზიციონურად განწყობილი პატარა სახელმწიფოები განსაკუთრებით სკანდინავიის სახელმწიფოები და ისეთებიც კი, რომლებიც ინგლისის ორიენტაციას არიან. **მაგრამ საკმარისი იყო ინგლისს წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთ - პოლონეთის პროექტისათვის, რომ ყველა ჩაჩუმებულიყო, ყოველ შემთხვევაში გამოიჩინათ დიდი თავდაჭერილობა.** მაგრამ ინგლისი ამ შემთხვევაში იძულებული გახდა, დაკმაყოფილებულიყო თავდაცვითი ტაქტიკით და თავი შეეკავებია, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების წინააღმდეგ გალაშქრებისაგან.

საბჭოთა კავშირისადმი ასეთი განსაკუთრებით თავდაჭერილი დამოკიდებულება არა მარტო პლენუმის სხდომაზე, არამედ კულუარებში და კერძო საუბრებშიც, აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ინგლისის (რომელიც პოლონეთის წინადადების წინააღმდეგ გამოდის), მორალური მდგომარეობა ამ სესიაზე ხელს არ უწყობს ანტი - საბჭოთა გამოსვლების ატმოსფერას. (ადს).

პოლონეთის პროექტი კომისიას გადაეცა

ჟენევა, 11 სექტ. ერთა ლიგის პლენუმმა მიიღო ფორმალური დადგენილება, რომ პოლონეთის პროექტი გადაეცეს ერთა ლიგის იმ კომისიას, რომელიც განიხილავს განიარაღების საკითხს.

ამგვარად საფრანგეთის გავლენა და პატარა სახელმწიფოების დაჟინებითი მოთხოვნილება საკმაო გამოდგა, არ შეგვეშლილიყო მთელი ხმების ორი მესამედი, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რათა პოლონეთის წინადადება გარჩეულიყო პლენუმზე კომისიაში გადაუცემლად. ჩემბერლენი შეეცადა აეცილებია პოლონეთის პროექტის ირგვლივ კამათის გაგრძელება კომისიაში ყოველგვარ შინაარს მოკლებული რეზოლიუციის მიღებით პლენუმზე (ადს).

ინგლისი არ კისრულობს ახალ ვალდებულებებს

ჟენევა, 11 სექტემბერი. პოლონეთის პროექტის შესახებ დადგენილების მიღების წინ ჩემბერლენმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა ინგლისის თვალსაზრისი განიარაღებისა და უშიშროების საკითხში. თუმცა სამთა კონფერენციამ, რომელიც მოწვეული იყო საზღვაო განიარაღების საკითხის განსახილველად, ვერ განახორციელა განიარაღება, მაგრამ ის,—ჩემბერლენის სიტყვით,—იძლევა ახალ სტიმულს განიარაღებისაკენ მისწრაფებისათვის, რასაც დიდი შედეგი მოჰყვება. ჩემბერლენის განცხადებით, სამთა კონფერენციის უშედეგობა გამოწვეულია იმით, რომ იგი ცუდად იყო მომზადებული. რაც შეეხება საკითხს გარანტიების შესახებ, ამ დარგში ჩემბერლენის აზრით, დიდი ნაბიჯია გადადგმული, თუ მხედველობაში მივიღებთ ხელშეკრულებას ერთა ლიგის შესახებ და ლოკარნოს შეთანხმებათა სისტემას.

„თუ როგორ ასრულებს ინგლისი თავის ვალდებულებებს,—განაცხადა ჩემბერლენმა,—ამას გვიჩვენებს ის მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო მაშინ, როცა იგი ჩაება მსოფლიო ომში ბელგიის ნეიტრალიტეტის დასაცავად“.

ჩემბერლენის სიტყვის ძირითადი აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ ინგლისი არ იკისრებს არავითარ ახალ ვალდებულებებს (ადს).

ლამაზი ფრაზები

ბერლინი, 11 სექტემბერი. ეხებიან რა ბრიანის გამოსვლას ერთა ლიგის პლენუმზე, გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მისი სიტყვა წარმოადგენს მჭევრმეტყველობის ნიმუშს, მაგრამ მოკლებულია ყოველგვარ შინაარს.

„ლოკალანცეიგერ“-ი სწერს:

„ნუ თუ ბრიანი მართლა ფიქრობს, რომ ორი წლის განმავლობაში გერმანიასა და საფრანგეთს შორის წარმოებულ უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია საერთო ფრაზებით“. (ადს).

რუმინეთი ერთა ლიგიდან გამოსვლით იმუქრება

ვენა, 11 სექტემბერი. რუმინეთის გაზეთები სასტიკ პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ერთა ლიგის საბჭო, მათი სიტყვით, უნგრეთის დელეგაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, როდესაც იხილავდა საკითხს სემიგრადიაში უნგრეთის აჯანყებულთათვის მიწების ჩამორთმევის შესახებ. **გაზეთები იმუქრებიან რუმინეთის გასვლით ერთა ლიგიდან, თუ რუმინეთ - უნგრეთის კონფლიქტი ლიგის საბჭოს მიერ გადაჭრილი იქნა უნგრეთის სასარგებლოდ.** (ადს).

ფინეთს განზრახული აქვს თავისი კანდიდატურის წამოყენება ლიგის საბჭოში

ჰელსინგფორსი, 11 სექტემბერი. გაზეთების ცნობით, ჟენევაში ჩამოსულმა ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვოიონმაამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ფინეთს განზრახული აქვს თავისი კანდიდატურის წამოყენება ერთა ლიგის საბჭოში. (ადს).

სოკალი თუ პატეკი

საბჭ. კავშირთან შეთანხმება სჯობია ჟენევაში ლაყბობას

ვარშავა, 11 სექტემბერი. „კურიერ ვარშავსკი“ აღნიშნავს რა, რომ პოლონეთის ინიციატივამ ვერ გაიმარჯვა ჟენევაში, სწერს:

„**პატეკის დიპლომატია უფრო სასარგებლოა მშვიდობიანობის საქმისათვის, ვიდრე სოკალის დიპლომატია**“.

სპარსეთ-საბჭოთა

ურთიერთობის განმტკიცება

თეირანი, 11 სექტემბერი. გაზეთი „სატარეი ირან“ მოწინავეში „სპარსეთ-საბჭოთა ურთიერთობის განმტკიცება“ სწერს:

„სატარეიმ“ პირველმა წამოაყენა საკითხი რუს ემიგრანტების დაუშვებელ მოქმედების შესახებ, რის შემდეგ ამ საკითხმა მიიქცია სპარსეთის მთავრობის ყურადღება“.

„სატარეი“ აღნიშნავს გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხს თეთრების შესახებ და გამოსთქვამს კმაყოფილებას სპარსეთ-საბჭოთა ურთიერთობის განმტკიცებისა და ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ გაუგებრობათა თავიდან აცილების გამო.

„**საბჭოთა მთავრობამაც,—სწერს გაზეთი,—გამოიჩინა სრული თანაგრძნობა სპარსეთის მიმართ. ნიჟნიდან მიღებული ცნობებით მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ხელშეკრულება არ არის ჯერჯერობით ხელმოწერილი, ბაზრობის ხელმძღვანელებმა უკვე გაატარეს ცხოვრებაში სპარსელებისათვის ხელსაყრელი ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი განწყობილების გამო კვლავ მიეცემა დიდი მნიშვნელობა ჩრდილოეთთან ვაჭრობას და ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებას. სპარსეთის მოსახლეობა დიდის მოუთმენლობით მოელის სავაჭრო ხელშეკრულების გამოქვეყნებას და მის დამტკიცებას**“.

გაზეთი აქვეყნებს შემდეგ კორესპონდენციას ნიჟნი ნოვგოროდიდან, რომელშიაც მოყვანილია ამხ. მალიშევის სიტყვა წარმოთქმული სპარსელ ვაჭრების კრებაზე. (ადს).

სპარსეთის პრესა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ

თეირანი, 11 სექტემბერი. გაზეთი „ედალეტ“ მოწინავეში სათაურით „რუსი თეთრგვარდიელები“ ხაზგასმით აღნიშნავს თეთრგვარდიელთა დაუშვებელ მოქმედებას ყველა ქვეყნებში, რის დასამტკიცებლადაც გაზეთს მოჰყავს ინცინდენტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში და პოლონეთში. გაზ. შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **პოლონეთის მთავრობას, საბჭოთა მთავრობის წინადადების თანახმად, მიღებული აქვს მთელი რიგი ზომები თეთრგვარდიელების წინააღმდეგ.**

„**სპარსეთის მთავრობის მიერ ზომების მიღება თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების წინააღმდეგ,—სწერს გაზეთი,—ჩვენის აზრით აუცილებელია.** რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ როგორც სპარსეთის მთავრობას, ისე ხალხს სურს კეთილმეზობლურად იცხოვროს საბჭოთა მთავრობასთან და ხალხებთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ **თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების არსებობა სპარსეთში ეწინააღმდეგება სპარსეთის ძირითად ინტერესებსაც**“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს მოსკოვში წარმოებულ საბჭოთა-სპარსეთის მოლაპარაკებას და იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგმული აქვს სპარსეთის მთავრობას, აღნიშნავს, აგრეთვე იმ კეთილგანწყობილებას, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ და გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება დღემდე არ არის ხელმოწერილი.

დასასრულ გაზეთი გამოსთქვამს იმედს, რომ აღნიშნული საკითხი მალე მოწესრიგდება და უფრო განამტკიცებს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

აჯანყება ლიტვაში

ვინ აჯანყდა

კოვნო, 11 სექტემბ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, ტაუროგენში მომხდარ არეულობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე „ნაროდნიკ სელიანინებისა“ და სოციალ - დემოკრატიული პარტიების ზოგიერთმა წევრებმა, რომლებიც ამ მაზრაში არიან გადასახლებული. **9 სექტემბრის აჯანყებულები თავს დაესხნენ მაზრის უფროსის სამმართველოს, სამაზრო პოლიციის უფროსის კანცელიარიას და სამაზრო კომენდანტის სამართველოს; აჯანყებულებმა დაიკავეს აგრეთვე ფოსტა და რკ. გზის სადგური.** აჯანყებულების მხარეზე მოკლულია ერთი და დაჭრილია ორი, ჯარების მხარეზე კი მოკლულია ერთი. დაპატიმრებულია 60-დე კაცი (ადს).

აჯანყების ლიკვიდაცია

ბერლინი, 11 სექტემბერი. **გერმანიის პრესის ცნობით, ტაუროგენში მომხდარი აჯანყების გამო მთელ ლიტვაში სწარმოებს მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება. კოვნოში დაპატიმრებულია სეიმის ყოფილი დეპუტატი შიგელისი და მუნიციპალიტეტის წევრი პეტრაუსკასი. შავლიში სამხედრო წესებია გამოცხადებული.**

საფრანგეთი სესხს დაეძებს

ამერიკა უკარნახებს ხელშეკრულების პირობებს საფრანგეთს

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა თავის ელჩს ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებში დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ელჩს წინადადება მიეცა ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს მისცეს მთელი რიგი უპირატესობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის მიერ ახალი სესხის მიღებას დაბრკოლებები გადაეღობება.

სოციალ-ფაშისტები ირაზმებიან

ვენა, 11 სექტემბერი. ქრისტიან-სოციალისტურ პარტიის ორგანოს „ინსბრუკერ ნახრიხტენ“-ის ცნობით, ავსტრიაში განზრახულია დაარსდეს „რესპუბლიკანური დროშის კავშირი გერმანიაში არსებულ კავშირის მსგავსათ. კავშირის მიზანია ყველა რესპუბლიკანური ელემენტების გაერთიანება.

ქრისტიან-სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთამ ავსტრიის ყველა პროვინციებში დაარსდა [illegible] (ადს).

ეროვნული

რევოლიუციონური არმია სვატოუსთან

მემარჯვენე გომინდანელები გარბიან სვატოუდან

შანხაი, 11 სექტ. 3 სექტემბერს ხო-ლუნის და ი-ე-ტინის ჯარებმა ვეიცზიანის პროვინციაში სასტიკათ დაამარცხეს ლი-ტი-სინის ჯარები, რომელთაც რამოდენიმე დღით ადრე დაიკავეს ცზიანი.

კანტონიდან დამატებით გაგზავნილი იქნა არმია 7 ათასი ჯარისკაცისაგან რევოლიუციონური ჯარების წინსვლის შესაჩერებლათ.

რევოლიუციონური ჯარების მოახლოების გამო გომინდანურმა ხელისუფლებამ და გარნიზონმა დასტოვა ქალ. სვატოუ. (ადს).

კომუნისტების ახალი დაპატიმრება ჩანშაში

შანხაი, 11 სექტემბერი. ხანკოუს გაზეთები იუწყებიან, რომ ჩანშაში აღმოჩენილია კომუნისტური შეთქმულება. ამასთანავე გამოირკვა, რომ **ხუნანის პროვინციის სხვადასხვა რაიონში, ფარულად მუშაობს 3.000-მდე კომუნისტი აგიტატორი. აწარმოებენ მასიურ ჩხრეკას და დაპატიმრებებს. ხუნანის პროვინციალური მთავრობა 10.000 დოლარს ჰპირდება იმ პოლიციელს, რომელიც „აღმოაჩენს კომუნისტურ დოკუმენტებს ან მოახდენს ნაყოფიერ ჩხრეკას“.** (ადს).

ჩან-კაი-ში შანხაიშია

შანხაი, 11 სექტემბერი. გავრცელდა ხმები, რომ **ჩან-კაი-ში ფარულად ჩამოვიდა შანხაიში ვან-ცზინ-ვეისთან სათათბიროდ.** (ადს).

იოშიზავა პროტესტს აცხადებს

პეკინი, 11 სექტემბერი. იაპონიის ელჩმა პეკინში **იოშიზავამ** ინახულა ჩან-ძო-ლინი და განუცხადა მას სასტიკი პროტესტი ანტიიაპონური მოძრაობის წინააღმდეგ მუკდენში. (ადს).

გაფიცვა იაპონურ წარმოებებში

შანხაი, 11 სექტემბერი. იაპონიის საფეიქრო ფაბრიკების მუშები განაგრძობენ გაფიცვას. იაპონურ გაზეთების აზრით, გაფიცვა მოწყობილია კომუნისტების მიერ. იაპონური გაზეთები გამოსთქვამენ შიშს, რომ გაფიცვა შეიძლება მოედოს დანარჩენ იაპონურ ფაბრიკებსაც. შანხაის ზოგიერთ იაპონურ სტამბებში გაფიცული მუშები მოითხოვენ რიგიან მოპყრობას.

ოსმალეთის გამარჯვება ჰააგის ტრიბუნალში

ანგორა, 11 სექტემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ოსმალეთის პრესა ესალმება ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის განაჩენს საფრანგეთის გემ „ლოტოსი“-ს ოსმალეთის სანაპირო გემთან დაჯახების საქმეზე.

პრესა აღნიშნავს, რომ ტრიბუნალის ეს განაჩენი ნიშნავს ოსმალეთის გამარჯვებას და ესალმება ოსმალეთის იუსტიციის მინისტრს **მახმუდ ესად-ბეის**, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქმის გარჩევაში.

„აქშამი“ აღნიშნავს, რომ ოსმალეთის გამარჯვება შედეგია მისი სამართლიანი მოთხოვნილების.

გაზეთი შემდეგ იძლევა კითხვას, თუ რას იტყოდა ახლა, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, საფრანგეთის პრესა, რომელმაც მთელი აურზაური ასტეხა აღნიშნული საქმის შესახებ და რას იტყვის საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ნოტას ნოტაზე უგზავნიდა ოსმალეთს.

დანარჩენი გაზეთები აღნიშნავენ ოსმალეთის რესპუბლიკანური მთავრობის ბრწყინვალე გამარჯვებას პირველ საერთაშორისო პროცესზე და ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ოსმალეთის რესპუბლიკანურ მთავრობას შესწევს ძალა დაიცვას თავისი ქვეშევრდომები.

ხაჯი-სამის ბრბოს გასამართლება

ანგორა, 11 სექტემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

დაიწყო ხაჯი-სამის ბრბოს მონაწილეთა დაკითხვა, პრესის ცნობით, ბოროტგანმზრახველებმა გამოტყდნენ, რომ ოსმალეთში ჩამოვიდნენ იმ სპეციალური მატარებლის აფეთქების მიზნით, რომელშიაც იმყოფებოდნენ მუსტაფა ქემალ-ფაშა და მინისტრები. (ადს).

საბერძნეთის საპასუხო ნოტა

ანგორა, 11 სექტემბერი. გაზეთ „აქშამ“-ის ცნობით, საბერძნეთის ელჩმა ოსმალეთში გადასცა ოსმალეთის მთავრობას საბერძნეთის მთავრობის საპასუხო ნოტა ხაჯი-სამის ბანდის შესახებ, რომელიც შესდგა საბერძნეთის ტერიტორიაზე. (ადს).

ოსმალეთის ძველი მთავრობის ვალი

ანგორა, 11 სექტემბერი. სტამბოლში დაბრუნდა ოსმალეთის ფინანსთა მინისტრი, რომელსაც შეხვედრა ჰქონდა ოსმალეთის ძველი მთავრობის ინგლისელ კრედიტორებთან. ახლო მომავალში მოელიან ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს **ტევფიკ-რუშდის**, რომელიც პარიზში აწარმოებდა მოლაპარაკებას ოსმალეთის ძველი მთავრობის ვალების შესახებ. (ადს).

სმირნის განთავისუფლების წლისთავი

ანგორა, 11 სექტემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ბერძნების ოკუპაციისაგან სმირნის განთავისუფლების წლისთავი დიდის აღფრთოვანებით და ზეიმით ტარდება მთელ ოსმალეთში. (ადს).

დაიწყო მოძრაობა სამსუნ-სავზას ხაზზე

ანგორა, 11 სექტემბერი. დაიწყო საბარგო მატარებლების მიმოსვლა სამსუნ-სავზას შუა, სამსუნ-სივასის რკინის გზაზე. (ადს).

ტევფიკ-ბეის დაბრუნება

ანგორა, 11 სექტემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ-ბეი დაბრუნდა ანგორაში.

საფრანგეთის პროლეტარიატი ემზადება

ამერიკელ ფაშისტების „შესახვედრათ“

პარიზი, 11 სექტემბ. 19 სექტემბრის (საფრანგეთში გამომგზავრებულ ამერიკელ ლეგიონერთა საზეიმო მიღების დღე) დემონსტრაციის ჩამტარებელმა კომიტეტმა, რომელიც შეადგინა საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ, კომკავშირმა, შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ, ომის ყოფილ მონაწილეთა რევოლიუციონურმა ასოციაციამ და რემედასის საფრანგეთის სექციამ, მოწოდებით მიმართა საფრანგეთის პროლეტარიატს:

„**19 სექტემბერის გამოცხადების ეროვნული დღესასწაულის დღედ, — ნათქვამია მოწოდებაში, — მუშებმა უნდა უპასუხონ რევოლიუციონური დემონსტრაციის დღით; ამ დღეს საფრანგეთის მუშებმა უნდა მოითხოვონ საყოველთაო ამნისტია, სამხედრო ვალების გაუქმება, კაპიტალისტური რაციონალიზაციის აღმოფხვრა და დახმარება რუსეთისა და ჩინეთის რევოლიუციებისათვის მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ**“ (ადს).

სპარსეთის მეჯლისის სესია

სესიის გახსნა

თეირანი, 11 სექტემბერი. 5 სექტემბერს გაიხსნა მეჯლისის პირველი სესია. სხდომას დაესწრო 77 დეპუტატი. სამღვდელოების ფრაქციის ზოგიერთი წევრები სასტიკად აკრიტიკებდნენ პრემიერის განცხადებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია **აღიკვეთოს სამღვდელოების მღელვარების გამომწვევი მოქმედება რეფორმების ჩატარებასთან დაკავშირებით.**

მეჯლისმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ხარჯთ - აღრიცხვა. საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვა უარყოფილ იქნა. (ადს).

სავალდებულო გიმნასტიკა სკოლებში

თეირანი, 11 სექტემბერი. სპარსეთის მეჯლისმა დაამტკიცა განათლების მინისტრ - ტედაიონის მიერ შეტანილი კანონპროექტი სკოლებში სავალდებულო გიმნასტიკის შემოღების შესახებ.

გეშტის მიერ შეტანილი დამატება პიონერთა რეჟიმის მწყობრის შესახებ უარყოფილ იქნა (ადს).

სასახლის მინისტრის სიტყვა

თეირანი, 11 სექტემბერი. სასახლის მინისტრმა **თეიმურაზ-ტაშმა** ევროპაში გამგზავრების წინ დიდი სიტყვა წარმოსთქვა ახლად დაარსებული პარტიის „ირან - ნოვის“ სახელით. თეიმურაზტაშმა დაახასიათა სპარსეთის მდგომარეობა და აღნიშნა მისი ზრდა უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში. შემდეგ თეიმურტაშმა მკაცრად გააკრიტიკა სამღვდელოება, არისტოკრატები და ე-წ. „კანონი სდამცველები“, რომელთაც იგი ბრალს სდებდა ეროვნული გრძნობის უქონლობაში და უცხოეთის გამხრწნელი ზეგავლენისადმი დამორჩილებაში. თეიმურტაშმა განაცხადა, რომ შაჰი არის სპარსეთის ეროვნულ ბელადი და მოუწოდა პროგრესისტებს შეუერთდენ ნაციონალისტებს, რათა საერთო ძალ - ღონით იქნას წარმოებული ბრძოლა რეფორმების ყველა მოწინააღმდეგეებთან. (ადს).

სპარსეთის შაჰი თავრიზში

თეირანი, 11 სექტემბ. 1 სექტემბერს თავრიზში ჩამოვიდა სპარსეთის შაჰი. ქალაქიდან 7 ვერსის დაშორებით შაჰს შეეგება მოსახლეობა და საკონსულო კორპუსი. საკონსულო კორპუსის სახელით, როგორც ამ კორპუსის უფროსი, შაჰს მიესალმა საბჭოთა კონსული, თავის საპასუხო სიტყვაში შაჰმა აღნიშნა, რომ მის მიზანს შეადგენს მეგობრობის განმტკიცება უცხო სახელმწიფოებთან. შემდეგ მან განაცხადა, რომ აზერბეიჯანში ის ჩამოვიდა საქმიანი ხასიათის მიზნებით. **საბჭოთა კონსულს შაჰი განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრა.** თავრიზში ყოფნის დროს შაჰმა დაათვალიერა ქალაქში დაბანაკებული სამხედრო ნაწილები, კმაყოფილი დარჩა ჯარების მომზადებით და დაასაჩუქრა ჯარისკაცები ფულით, ორი პოლკი-კი დროშებით. 2 სექტემბერს შაჰმა მიიღო წარჩინებულთა და ვაჭართა დელეგაცია და მცხოვრებთა წარმომადგენლები. სამღვდელოების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს თავისი უკმაყოფილება ტანისამოსის მოსალოდნელი რეფორმის გამო. სამღვდელოების წარმომადგენლებთან საუბრის დროს შაჰი უარყოფდა ასეთ რეფორმების განზრახვას, ვაჭრებთან საუბრის დროს-კი გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება იმის გამო, რომ სამღვდელოება ერევა ისეთ საკითხებში, რომელიც არ შედის მის კომპეტენციაში. ამავე დღეს შაჰმა ინახულა წუმწუმის და ძაფის ფაბრიკები (ადს).

ამხ. შესტაკოვი გამოფრინდა ტოკიოდან

ტოკიო, 11 სექტემბერი. „სიმბუნ რენგო“-ს სააგენტო იუწყება, რომ 11 სექტემბერს დილის 8 საათ. და 47 წ. საბჭოთა მფრინავი **შესტაკოვი** ტაციკავიდან ოსაკაზე გავლით უკანვე გადაფრინდა საბჭ. კავშირში. შესტაკოვს თან მიჰყვებიან გაზეთ „ტოკიო ასახი“-ს აეროპლანი და რამდენიმე სამხედრო აპარატი. **შესტაკოვის გასაცილებლად გამოცხადდენ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები. ტოკიოს გუბერნატორი, საავიაციო საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები მფრინავები, და დიდძალი ხალხი. გაცილებას მეტად გულწრფელი ხასიათი ჰქონდა.** (ადს).

საბჭოთა პავილიონი ვენის ბაზრობაზე

ვენა, 11 სექტემბერი. საბჭოთა პავილიონი ვენის ბაზრობაზე ბევრ მნახველებსა და მყიდველებს იზიდავს.

საბჭოთა კავშირის ელჩის ბერზინის სახელზე გაგზავნილ წერილში ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს საბჭოთა კავშირის აქტიურ მონაწილეობას გამოფენაში და საბჭოთა ექსპონატების დიდ გამარჯვებას. (ადს).

თეთრგვარდიელთა გადასახლება პოლონეთიდან

ვარშავა, 11 სექტემბერი. „რეჩ პოსპოლიტა“ იუწყება, რომ ახლო მომავალში პოლონეთიდან გადაასახლებენ თეთრგვარდიელ ემიგრანტების ახალ ჯგუფს, მათ შორის ბოჩკარევს, პოპოვს და მისლინს. ამ უკანასკნელის შესახებ იუწყებიან, რომ იგი [illegible] იყო. (ადს).

ფიზკულტურის „გაკვეთილი" ქართულ ემიგრაციაში

„ივლისის პირველ რიცხვებში ასათიანი გამოცხადდა საქართველოს ლეგაციაში, სადაც ამ დროს იყვენ „მინისტრები": ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და კ. კანდელაკი... ასათიანი ებღვენა რამიშვილს და ისე გააწნა სილა სახეში, რომ რამიშვილი იატაკზე დაეცა. იქ მყოფი „მინისტრები" დაიბნენ. რამიშვილი ძლივს გაუძვრა ასათიანს ხელიდან, შევარდა მეზობელ ოთახში, სტაცა სკამს ხელი და გამოექანა ასათიანისაკენ, მაგრამ მან ხელიდან გამოსტაცა რამიშვილს სკამი, დაარტყა მას და გაიქცა ლეგაციის ბინიდან".

(დეპეშებიდან).



უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთის პრესის აგიტაცია

პარიზი, 12 სექტემბერი. მემარჯვენე გაზეთებმა დაიწყეს ანტი-საბჭოთა კამპანია, რომლის მიზეზათაც გამოიყენეს ოპოზიციის მიერ საკ. კ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე შეტანილი განცხადება, რომელზედაც სხვათა შორის, ხელს აწერდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში—რაკოვსკი.

მემარჯვენე ფრანგულმა პრესამ განგაში ასტეხა ოპოზიციის განცხადების იმ ადგილის შესახებ, სადაც ლაპარაკია „თვითეული უცხოელი ჯარისკაცის გადასვლაზე წითელი არმიის რიგებში, თუ მათ არ უნდათ დაეხმარონ მათი ქვეყნის მონათმფლობელებს".

არც პარიზის პრესის მიერ გამოქვეყნებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ ჩიჩერინმა საფრანგეთის ელჩს — ერბეტს განუცხადა, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენლები არ ეწევიან და არც შეუძლიათ გასწიონ დეზერტირობის პროპაგანდა, არც რაკოვსკის საკუთარმა განცხადებამ, რომ იგი არ გასწევს ასეთ პროპაგანდას, არ დაამშვიდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის განხეთქილების აგიტატორები.

მემარცხენე გაზეთებში ფიქრობენ, რომ აღნიშნულ ინცინდენტს უმთავრესად აზვიადებენ საარჩევნო კამპანიის მოახლოების გამო. (ადს).

ჰავასის სენსაცია

პარიზი, 12 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის სხდომაზე მინისტრები მივიდენ საერთო დასკვნამდე—აცნობოს საბჭოთა მთავრობას, რომ სასურველია მისი ელჩი გაიწვიოს პარიზიდან, რათა შენარჩუნებულ იქნას კეთილი განწყობილება საფრანგეთსა და რუსეთს შორის (ადს).

პარიზი, 12 სექტემბერი. ჰავასის სენსაციური ცნობა, თითქოს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რაკოვსკის გაწვევის აუცილებლობის შესახებ, მართალი არ აღმოჩნდა. ჟურნალისტების შეკითხვაზე მთელმა რიგმა მინისტრებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ არავითარი ამის მსგავსი გადაწყვეტილება მინისტრთა საბჭოს არ მიუღია, რომ საკითხი რაკოვსკის შესახებ საერთოდ არ განხილულა მინისტრთა საბჭოს სხდომაზე და არც შეიძლებოდა განხილულიყო ბრიანის არ ყოფნის გამო. (ადს).

დე-მონზის განცხადება

ბერლინი, 12 სექტემბერი. გერმანიის პრესის ცნობებით, სენატორმა დე-მონზიმ განაცხადა, რომ ის გადადგება საფრანგეთის დელეგაციის (დელეგაცია, რომელიც აწარმოებს საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკებას) თავმჯდომარის პოსტიდან იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს რაკოვსკის გაწვევას.

არამარქსისტ უმუშევრების კავშირი

ვენა, 11 სექტემბ. კანტორის მოსამსახურეების უმუშევართა კავშირმა ლინცში მიიღო „არამარქსისტ უმუშევართა კავშირის" სახელწოდება და განზრახული აქვს „გააერთიანოს ავსტრიის ყველა ის უმუშევრები, რომლებიც არ ემხრობიან კლასიურ ბრძოლის პოლიტიკას".

მწარმოებელთა ორგანიზაციები აღნიშნულ კავშირს პირდებიან დახმარებას და აღნიშნავენ, რომ სამსახურში ახალი პირების მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ამ კავშირის წევრთ.

განაჩენი ინგლისის ჯაშუშების საქმეზე

ლენინგრადი, 12 სექტემბერი. სასამართლომ 12 საათი ითათბირა. სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა მიუსაჯა: გოიერს, ვალიცკის, გიორგი და ათანასე ხლოპუშინებს; ალექსანდრე გრუზდევს, შარინს, ტალს და ორივე ძმას—კუნიცინ-ნერატოვებს. დანარჩენ ბრალდებულებს მიუსაჯათ სხვადასხვა ვადით დაპატიმრება. ზოგიერთები გაამართლეს.

90 უცხოელის გადასახლება საფრანგეთიდან

პარიზი, 12 სექტემბ. იმ 90 უცხოელთა შორის, რომლებსაც საფრანგეთიდან ასახლებენ, ბევრია საბჭოთა მოქალაქეებიც, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში საფრანგეთში ცხოვრობდენ, მათ რიცხვში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს პარიზის განყოფილების თანამშრომელი, ლუკიანოვი, რომელიც ამას წინად საფრანგეთიდან გადასახლებულ ბრუნის მაგიერობას სწევდა (ადს).

ფინეთის სოციალ - დემოკრატები მხარს უჭერენ ცელენსს

ჰელსინგფორსი, 11 სექტემბ. ფინეთის „სოციალ - დემოკრატ"-ში მოთავსებულია საუბარი ფინეთის სოციალ - დემოკრატიულ პარტიის მდივანთან ვიკთან, რომელმაც განაცხადა, რომ ის იწონებს ცდას ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის ცელენსისას, ცდას, რომელიც მიზნათ ისახავს ლატვიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგებით და ქვეყნის საწარმოვო ძალების განვითარებას საბჭოთა - ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულების დადების საშუალებით (ადს).

ზარალი ბათომის ნავთის საწმენდ ქარხანაში

ბაქო, 12 სექტემბ. 5 და 6 სექტემბერს ბათომის რაიონში მოსულ წყალდიდობამ დიდძალი ზარალი მიაყენა ნავთის საწმენდ ქარხანას. ღვარმა წაიღო 8 ვაგონი ხე-ტყის მასალა, 70 კუბი მინა.

ქარხნის ტერიტორიაზე გზები არაა გაფუჭებული, რაც ხელს უწყობს მუშაობის განახლებას და საამშენებლო მასალის დაჩქარებით ზიზიდვას (ადს).

საჰაერო ურთიერთობა სპარსეთთან

ბაქო, 12 სექტემბ. დღეს ბაქოში ჩამოფრინდენ სპარსეთის საელჩოს საგანგებო კომერციული მრჩეველი მოსკოვში ჰამიდ - ხანი და „უკრვოზდუხპუტის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კრილოვი. მათ განზრახვა აქვთ გადაფრინდენ თეირანში სპარსეთ - საბჭოთა კავშირს შორის რეგულიარული საჰაერო ურთიერთობის მოწყობის შესახებ.

ხვალ ჰამიდ - ხანი და კრილოვი აეროპლანით გაფრინდება თეირანში (ადს).

მიწისძვრა ყირიმში

სიმფეროპოლი, 12 სექტემბერი. ბალაკლავაში ზღვის ტალღებმა გადმოლახა ნაპირები და დაანგრია ორი სახლი. დაშავებულია რამდენიმე კაცი. იალტაში დაინგრა რამდენიმე შენობა. დილის 7 საათზე ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 65 დაჭრილი და 8 მოკლული. კორეიზში ჩამონგრეულმა კედელმა იმსხვერპლა 8 კაცი. ბევრი დაწესებულებები იალტაში ღია ცის ქვეშ მუშაობენ.

ჰანრი ბარბიუსი მოსკოვში

მოსკოვი, 12 სექტემბერი. 11 სექტემბერს ჰანრი ბარბიუსმა ინახულა ლენინის აკლდამა და რევოლიუციონურ მოღვაწეთა საფლავები წითელ მოედანზე. იმავე დღეს ჰანრი ბარბიუსი დაესწრო წითელი არმიის ცხენთა შეჯიბრებას. საჯირითო მოედანზე მას შეხვდა ამხ. ბუდიონი და გლეხთა ინტერნაციონალის მდივანი ამხ. ბანდერისი. ბარბიუსი აქვე შეხვდა ამხ. კუიბიშევს და კარახანს, რომლებთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. საღამოთი ჰანრი ბარბიუსი იყო ჩიჩერინთან. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის გამო

მოსკოვი, 12 სექტემბ. საკავშირო პროფსაბჭომ, მოისმინა რა მოხსენება გენსაბჭოს მიერ ინგლის - რუსეთის კომიტეტში განხეთქილების შეტანის გამო, — დაადგინა მიმართოს მოწოდებით ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ყველა მუშებს:

„ინგლისის პროფკავშირების უკანასკნელ კონგრესზე ედინბურგში, —ნათქვამია მოწოდებაში, — გენერალურმა საბჭომ შესძლო სავსებით განეხორციელებია ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლის განზრახვა. ბირჟაზე სიხარულის გამოძახილი გამოიწვია გენსაბჭოს ასეთმა „გამარჯვებამ": ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლის დღეს ინგლისის ფასიანმა ქაღალდებმა აიწია. მთელი ბურჟუაზიული პრესა და მასთან ერთად რეფორმისტული—კაპიტალის აგენტების პრესა თავბრუდამხვევ ზეიმს მიეცა. გაბატონებული კლასები გენსაბჭოელების მიერ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას სრულიად სამართლიანად აფასებენ, როგორც საკუთარ გამარჯვებას, განხეთქილების მოხდენას წინ უსწრებდა, საკავშირო პროფსაბჭოს წინააღმდეგ წარდგენილი „საბრალმდებლო აქტი". აღნიშნული „საბრალმდებლო აქტის" შეფასება ჩვენს მიერ, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ 30 აგვისტოს;—სავსებით გამართლდა. ამ „საბრალმდებლო აქტს" არსებითად იგივე მიზნები აქვს, რაც ჰქონდა 17 მაისს არკოსზე ბანდიტურ თავდასხმას და საბჭოთა კავშირთან განხეთქილებას, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 26 მაისს.

გენსაბჭო „პატიოსნად" ასრულებდა კონსერვატორების მთავრობის ლაქიების მისიას და თავის ამოცანად ისახავდა ინგლისის კაპიტალისტებისათვის ხელის შეწყობას შრომის პირველი რასპუბლიკის გასარიყავად, რომ ამით უფრო გაადვილებულიყო მაზე სამხედრო თავდასხმის მოწყობის საქმეები.

გენერალურმა საბჭომ კონგრესი გამოიყენა იმისათვის, რომ კაპიტალის მრისხანე შემოტევის წინ ექადაგებინათ მჩაგვრელებთან სამრეწველო მშვიდობიანობის დაცვის საჭიროება, რათა გაემართლებიათ ჯალათური ომი ჩინეთის წინააღმდეგ და ამავე დროს ჩაეგონებიათ მუშებისათვის პროფკავშირების შესახებ ახალი კატორღული კანონის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა,—კანონის, რომელიც სავსებით სპობს ყოველგვარ უფლებებს, რისთვისაც ინგლისელი მუშები იბრძოდენ მთავალი ათეული წლების განმავლობაში. გენერალური საბჭო ეხლა დაიმოწმებს იმ „მილიონთა" ნებისყოფას, რომლებმაც თითქოს მხარი დაუჭირეს ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლას. მაგრამ ძნელია ამ „დემოკრატიული მასკარადით ვინმეს მოტყუება. ასეთი „მასკარადები" არაა ახალი მოვლენა ინგლისში. დემოკრატიის ნებისყოფაზე დამყარებით არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ გენსაბჭოს ბელადებმა ედინბურგის კონგრესზე თითონ მოიხსნეს ნიღაბები, როგორც მუშათა მოძრაობის მთლიანობის მტრებმა და კონსერვატორების რეაქციის აშკარა ხელისშემწყობებმა. მაგრამ გენსაბჭოს ვაჟბატონებს არ ძალუძთ დამალონ და ან შეამსუბუქონ იმ ფაქტის მნიშვნელობა, რომ უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც გამოვიდნენ ედინბურგის კონგრესზე ჰქონდათ მანდატი კონფერენციიდან, რომელზედაც 700 დელეგატი წარმოადგენდა ერთ მილიონამდე მუშებს;; ეს მუშები კი გადაჭრით მიემხრენ გენსაბჭოს რეაქციონურ პოლიტიკასთან დაუზოგველი ბრძოლის წარმოების და ხელს უწყობენ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის ძმური კავშირის განხორციელებას.

ყველა ეს ფაქტები უსათუოდ მოწმობენ იმას რომ გენსაბჭოს ბელადები არ გამოხატავენ პროლეტარული მასების ნებისყოფას და განწყობილებას.

და ასრულებენ კაპიტალისტების სურვილებს, ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ ინგლის-რუსეთის კომიტეტს ღრმა თანაგრძნობით ხვდებოდნენ არა მარტო ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარულ მასებს შორის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშებს შორის. ინგლის-რუსეთის კომიტეტის მთელი ისტორია ამტკიცებს ცხოველმყოფელობასა და მნიშვნელობას იმ ამოცანებისა, რომელთათვისაც იგი შეიქნა. ინგლის-რუსეთის კომიტეტის იგივე ისტორია თვალსაჩინოდ ამხილებს გენსაბჭოს ბელადებს, როგორც კაპიტალისტების ერთგულ მსახურებს და როგორც მუშათა მასების ბოროტ გამცემლებს. 12 მაისის ღალატის შემდეგ ჩვენს წრეშიაც იყვენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც ფიქრობდენ, რომ ჩვენ უნდა ვიკისროთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის აფეთქების ინიციატივა. ჩვენ ამაზე არ დავეთანხმეთ. ჩვენ ვამჯობინეთ დარჩენა ინგლის-რუსეთის კომიტეტში, ჩვენი წინადადებების მტკიცედ გატარება და გენსაბჭოს წარმომადგენლების სისტემატიური საბოტაჟის და მათი შავი ღალატის გამომჟღავნება. ეს ჩვენი ტაქტიკა სავსებით გამართლდა. ჩვენი წინადადებანი, ჩვენი დახმარება სათანადოდ იქნა შეფასებული ინგლისის მუშების მიერ, ინგლისის კაპიტალისტების და მათი დამქაშების—ტომასების, პერსელების, ხიქსების და სიტრინების მთელი გაბოროტება და მძულვარება გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტით, რომ ჩვენი დელეგაცია ინგლის-რუსეთის კომიტეტის არსებობის ყველა საფეხურებზე ენერგიულად ხცდილობდა ერთგულად დაეცვა როგორც ინგლისის, ისე მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები, და რომ ჩვენ ასეთ ცდებს ღრმესი თანაგრძნობით ხვდებოდენ ინგლისის მუშები. ჩვენ მხურვალე, ძმურ სალამს უძღვნით საბჭოთა კავშირის მუშების სახელით ინგლისელ მუშებს, რომელთაც გვიჩვენეს დისციპლინისა და სოლიდარობის მაგალითი 1926 წლის მაისის დღეებში და მემაღაროეთა გმირული და შეუდრეკელი გაფიცვის მაგალითზე დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ბრძოლა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ვერავინ ვერ შესძლებს შეარყიოს ინგლის და საბჭოთა კავშირის მუშების ძმური კავშირი" (ადს).

მიწისძვრა უკრაინაში და ყირიმში

ოდესაში

ოდესა, 12 სექტემბ. 11 სექტემბერს შუადღისას ოდესაში ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისქვეშა ბიძგებს. ტალღისებური მიწისძვრა, რომლის ძალა დაახლოვებით 4 ბალს უდრიდა, 2-ნახევ. წუთი გაგრძელდა და მას თან სდევდა გუგუნი მიწის ქვეშ. მცხოვრები გამოვიდენ ქუჩაში. სახლების ზემო სართულებში ბევრ ადგილას ჩაიმტვრა ფანჯრები, ბურჭული და ავეჯეული დაძრულია ადგილიდან.

11.50 წუთზე მიწისძვრა განმეორდა უფრო ინტენსიურად, მაგრამ ხანმოკლედ; 5 ს. 25 წუთზე მესამეჯერ იძრა მიწა.

კიევში

კიევი, 12 სექტემბ. 12 სექტემბერს ღამით ქალაქში ადგილი ჰქონდა მიწის ქვეშა ბიძგებს, რომელიც 2 წუთს გაგრძელდა. მრავალი მცხოვრები, განსაკუთრებით ზემო სართულებიდან, გამოცვივნდენ ქუჩაში. პირველი ბიძგი შენიშნული იყო ღამის 12 ს. 20 წ. მიწისძვრის შემდეგ რამოდენიმე სახლი გაიბზარა. ძლიერ მიწის ქვეშა ბიძგებს გარდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელ ქალაქში ღამის 12 ს. 20 წუთზე, უფრო სუსტი ბიძგები განმეორდა ღამის 12 ს. 26 წუთზე და დილის 5 ს. 20 წუთზე. ამ ბიძგებს ადგილი ჰქონდა უმთავრესად ქალაქის მაღლობ ნაწილებში (ადს).

ყირიმში

სიმფეროპოლი, 12 სექტემბ. გათენებისას და დილით შემჩნეული იყო 5 სუსტი ბიძგები, რომლებიც გაგრძელდა 1—8 წამი. ქალაქში ადგილი აქვს უმნიშვნელო დაზიანებას. გაზეთმა „წითელმა ყირიმმა" გამოუშვა ბიულეტენი, რომელმაც დამშვიდება შეიტანა ხალხში.

იალუშტაში დაზიანდა სასტუმრო „იალტა-ბახჩა"-ს შენობა. დაზიანდა აგრეთვე „ყირიმის ღვინის" მმართველობის შენობები.

სევასტოპოლში დაინგრა 8 სახლი; გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად ჩააქრო სახანძრო რაზმმა.

ევპატორიაში ძლიერ დაზიანდა „დედის და ბავშვის სახლი", მცირეოდნად დაზიანდა ზოგიერთი დაწესებულებათა შენობები.

უკრაინის სხვა ქალაქებში

კიევი, 12 სექტემბ. ღამის პირველ საათზე უმერინკის, ვოზნესენსკის, ბობრინსკის, კიევის, მოგილევ - პოდოლსკის, მელიტოპოლის და ტაგანროგის რაიონში ადგილი ჰქონდა მიწისძვრას, რომელიც რამოდენიმე წუთი გაგრძელდა. მიწისძვრა განმეორდა ღამის 2 საათზე. ნიადაგის რყევამ 4—6 ბალამდე მიაღწია.

დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 12 სექტემბ. ღამით 11—12 სექტემბერს დნეპროპეტროვსკში შემჩნეული იყო მიწის ქვეშა ძლიერი ბიძგები, რასაც შემდეგ მოჰყვა ნიადაგის რყევა. ბევრს სახლებში ჩამოინგრა ჭერი, კედლები დასკდა. ქალაქის გარეუბნებში შეშინებულმა მოსახლეობამ მიატოვა ბინები და გამოეფინა ქუჩებში. განმეორებული ბიძგები უფრო სუსტი იყო და გაგრძელდა რამოდენიმე ათეული წამი.

დონის ოლქში

სტალინო, 12 სექტემბ. ღამით 11—12 სექტემბერს 0 საათსა და 15 წუთზე სტალინოში, რუტჩენკოვოში და მაკეევკაში შემჩნეულია მიწის ქვეშა ძლიერი ბიძგები, რომლებმაც გამოიწვია ავეჯეულობის და ბურჭულის ადგილიდან დაძვრა (ადს).

მოლდავიის ს. ს. რესპუბლიკაში

ბალტა, 12 სექტემბ. ღამით შემჩნეული იყო მიწის ქვეშა ბიძგები. პირველი ბიძგი მოხდა 0 საათსა და 15 წუთზე და გაგრძელდა რამოდენიმე წამი. 8 წუთის შემდეგ ადგილი ჰქონდა მეორე ბიძგს. მიწისძვრის შესახებ იუწყებიან რესპუბლიკის ახლო მდებარე სხვა რაიონებიდანაც (ადს),

მიწისძვრა ნამანგანში

ნამანგანი, 12 სექტემბ. მიწის ქვეშა ბიძგები და ნიადაგის რყევა ნამანგანში არ სწყდება. ასე მაგალითად ღამით 11 სექტემბერს ნახევარ საათის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 16 ბიძგს. ტაშკენტის სეისმოგრაფიულ სადგურის ცნობით შესაძლებელია ახალი ძლიერი მიწისძვრა (ადს).

გეოლოგები მიწისძვრის შესახებ

ოდესა, 12 სექტემბ. უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში გეოლოგმა პროფესორმა კროკოსმა განაცხადა რომ ასეთ ძლიერ მიწისძვრას, რომელიც აჭარბებს 4 ბალს, ჯერ არასოდეს არ ჰქონია ადგილი ოდესაში. მიწისძვრის ეპიცენტრი ჯერ გამორკვეული არ არის. შესაძლებელია, რომ ის იმყოფებოდეს კავკასიის მთების რაიონში, სადაც კიდევ გრძელდება მთების შექმნის პროცესი, ან კარპატების რაიონში, სადაც მიწის ქვეშა ტბების არსებობის გამო ადგილი აქვს ნიადაგის ჩავარდნას (ადს).

პარტიული ცხოვრება

იწყება უჯრედთა ბიუროების მორიგი გადარჩევა;--ფართედ გავშალოთ საქმიანი თვითკრიტიკა;--საფუძვლიანათ შევამოწმოთ პარტიის დირექტივების შესრულება უჯრედების მიერ;--არც ერთი მერყევი კომუნისტი ბიუროს შემადგენლობაში;--შევამჭიდროვოთ რიგები ლენინურ ცეკას ირგვლივ

ვინ უნდა ავირჩიოთ ახალ ბიუროში

უჯრედთა ბიუროების საარჩევნო კამპანიის დროს თავისთავად დაისმება საკითხი თვითეულ უჯრედში: „ვინ ავირჩიოთ ახალ ბიუროში"?

შინაპარტიული დემოკრატიის და პარტიულ მასის მუშაობაში აქტიურათ ჩაბმის მოსაზრებით, სასურველია, რომ ბიუროს შემადგენლობა განახლებულ იქნას. მასში უნდა შევიდნენ ახალი ამხანაგები. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სასარგებლოა ბიუროს შემადგენლობის სრულიად შეცვლა. ერთგვარი მემკვიდრეობა ძველსა და ახალ ბიუროს მუშაობაში საჭირო და აუცილებელიც არის. ამიტომ, ახალ ბიუროებში ძველი ბიუროდან უნდა შევიყვანოთ ამხანაგები, რომელთაც წარსულში აქტივობა და საქმის ცოდნა გამოიჩინეს. გარდა ამისა იქ, სადაც პარტიული სტაჟის მიხედვით ან სხვა რაიმე გარემოების გამო მიზანშეწონილია ბიუროს ახალი ამხანაგების წამოყენება, სრულიადაც აუცილებელი არაა ბიუროს შემადგენლობის შეცვლა, და ეს მით უფრო, თუ ბიუროს კარგათ მიჰყავდა საქმე.

ახალ კანდიდატების დასახელება არ უნდა ხდებოდეს ბიუროს, ან რაიკომის თუ მაზრკომის წარმომადგენლის სახელით. ბიუროს შემადგენლობის მიზანშეწონილათ შერჩევისათვის სასურველია უჯრედის ცალკე წევრის ან ჯგუფების მიერ საკანდიდატო სიის წარდგენა, მაგრამ კანდიდატებს უსათუოდ პერსონალურად უნდა ეყაროს კენჭი.

დასასრულ, რაც მთავარია, ახალ პირების დასახელების დროს, ეს ის; რომ უჯრედმა ბიუროში გაიყვანოს მხოლოდ ისეთი ამხანაგები, რომელნიც მტკიცედ დგანან ლენინურ პოზიციებზე, რომელთაც საქმე უფრო აინტერესებს, ვიდრე უთავბოლო ლაყბობა და ჭიმილი წუწუნი. რომ უჯრედის მუშაობა მომავალში ნორმალური იყვეს, რომ ადგილი არ დარჩეს რაიმე ანტიკომუნისტურ გამოსვლებს და გადახრებს, საჭიროა პარტორგანიზაციები ქვედა საფეხურებში მტკიცე ლენინელებისაგან და გამობრძმედილ კომუნისტებისაგან შედგებოდეს.

უჯრედთა ბიუროების შემადგენლობაზე ბევრადაა დამოკიდებული მომავალი მუშაობის მსვლელობა. საარჩევნო კამპანიაში ამ მომენტს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. ბ—ა.

ბიუროების გადარჩევა და საუჯრედო კომისიები

მუშაობის კომისიურ მეთოდს უკვე დიდი ხნის პრაქტიკა აქვს ჩვენს უჯრედებში. თბილისის ორგანიზაციაში თითქმის ყველა უჯრედებში გამოყოფილია სხვადასხვა კომისიები, რომლებიც ეხმარებიან ბიუროებს პარტ-მუშაობის ცალკე დარგებში.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ საუჯრედო კომისიების მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პარტმუშაობის საერთო გაუმჯობესებისა და მისი ორგანიზაციული ფორმების შესწავლაში, არამედ ის უდიდეს როლს თამაშობს პარტიული აქტივის წამოზრდის საქმეშიაც. სწორედ ამიტომ უჯრედთა ბიუროების გადარჩევასთან ერთად ტარდება საუჯრედო კომისიათა შემადგენლობის გადახალისებაც. ეს გარემოება ავალებს ჩვენს უჯრედებს ყურადღების ერთი-ერთ მთავარ საგნად მიმდინარე გადარჩევის კამპანიაში გახადონ საუჯრედო კომისიების მუშაობისა და მათი გადახალისების საკითხი.

ამ მიზნით უჯრედის მდივანი თავის საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით უნდა შეეხოს თვითეული კომისიის წარსულ მუშაობას და მიუდგომლად აღნიშნოს ამ მუშაობის ყველა დამახასიათებელი ნაკლი და მიღწევა. საანგარიშო მოხსენებაში უმთავრესად ხაზი უნდა გაესვას საუჯრედო კომისიათა მუშაობის შემდეგ მომენტებს; რამდენად ასრულებდა ესა თუ ის კომისია მაღლა მდგომ პარტ-ორგანოთა დირექტივებს და რა კონკრეტიული წინადადებები შემოჰქონდა მას ამ დირექტივათა განსახორციელებლად? რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა კომისიამ უჯრედის ბიუროსა და კრების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად? ჩაატარა თუ არა კომისიამ (კერძოთ ორგკომისიამ) უჯრედის დავალებით, რომელიმე ორგანოს (ნებაყოფლ. ორგანიზაციების, ადგილკომის და სხ.) ფრაქციის გამოკვლევა? რა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა კომისიამ (აგიტ-პროპ-კომისიამ) პარტგანათლების ქსელის გაშლისათვის და სხვ., ამის გარდა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად ერკვევიან კომისიები თავის ფუნქციებში და ახასიათებს თუ არა გეგმიანობა მათ მუშაობას?

რომ უკეთ გამოირკვეს საუჯრედო კომისიების წარსული მუშაობა. ამისათვის საჭიროა თვითშემმოწმებელმა კომისიებმა (სადაც კი გამოიყოფა ასეთი) უჯრედის საერთო მუშაობის გასინჯვისა და გამოკვლევის დროს ცალკე განიხილონ კომისიების საქმიანობა და თანამოხსენებაში შესაფერი ადგილი დაუთმონ ამ საკითხს.

ხშირია შემთხვევა, როცა მომხსენებელი საანგარიშო მოხსენების უდიდეს ნაწილს ანდომებს სხდომებისა და მათზე დასმული საკითხების სტატისტიკურ ცნობათა მოყვანას. უნდა ითქვას, რომ უჯრედის მუშაობისა და კერძოთ საუჯრ. კომისიების მუშაობის შესაფასებლად ასეთი მოხსენება ვერ არის იმდენად გამოსადეგი. ჩვენთვის საინტერესოა არა მკვდარი ოქმები და ქაღალდზე დარჩენილი გაუნაღდებელი დადგენილებანი, არამედ საინტერესოა პრაქტიკული ნაბიჯი, ცოცხალი საქმე.—სწორედ ამ ცოცხალი საქმის მიხედვით უნდა შეფასდეს როგორც მთელი უჯრედის, ისე საუჯრედო კომისიების მუშაობაც.

მუშაობაში მემკვიდრეობის შენარჩუნების მიზნით საჭიროა განახლებულ კომისიებში დარჩეს ძველი შემადგენლობის ნაწილი.

ქ. ხურმუშელი.

აღრიცხვა და კონტროლი

უჯრედების ბიუროების გადარჩევაში, რომელიც მნიშვნელოვან პარტიულ კამპანიას წარმოადგენს, მთავარ მომენტს შეადგენს უჯრედების მუშაობის გამოცდილებისა და პრაქტიკის აღრიცხვა, მისი კრიტიკული შეფასება და იმის შემოწმება, როგორ ტარდება ცხოვრებაში პარტიის დირექტივები.

არ კმარა გადაწყვეტილების მიღება, არ კმარა პარტიული მუშაკის მუშაობით დატვირთვა —საჭიროა იმის აღრიცხვაც, თუ როგორ მუშაობს ის, საჭიროა უჯრედების დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

პარტიული დირექტივების შესრულების კონტროლის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს უჯრედის შემადგენლობიდან კომისიების გამოყოფა ბიუროს ანგარიშის წინ, უჯრედის მუშაობის ცალკე ეტაპების შესწავლის მიზნით.

ეს კომისიები უჯრედის დადგენილებათა კონკრეტიული შესრულებისა და აგრეთვე მაღლამდგომ ორგანოდან (თემკომი, რაიკომი, მაზრკომი) მიღებულ დირექტივების შემოწმების დროს, იძლევიან მდიდარ შედეგებს.

კომისიები ყველაზე უკეთ ააშკარავებენ უჯრედის მუშაობის არანორმალურ მხარეებს, აცხოველებენ უჯრედის მუშაობას და პარტიის რიგის წევრების მუშაობაში ჩაბმით, ხელს უწყობენ ახალი აქტივის წამოყენებას და მის პრაქტიკულად გაწვრთნას.

კონტროლის მეორე მეთოდს უჯრედის ყოველდღიურ მუშაობაში წარმოადგენს მუშაობის დღიურები, სადაც შეაქვთ უჯრედის დადგენილებები, ვის ევალება მათი შესრულება და აღნიშვნა იმის, თუ როგორ და როდის გატარდა ცხოვრებაში ისინი და თუ არ გატარებულან, რა მიზეზით მოხდა ეს.

ამა თუ იმ დადგენილების გამოტანის დროს უნდა იქნას აღმოჩენილი ისეთი ფაქტები, რომლებიც ხშირია უჯრედის მუშაობის პრაქტიკაში და გამოიხატება დადგენილებაში: „სამაზრო კომიტეტის დირექტივა მიღებული იქნას ცნობათ", „მიღებული იქნას შესასრულებლათ".

ასეთი, ან ამის მსგავსი დადგენილებების მიღებული მაგალითად, გაგრის ორგანიზაციის სოფლის უჯრედების მიერ (პარტკონფერენციის შედეგების შესახებ)—„ყველა დადგენილება გატარებული იქნას ცხოვრებაში". ბათომის ალმას კომის უჯრედის მიერ კი მიღებულია რეზოლიუცია ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ—„ჩატარდეს რევოლიუცია (?) კანცელარიაში": ეს დადგენილებები იმის მაჩვენებელია, რომ უჯრედები ზოგჯერ არ ამუშავებენ პარტიის დირექტივებს.

პარტიის ყოველივე დირექტივა დამუშავებული უნდა იქნეს ბიუროში და უჯრედის კრებაზე.

დირექტივების შესრულების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედის ძალებს და იმ პირობებს, რომელშიაც სწარმოებს მისი მუშაობა.

მხოლოდ ამ პირობებში გაუწევს კონტროლს უჯრედი თავის დადგენილებების შესრულების საქმეს და აღზრდის პარტაქტივის ახალ დირექტივებს.

უჯრედთა ბიუროების გადარჩევის მომავალმა კამპანიამ გარდა იმისა, რომ უნდა გადასჭრას ყველა მის წინაშე დასმული პოლიტიკური ამოცანები, უნდა მიიზიდოს პარტიული მასების ყურადღება მუშაობის გამოცდილების აღრიცხვით, მისი კრიტიკული, ლენინური დაფასებით და პარტიული დირექტივების ცხოვრებაში გატარების შემოწმებით.

ი. გუსტიაკოვი.

ინფორმაციის შესახებ საარჩევნო კამპანიაში

იწყება ბიუროების საარჩევნო კამპანია. საჭირო სერიოზული მუშაობა მისი წარმატებით ჩატარებისათვის. თბილისის კომიტეტის ცირკულიარი იძლევა კონკრეტიულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა შესწავლილ და სავსებით გატარებულ იქნან ცხოვრებაში, მაგრამ კამპანიის მსვლელობის დროს არ უნდა დავივიწყოთ ინფორმაციის მოწოდება იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა ესა თუ ის კრება ამა თუ იმ უჯრედში.

ხშირათ რომელიმე უჯრედში ყოფილა ძირს შესანიშნავი მიღწევები, რომლებიც გამომჟღავნდა უჯრედის კრების დროს. ეს ამბავი იციან უჯრედის წევრებმა ან რაიკომის წარმომადგენელმა, რომელიც შემთხვევით დაესწრო ამ დროს უჯრედის სხდომას, კრება დაიშალა და პარტიული კომიტეტი ვერ გაეცნო ასეთი უჯრედის მუშაობას. ეს კი საქმისათვის მეტად საზიანოა. პარტიული კომიტეტი გარდა იმისა, რომ უჯრედებს ჯამს საერთო მუშაობას, ის ამავე დროს ამა თუ იმ მუშაობის ახალი ფორმის ცხოვრებაში გატარების წარმატებითი ცდებს იყენებს საფუძვლიანათ მომავალ დირექტივებისათვის. ამიტომ კარგ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება თითოეულ უჯრედში, ვმეორებთ, აქვს დიდი მნიშვნელობა. როგორც კომიტეტისათვის, ისე თვით უჯრედისათვისაც.

რა უნდა გააკეთოს უჯრედმა, რომ დამაკმაყოფილებლათ აცნობოს უმაღლეს პარტიული ორგანოს თავის მუშაობის შესახებ საერთოთ და, კერძოთ, საარჩევნო კრების ჩატარების ხასიათის შესახებ ამისათვის არის ბევრი საშუალება. უმთავრესი ფორმა უჯრედულ მუშაობის ინფორმაციისა, მუდამ იყო და არის ოქმების წარდგენა. მაგრამ, საუბედუროთ, ამ დარგში ჩვენ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს: ოქმები ხშირათ ძალიან იგვიანებენ, ოქმში ვერ არის აღნიშნული ყოველივე ის, რაც იყო კრებაზე და რაც საჭიროა. მოიკოკლებს თვით შინაარსი (ხშირათ ვერც გაიგებთ, რაზეა ლაპარაკი) და სხვა.

ეხლა ამაზე არ შევჩერდებით, მხოლოთ ვიტყვით, რომ საარჩევნო კამპანიის სხდომის ოქმი უნდა შედგენილ იქნეს ისე, რომ ის იძლეოდეს ნამდვილ სურათს იმისას, რაც იყო უჯრედის სხდომაზე. ოქმის წამკითხველმა უნდა მიიღოს, ისეთი წარმოდგენა კრების მსვლელობაზე, როგორც ეს სინამდვილეში იყო. საჭირო ვრცლათ, მაგრამ გასაგები ენით, აღნიშნული იყვეს კამათში გამოსული ამხანაგის სიტყვა (უმთავრესი მომენტები), დამსწრეთა შეკითხვები და სხვ.

გარდა ოქმებისა, ამ უკანასკნელ დროს შემოღებულია, როგორც ახალი ფორმა მუშაობის ეურედწოდებული ინფორმატივის ინსტიტუტი. საინფორმაციო აქტივი გამოყოფილია სულ 20—25 უჯრედში. აი, ამ უჯრედებიდან, სადაც არიან უჯრედის ინფორმატორები, შეიძლება მოცემულ იქნას უფრო კარგი ინფორმაცია, თუ ინფორმატორმა კარგათ შესრულა ის მოთხოვნილება, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ.

გარდა ოქმისა ჩვენ ამ უჯრედიდან მივიღებთ დამატებითი მოხსენებას, რომელშიაც უფრო ვრცლათ, ვიდრე ოქმში, აწერილი იქნება ჩატარებული კრების შინაარსი. თბილისის კომიტეტის მიერ გამომუშავებული სქემა-კითხვარი არის გეგმა, რომლის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს ინფორმატორის წერილობითი მოხსენება.

უჯრედის მუშაობას, ყველაზე უფრო იცნობს, მდივანი. ამიტომ ის დაინტერესებული უნდა იყვეს უჯრედის სხდომის მსვლელობით. კრების გათავების შემდეგ, აუცილებლათ უნდა გამოცხადდეს რაიკომში და იქ გააკეთოს ზეპირი ინფორმაცია. თუ საჭირო იქნა, წარადგენს მასალებს, საბუთებს ან და დასწრეს მოკლე მოხსენებასაც. ეს საჭიროა განსაკუთრებით იმ უჯრედებში, სადაც არ არის გამოყოფილი უჯრედის ინფორმატორი. რასაქმა უნდა, რაიკომის წარმომადგენელი მოვა, რაიკომი და თბილისის კომიტეტი დაინტერესებული არიან კამპანიის მსვლელობით, მაგრამ ფიზიკურათ შეუძლებელია ყველა უჯრედზე გაგზავნილი იქნეს წარმომადგენელი. უჯრედი თვითონ უნდა ამხაურდეს და ალაპარაკდეს თავის თავზე, აცნობოს რაიკომს თავისი ამბავი. როდესაც ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს ფართე პარტიული საზოგადოებრიობა, მაშინ უზრუნველყოფილი იქნება საარჩევნო კამპანიის მსვლელობის ინფორმაცია და, მაშასადამე, უფრო კარგათ შესწავლილ იქნება, როგორც მიღწევები; ისე ის ნაკლოვანებანი, რომლებიც მოითხოვენ გამოსწორებას.

ი. რ-ძე.

კომკავშირზე ხელმძღვანელობა

კომკავშირის უჯრედების მუშაობაზე ყოველდღიურ ხელმძღვანელობას პარტიის უჯრედები ახორციელებენ, კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებულ ამხანაგების საშუალებით.

კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ პარტამხანაგებს ევალებათ დასწრება უჯრედთა ბიუროს სხდომებზე; კომკავშირის უჯრედების საერთო კრებებზე, მონაწილეობის მიღება უჯრედის დირექტივების გამომუშავებაში და სხვა.

სინამდვილეში ეს ამხანაგები ბევრგან მხოლოდ „ქაღალდზე" იყვენ მიმაგრებულნი კომკავშირის უჯრედებზე.

პარტმიმაგრებული ზოგჯერ არა თუ არ იღებს მონაწილეობას კომკავშირის მუშაობაში, არ ხელმძღვანელობს მუშაობას, არამედ იშვიათად ესწრება უჯრედის ბიუროს სხდომებს და უფრო იშვიათად—უჯრედის საერთო კრებებს.

პარტუჯრედთა ბიუროს გადარჩევის დროს, მომავალ კამპანიის დროს ბიუროს ანგარიშების და უჯრედის შემდეგი მუშაობისათვის პრაქტიკული წინადადების გამომუშავების დროს, ამ საკითხს საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების სუსტი მუშაობის მიზეზით, კომკავშირის უჯრედები დამოუკიდებლათ ველარ უმკლავდებიან კომკავშირელთა წრეში შემჩნეულ ავადმყოფურ მოვლენებს.

სუსტი დისციპლინა, ცალკე კომკავშირელთა უწესრიგო საქციელი, რაც ხშირად ეწინააღმდეგება კომკავშირელთა ეთიკას, კომკავშირის უჯრედების მუშაობის უვარგისობა, განსაკუთრებით სუსტი მონაწილეობა პარტიის მიერ გატარებულ კამპანიებში (ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ფასების დაკლება, მუშაობა უღარიბესთა შორის)—ყველაფერი ეს ბევრ შემთხვევაში გამოწვეულია პარტხელმძღვანელობის სისუსტით,

უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანიის დროს პარტიული მასის ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის მუშაობის ხელმძღვანელობას, ვინაიდან კომკავშირი არის პარტიის შემცვლელი, ის არის წყარო, საიდანაც პარტია კრეფს თავის ახალ კადრებს.

იგოვი.

ჩვენი ხაზი შემცდარი იყო

(ყოფ. ოპოზიციონერების განცხადება)

ლენინგრადი, 12 სექტემბერი, ოპოზიციის მომხრეებმა ამხ. მაქსიმოვმა და ბორისოვმა „ლენინგრადსკაი პრავდა"-ში გაგზავნეს წერილი, თავიანთ ოპოზიციონური შეხედულებების უარყოფის შესახებ. მაქსიმოვისა და ბორისოვის შესახებ ლენინგრადის საგუბერ. საკონტრ. კომისიის დადგენილება უკვე იყო გამოქვეყნებული პრავდა"-ში, ამხ. ბორისოვი და მაქსიმოვი თავიანთ წერილში ამბობენ:

„დაწყებულ პარტიის მე-14 ყრილობიდან საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას უკანასკნელ პლენუმამდე ჩვენ ვიყავით ოპოზიციის მომხრენი გავეცანით რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, სავსებით და ყოველგვარ პირობის გარეშე უერთდებით ამ გადაწყვეტილებებს, როგორც ლენინური ხაზის ერთად-ერთ გამომსახველს, უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებამდე ჩვენ ვეწეოდით ფრაქციულ მუშაობას. ვაღიარებთ რა, რომ ეხლანდელ საპასუხისმგებლო მომენტში უმთავრესია პარტიის მთლიანობა, მოვალეობად ვთვლით დავემორჩილოთ ჩვენი პარტიის უმრავლესობას. ვხსნით ჩვენს ხელის მოწერას „83"-ის განცხადებაზე და ვემორჩილებით პარტიის უმრავლესობას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრნი მაქსიმოვი, ბორისოვი".

გარდა ამისა, „ლენინგრადის პრავდა"-ში გამოქვეყნებულია ყოფილი ოპოზიციონერების ამხ. ტომოსოვას და ზავადსკაიას წერილი, რომელნიც აცხადებენ; რომ შორდებიან ოპოზიციას და უერთდებიან ცეკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს (ადს).

ახალი ამოცანები

ფოთის ჭაობების ამოშრობასთან და მდ. რიონზე ნაოსნობის განახლებასთან დაკავშირებით

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში დაისახა, სხვათაშორის, ერთ თავის მთავარ მიზნად **ფოთის ჭაობების ამოშრობა.** ამავე დროს იმავე ხელისუფლებამ მიიღო ზომები **მდინარე რიონზე ნაოსნობის აღსადგენად,** და ეს საქმე სულ ახლო მომავალში განხორციელდება. რა თქმა უნდა, თვითეულ ამ საქმეთაგან აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიკისათვის, სახალხო მეურნეობის ზრდისა და განვითარებისათვის ერთმანეთთან დამოუკიდებლადაც. მაგრამ საკმარისია რამდენიმედ ცოტა უფრო ახლო გაეცნოთ ამ ორ დიდ ამოცანას, რომ თქვენ დარწმუნდეთ იმათ დიდ დამოკიდებულებაში ერთი - მეორესაგან.

ამ დღეებში მე მომიხდა ოდნავ გავსცნობოდი ფოთის ჭაობებს და დამეთვალიერებია ის მუშაობა, რომელიც ახლა იწყება ამ ჭაობების ამოსაშრობად. იმავე დროს მე საშუალება მომეცა ქ. ფოთიდან პირველად მემოგზაურა მდ. რიონზე 15—16 კილომეტრის მანძილზე დიდი მოტორიანი ნავით. ჩემი ამ მგზავრობის ინიციატივა ეკუთვნის სავსებით საქართველოს წყალთა სამმართველოს უფროსს—ამხ. **ნ. ბახტაძეს,** რომელმაც მთხოვა ადგილობრივ დამეთვალიერებია ყოველივე ეს. ამ მოგზაურობამ ჩემზე მეტად დიდი და ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. აქ მე ვიხილე ბევრი ისეთი რამ, რაზედაც აქამდის მე, როგორც საერთოდ სჩვევია ქართველებს, სრულიად არავითარი წარმოდგენა არ მქონდა. და ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ყოველივე ეს ჩვენში არსებობდა. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენში, სულ მცირეოდენ გამონაკლისის გარდა, ამნაირივე მდგომარეობაში იმყოფება დღესაც. ამიტომ მეტი არ იქნება ზოგიერთი ჩემი შთაბეჭდილება ჩვენ მკითხველებს განვუზიარო, რათა მათში იძრას და გაძლიერდეს ინტერესი იმ დიდი საქმისადმი, რომელიც ამჟამად ფოთის რაიონში და რიონის ხეობაში დაწყებულია და კეთდება. სხვა რომ თავი დავანებოთ, ამ ინტერესს და ყურადღებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ამას შეუძლია გაამხნევოს ის ადამიანები, რომლებიც აქ მუშაობენ მეტად მძიმე პირობებში. რა თქმა უნდა, ამით სრულებით იმის თქმა არ მინდა, რომ ამის შესახებ ავსტეხოთ ხმაურობა და ყვირილი, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიძლევია სიძნელენი და მიზანს არ მიგვიღწევია. მე ვლაპარაკობ მხოლოდ საჭირო ყურადღებაზე როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების მხრით.

ავიღოთ ჯერ **რიონზე ნაოსნობის** საკითხი. ბევრს ჩვენგანს, და მათ რიცხვში მეც, ეს საკითხი სამუდამოთ გადაჭრილი გვეგონა იმ აზრით, რომ რიონზე ნაოსნობა შეუძლებელი იყო. თურმე ეს დიდი და მიუტევებელი შეცდომა ყოფილა. მართალია, წინედ **ნ.ნიკოლაძეს** ეს საკითხი, როგორც აგრეთვე ფოთის ჭაობების ამოშრობის საკითხიც, მრავალჯერ აღუძრავს და სამისო პროექტებიც დაუმზადებია, მაგრამ ყოველივე ეს ფართო წრეებისათვის სრულიად უცნობი იყო, და საკითხი მიყრუვდა. *). დღეს კი სავსებით გამორკვეული და დამტკიცებულია, რომ ნაოსნობის აღდგენა რიონზე რკინისგზის სადგურ რიონამდე და, მაშასადამე, ქუთაისამდეც სულ ადვილად შეიძლება რიონის კალაპოტის სრულიად მცირეოდენი გაწმენდით; ეს გაწმენდა საჭიროა განსაკუთრებით სამტრედიის შემდეგ, სამტრედიამდის კი პირდაპირ დღესაც შეიძლება შედარებით პატარა გემების მოძრაობა სრულიად დაუბრკოლებლად. როგორც ვთქვი ზევით, ეს საქმე დღეს შეიძლება უკვე დამთავრებულად ჩაითვალოს, ისე რომ მომავალი წლიდან მდ. რიონზე გაჩაღდება მდინარის გემების მიმოსვლა. თუ რა მნიშვნელობა ექნება და რა შედეგი მოჰყვება ამ საქმეს დასავლეთ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრების წინ წასაწევად, ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. აქ მე ავღნიშნავ მხოლოდ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მე მივიღე რიონზე მოგზაურობის დროს, თუმცა მცირე მანძილზე. უნდა ვთქვა, რომ ეს პირდაპირ აუწერელი სილამაზეა, ეს რაღაც ზღაპრულ სურათს მოგაგონებთ და როცა მიდიხართ, თვალს ვერ აშორებთ რიონის მწვანე ტყით შემოსილ ნაპირებს. სად რკინისგზით მოგზაურობა და სად მდ. რიონზე. არავითარი შედარება. რა თქმა უნდა, რიონზე ნაოსნობის განსავითარებლად და უზრუნველსაყოფად უთუოდ საჭირო იქნება ამ მდინარის რეჟიმის შესწავლა და მისი მოწესრიგება.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ რიონი როდი ყოფილა ამ მხრით ერთად-ერთი მდინარე ამ რაიონში, რომელზედაც შეიძლება ნაოსნობის გამართვა. ამავე რაიონში, რიონის როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, არის მთელი **სისტემა მდინარეების,** რომლებზედაც თითქმის ახლავე თავისუფლად შეიძლება პატარა გემების მიმოსვლა, და იმათი კალაპოტების ცოტაოდენი გაწმენდის შემდეგ ეს მიმოსვლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილი შეიქნება. ეს მდინარეებია: რიონის მარჯვნივ **ხოპი, ციფა და ცია** (უკანასკნელის ტოტი), მარცხნივ: **პიჩორა,** რომელიც იწყება საჯავახო-ნიგოითის მთებში და ჩადის **პალიასტომის ტბაში,** შემდეგ **კაპარჭა,** რომელიც გამოდის ამ ტბიდან და უერთდება მდ. მათალყვას. თითქმის ყველა ამ მდინარეებზე ჩვენ ვსინჯეთ დიდი მოტორიანი ნავით მოგზაურობა, და აქედან მე დავრწმუნდი, რომ განსაზღვრულ მანძილზე მაინც ყველა ეს მდინარეები ნაოსნობისათვის სავსებით გამოსადეგია. მართალია, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შორს მანძილზე ნაოსნობა ამ მდინარეებზე არ შეიძლება, დაახლოებით ამ მანძილის განსაზღვრა შეიძლება ჯერ-ჯერობით ოცი-ოცდაათი ვერსით, მაგრამ ამასაც აქვს მნიშვნელობა, მით უმეტეს რომ ამ მდინარეებზე **ნაოსნობის მოწყობა მჭიდროთ დაკავშირებულია ფოთის ჭაობების ამოშრობასთან.** ყველა ეს მდინარეები: (**ციფა** *) თავისი შტო **ციათი, პიჩორა, კაპარჭა** და რამდენიმედ ხოპიც—მდებარეობენ პირდაპირ დაჭაობებულ ადგილებში. მაგრამ რა **გასაოცარი სურათებია,** როცა ამ მდინარეებზე მოგზაურობთ, განსაკუთრებით ეს ითქმის **მდ. ციფაზე** თავისი შტო **ციათი** და **პიჩორაზე.** იქ თქვენ გრძნობთ თავს რაღაც მოჯადოებულ არემარეში, სრულებით ახალ მხარეში. მე არ ვიცი, თუ ამაზე მეტი სილამაზე შეიძლება ადამიანის თვალმა იხილოს სხვა ადგილას. **პალიასტომის ტბაც** ასეთია. და ჩვენ აქამდის არა თუ ვერ ვიყენებთ ამას, არც კი ვიცნობთ მას. აქამდის მხოლოდ ამ მდინარეებთან ახლო მცხოვრები გლეხობა იყენებს იმათ დიდის ვაივაგლახით და წვალებით შეშის გადასაზიდათ თავის პრიმიტიულ ნავების საშუალებით. ესაა სწორედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენილობის დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ ამ მხრით ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა წესწყობილების მეოხებით იწყება **დიდი გარდატეხა,** და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ყველა ზევით ჩამოთვლილ მდინარეების გამოყენება სათანადოთ მოეწყობა და იმათ მიდამოებში გაჩაღდება ახალი ცხოვრება.



ფოთის ჭაობიან ადგილების სქემა

საბჭოთა ხელისუფლება უკვე შეიჭრა იქ, სადაც უხსოვარ დროიდან სავსებით სტიქია ბატონობდა. გლეხებში ამ გარემოებამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ყველა ამ მდინარეების და უპირველეს ყოვლისა თვით რიონის სათანადოთ და ყოველმხრივად გამოყენებას მე **ვუკავშირებ ფოთის ჭაობების ამოშრობას.** როგორც იცით, ამ რაიონში დაჭაობებულია რამდენიმე **ასი ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა.** ეს შეიცავს რიონის ხეობის უდიდეს ნაწილს. ეს მიწები არა თუ სრულიად უნაყოფოდ ძევს, არამედ ისინი აფუჭებენ და სწამლავენ ჰაერს და საშინელ ვნებას აყენებენ მოსახლეობის ჯანმრთელობას. ამ ადგილების დაჭაობების ისტორია ჩვენთვის უცნობია, ის გამოკვლეული არაა. ერთი რამ აქ აშკარაა,—ეს ის, რომ ამ ჭაობების **დონე დაბალია** როგორც **მდ. რიონის,** ისე **ზღვის დონესთან** შედარებით. და აი სწორედ უმთავრესად ეს გარემოება, რომ უკიდურესად აძნელებს და ართულებს ფოთის ჭაობების ამოშრობის საქმეს. ეს ასე რომ არ ყოფილიყო დაჭაობებასაც ადგილი არ ექნებოდა და ეს დაჭაობება სისტემატიურად გრძელდებოდა იმიტომ, რომ რიონი ყოველ წყალდიდობის დროს ამოდის კალაპოტიდან, და გადმოსული წყალი სისტემატიურად იგუბება ამ ჭაობებში, რადგანაც მას გასავალი აღარსად აქვს. აქედან აშკარაა, რომ უპირველეს ყოვლისა ფოთის ჭაობიანი ადგილები ჩვენ უნდა დავიხსნათ ახალ-ახალი დაჭაობებისაგან მდ. რიონის მხრით, ე. ი. საჭიროა, რომ რიონის ნაპირები ამაღლებულ იქნას ისე, რომ წყალდიდობის დროს რიონმა აღარ გადმოიაროს თავის კალაპოტიდან, ან მივუჩინოთ ამ ზედმეტ წყალს არხების საშუალებით სადენი პირდაპირ ზღვაში. ამ გზით სისტემატიური დაჭაობება, რასაც დღემდის აქვს ადგილი, შეჩერებულ იქნება და ეს უკვე თავის თავად, დიდი საქმე იქნება. გარდა ამისა, ამ საშუალებით ჩვენ ვიხსნით **თვით ქალაქ ფოთს წალეკვისაგან** ყოველ წყალდიდობის დროს.

როგორც სჩანს, წყალთა სამმართველოც სწორედ ასე მისდგომია ფოთის ჭაობების ამოშრობის ამოცანას, და სხვანაირად შეუძლებელიც იყო. პირველ ყოვლისა ქ. ფოთის ერთი მხარე, საიდანაც ის ილეკებოდა რიონიდან გადმოხეთქილი წყლით, შემოვლილია **მიწის ზვინით (земляной вал),** რომელიც ამიერიდან სავსებით უზრუნველჰყოფს ქალაქს წალეკვისაგან. ამგვარი მიწის ზვინი რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე კეთდება დღეს კიდევ წყალთა სამმართველოს **მიერ ჭალადიდის** რიონზე, რომლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ არ მისცეს რიონს საშუალება ადიდების დროს ისედაც დაჭაობებულ ადგილებს კიდევ მიუმატოს წყალი. ამ ზვინების გაკეთებაზე მუშაობს დღეს იქ თითქმის 1000-დე კაცი. სამწუხაროდ, დროს უქონლობის გამო, ჩვენ ველარ მოვასწარით ამ სამუშაოს დათვალიერება.

ჩვენ დავათვალიერეთ **სხვაგვარი სამუშაო,** რომელსაც აწარმოებს წყალთა გამგეობა სოფ. **პატარა ფოთის** რაიონში, დაახლოებით 15—16 კილომეტრის მანძილზე ქ. ფოთიდან. ამჟამად აქ გაკეთებულია 3—4 არხი, რომლებიც იწყებიან მდ. რიონიდან და რომელთა დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მდ. რიონის ადიდების დროს, ზედმეტი წყალი მიიღოს რიონიდან და მიუშვას ის დაჭაობებულ ადგილებში სივრცით დაახლოებით 3.000 დესეტინამდე. როგორც ვიცით, ადიდებულ მდინარეს საერთოდ ყოველთვის მოაქვს ლექი (ИЛ-სილა) დიდი რაოდენობით. გამოცდილება გვეუბნება, რომ, როცა ასეთი წყალი ნელნელა მიმდინარეობს, ამ ლექს სტოვებს და სუფთა წყალი კი განაგრძობს დენას. ფიქრობენ, რომ ამ გზით რამდენიმე წლის, შეიძლება 5—10 წლის განმავლობაში ჭაობები თანდათან ამოივსებიან ამ ლექით (სილით) და, მაშასადამე, გაშრებიან. როგორც ხედავთ, ამას ჯერჯერობით უფრო ცდის ხასიათი აქვს; ნაყოფიერი შედეგის მიღება აქედან შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ, სისწორით ეს ჯერ თვით სპეციალისტებმაც არ იციან. როგორც გადმოგვცა ამხ. ბახტაძემ, ასეთი ცდა მთელ ჩვენ კავშირში პირველი მაგალითია და ამიტომ ამ ცდით ცენტრში მეტად დაინტერესებული არიან. ყოველ შემთხვევაში ერთი პრაქტიკული შედეგი ამ სამუშაოსი მდგომარეობს იმაში, რომ ეს არხებიც თავის მხრით უზრუნველჰყოფენ ქ. ფოთს წყალდიდობის ყოველივე ხიფათისაგან, რადგანაც ისინი მიიღებენ მდ. რიონიდან ადიდებულ წყალს, რომელიც დაწრეტის შემდეგ გადავა პალიასტომის ტბაში და აქედან კი მდ. **კაპარჭას** და **მათალყვას** საშუალებით ჩავა შავ ზღვაში.

როგორც ხედავთ, ამ არხების საშუალებით ჯერჯერობით შეიძლება ამოშრეს მხოლოდ ფოთის ჭაობების სულ მცირედი ნაწილი. რაც შეეხება საერთოდ ამ ჭაობების ამოშრობას, ჯერ-ჯერობით სწარმოებს მხოლოდ იმათი შესწავლა და გამოკვლევა სხვადასხვა მხრით (ჰიდრომეტრიული, ჰიდროგეოლოგიური და სხვ.), და შემდეგ ყველა ამ გამოკვლევათა შედეგების მიხედვით უნდა შესდგეს თვით ამოშრობის გეგმაც. ამავე დროს განზრახულია ზოგიერთ მდინარეების კალაპოტების გაწმენდა დიდი ნავების და კატერების მიმოსვლისათვის, რაც თავის მხრით ხელს შეუწყობს და გაადვილებს ამოშრობის მუშაობას. უნდა ითქვას, რომ ასეთი დიდი ჭაობების, როგორიცაა ფოთის ჭაობები, ამოშრობის გამოცდილება ჩვენში არავის აქვს. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საქმეს სიფრთხილით მოვეკიდოთ, რათა ტყუილ-უბრალოთ არ დაიხარჯოს ფული (ფული კი ამ საქმეს მართლაც ბევრი საჭიროდება); საჭიროა სავსებით გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების (მაგ., იტალიის, მდ. **პოს ჭაობების ამოშრობა**) გამოცდილება.

როგორც ხედავთ, ფოთის ჭაობების ამოშრობა მეტად სერიოზული ამოცანაა. ამ საქმეში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიჩქარით, რადგანაც ჩვენ ეხლავე გვესაჭიროება ეს ამოშრობა, რადგანაც ის მოგვცემს ჩვენ მიწის შედარებით დიდ თავისუფალ ფონდს უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის. მაგრამ მარტო აჩქარებით საქმე არ გაკეთდება, უკეთესია ცოტა გვიან, ვინემ აჩქარებით საქმე გავაფუჭოთ. ამოშრობის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს **სახალხო მეურნეობის ყველა დარგს,** და არ უნდა გაგვიტაცოს მხოლოდ ერთმა რომელიმე დარგმა. ეს უნდა ითქვას, უმთავრესად, ორი დარგის: **მელიორაციის და ჰიდროელექტროფიკაციის** შესახებ; ეს ორი დარგი ყველაზე უფრო მჭიდროთ შეკავშირებულია ერთმანეთთან, ამიტომ მათი მუშაობა უნდა ხდებოდეს **ერთი ერთმანეთთან შეფარდებით და შეთანხმებით.**

ფოთის ჭაობების ამოშრობა ერთბაშად არ მოხდება, ამას ჩვენ მივაღწევთ თანდათანი და სისტემატიური მუშაობით მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში; მაგრამ ჩვენ ამ მიზანს მივაღწევთ. ამ საქმის მოგვარება **ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობას.** ის შექმნის **ახალ ძლიერ ფაქტორს** როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მრეწველობის წინსვლისათვის. ამით ჩვენ შეგვემატება რამდენიმე ათეული და შეიძლება ასეული ათასი დესეტინა **უნოყიერესი მიწების,** სადაც შესაძლებელი იქნება მაღალი ტეხნიკური კულტურის წარმოება. იქ უნდა გაშენდეს **ჩაის, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და სხვა მცენარეთა პლანტაციები,** იმედი არის, რომ ეს მიწები გამოდგებიან აგრეთვე, **კაუჩუკის კულტურისათვის,** რაც ასე საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის და რაც ჩვენ იძულებული ვართ საზღვარგარეთიდან ვზიდოთ.

ყველა ეს ბრწყინვალე პერსპექტივები ოცნებას არ წარმოადგენენ. ყველა ამას აქვს სერიოზული საფუძველი სინამდვილეში; საჭიროა ჩვენი მხრით ამ საქმეში **უდიდესი ყურადღება და მუყაითობა.**

მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სულ ახლო მომავალში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის **ნაპირების დღევანდელი სურათი სრულიად გამოიცვლება,** თითქმის იმ შემთხვევაშიაც კი, თუ რომ გურიაში ნავთი არ აღმოჩნდა იმდენი, რომ მისი ექსპლოატაცია დღევანდელ პირობებში ხელსაყრელი გამოდგეს. აქედან აშკარაა ისიც, თუ **რამდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან** ფოთის ჭაობების ამოშრობა და მდ. რიონზე და აგრეთვე ხოპზე, ციფაზე და პიჩორაზე **ნაოსნობის გაჩაღება.**

იმ მიზნით, რომ მკითხველმა რამდენიმედ უფრო ნათელი წარმოდგენა იქონიოს ფოთის დაჭაობებულ რაიონზე და მის მდინარეებზე—მე აქ ვათავსებ ამ რაიონის სქემატიურ მოხაზულობას უმასშტაბოთ.

ფ. მახარაძე.

---

*) რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცოდით ის, რომ ფოთი-თბილისის რკინის გზის გაყვანებამდე, (1671 წელი) მდ. რიონზე დაბა ორპირამდე დადიოდენ გემებით.

*) უნდა შევნიშნოთ აქ, რომ ამ სახელწოდებით ცნობილია ორი სხვადასხვა მდინარე, რომელთაგან ერთი მდინარე რიონის შტოა, მეორე კი მდინარე ხობთან ერთად ერთვის პირდაპირ შავ ზღვას.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნიაღვარი გურიაში

ოზურგეთი, 11 სექტემბ. (დეპეშა დაგვიანებით არის მიღებული), განუწყვეტელმა წვიმებმა, რომელიც ნიაღვრის ხასიათს იღებს, შეაჩერა ყოველგვარი სასოფლო - სამეურნეო მუშაობა სოფლად. დაბლობ ადგილებში სიმინდი და ბოსტნები წყალით არის დაფარული. მდინარეები ადიდდა. სოფლის გზები გაფუჭებულია. 6 სექტემბერს ნიაღვარმა გაარღვია ძველი ჯებირი სოფ. შემოქმედთან. მთის მდინარე ბჟუჟა ადიდდა და ნაპირები გადალახა. ნიაღვარმა წალეკა ხე-ტყის მასალა, რომელიც დამზადებული იყო ჯებირის ასაშენებლად, 100 ფუთი თხილი და სიმინდი წყლის ნაპირას რაიონში. წვიმები გრძელდება. შესაძლოა ქალაქის დაბალი ქუჩების წალეკვა (ადს).

აფხაზეთი

გულრიფშის სანატორიუმის შეკეთება

სოხუმი, 12 სექტემბერი. აფხაზეთის საკურორტო სამმართველო ამთავრებს გულრიფშის სანატორიუმის შეკეთებას, რაც დაჯდა 50.000 მან. ავადმყოფების მიღება დაიწყება ოქტომბრიდან. (ადს).

ეცნობიან აფხაზეთს

სოხუმი, 12 სექტემბერი. სოხუმში ჩამოვიდა უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი, უკრაინის ცაკის მდივანი ამხ. ბუცენკო და „იზვესტია“-ს რედაქტორი ამხ. **სკვორცოვი.** სტუმრებს განზრახული აქვთ გაეცნონ აფხაზეთის კურორტებს, მეურნეობას და მრეწველობას. მათ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მახარაძეს და საქართველოს მშრომელთ. (ადს).

წერილები

ქველი სენაკი, სენაკის მაზრა

მარიამობის მსხვერპლი

სოფ. ძველ სენაკში დღესაც დაცულია დრომოჭმული ტრადიციული დღეობა „მარიამობა“.

აღნიშნული დღესასწაულის უფრო მხიარულად ჩასატარებლად 28 აგვისტოს სხვა გასართობებთან ერთად მოწყობილი იყო კავკასიური ჭიდაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მოჭიდავე ნესტორ ესებუა. რამოდენიმე წყვილი ჭიდაობის შემდეგ, როდესაც ერთი მოჭიდევთაგანის წაქცევა სადაო გახდა, შეიქნა გაწევ-გამოწევა და ყვირილ-ხივილი.

ამ დროს ხელმძღვანელმა ესებუამ გამოიტანა ქოთნებით მოწყობილი ლამპები, რომლებშიც ეყარა ბენზინითა და ნავთით გაჟღენთილი ქვიშა, დაუწყო მაყურებელ ბავშვების გვერდით და გაბრუნდა მოჭიდავეების მოსარიგებლად. მის გაბრუნებისათანავე გადმოსცვივდა ქოთნები, დაიმტვრა და ეს ბენზინით გაჟღენთილი მიწა გადაესხა სამ ბავშვს.

ბავშვებს იმ წუთშივე წაეკიდა ცეცხლი. ცეცხლმოკიდებული ბავშვები დარბოდენ წრეში და მოითხოვდენ შველას. მაგრამ ხალხი ისე იყო დაბნეული, რომ არ იცოდენ როგორ მიშველებოდენ.

ბოლოს, როგორც იქნა ნახევრად დამწვარ ბავშვებს შემოახიეს ტანისამოსი და ჩააქრეს ცეცხლი.

მაგრამ დამწვარმა ბავშვებმა დიდხანს ვეღარ იცოცხლეს.

ამ ამბის მეორე დღესვე, ე. ი. 29 აგვისტოს, გარდაიცვალა გლეხ გოგილიშვილის დამწვარი ქალი, ხოლო პირველ სექტემბერს გულუას ქალი.

მესამეც ამჟამად უნუგეშო მდგომარეობაშია და არ იციან გადარჩება თუ არა.

ცეცხლის ჩაქრობის დროს ხელები დაიწვა აგრეთვე რვა კაცმა, რომლებიც რამოდენიმე დღე მოსცდნენ თავიანთ სამუშაოს.

აღნიშნულ უბედურების გამო ამტყდარ განგაშის დროს დაიკარგა მაყურებელ გლეხების და მათი ცოლ-შვილის ტანსაცმელები; ქუდები; ქალის ტუფლები, თავსახვევები და სხვ. მოჭიდავეებმა კი ამ დაზარალებულ ხალხისაგან მიიღეს 280 მანეთის შემოსავალი.

ვინ აუნაზღაურებს მშობლებს ასეთი არაკულტურული მოჭიდავეების გამო მიყენებულ მსხვერპლს. შეიძლება სენაკის მაზრის აღმასკომმა გვიპასუხოს ამაზე.

დამსწრე.

თელავი

არაჩვეულებრივი სიცხეები

აგვისტოს მეორე ნახევარში არაჩვეულებრივი სიცხეები დაიჭირა თელავის მაზრაში. შუადღისას სიცხე აღწევდა 45—48 გრადუსს, რაც იშვიათი მოვლენაა მთელს კახეთში. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ასეთი ხანგრძლივი გვალვა არავის არ ახსოვს.

გვალვის მიზეზით სიმინდის მოსავალი ვერ არის კარგი. სიმინდის მოსავალს შედარებით კარგი პირი უჩანს მხოლოდ ალაზნის ნაპირებზე, ვისაც ჰალა ქონდა გატეხილი, მაგრამ აქაც საშუალოზე ნაკლებია.

ზამთარში დათესილი პური მოსცდა მშრალი ზამთრის გამო, ხოლო ზაფხულის ნათესი ნაადრევმა ხშირმა წვიმებმა სულ გაანადგურა. ისე, რომ ბევრმა გლეხმა საქონლის საკვებად გათიბა პური.

ხანგრძლივმა გვალვამ არც ვენახებს დააყარა ხეირი. რაც სეტყვას გადაურჩა, ის სიცხემ ისე შეაწუხა, რომ მტევანი სულ გაათხელა. ეს არის მიზეზი, რომ უკანასკნელ ხანებში ღვინოს ფასმა საშინლად აიწია. ივლისში საპალნე (45 ვედრო) 120—150 მანეთად ფასობდა და მყიდველი არავინ იყო, ეხლა ასეთივე ხარისხის ღვინო 300—350 მანეთად იყიდება.

გვალვის და სიცხეების მიზეზით ყველგან წყლის ნაკლებობამ იჩინა თავი და სხვადასხვა ავადმყოფობამაც თავი წამოყო.

ვინ.

ქ. გორი

უპირატესობა კოოპერატივს

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ქ. გორის აღმასკომი შეუდგა ქალაქის კეთილმოწყობას და მიწისძვრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარებას. ამ მიზნით აღმასკომმა მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, საიდანაც დაზარალებული მოსახლეობა იღებდა შეღავათიან ფასებში ხე-ტყის მასალას. ამან ხელი შეუწყო ქ. გორის აღდგენას და მის კეთილმოწყობას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ საამშენებლო მასალის ნაკლებობა გორის კოოპერატიულ დაწესებულებებში აფერხებს საამშენებლო საქმეს, ასეთი მასალა მოეპოვებათ კერძო ვაჭრებს, ჯოჯიაშვილსა და არჩვაძეს, რომლებიც ასი პროცენტის მოგებით ყიდიან და ატყავებენ გლეხებს. გორის კოოპერატიული სავაჭროები ვერ უწევენ მეტოქეობას კერძო ვაჭრებს საამშენებლო მასალის მიწოდების მხრივ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით საბჭოთა დაწესებულებებიც კერძო პირებისაგან იძენენ ასეთ მასალას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გორის დაწესებულებები რატომღაც გაურბიან კოოპერაციას.

სახელგამმა ქ. გორში გახსნა საკანცელარიო ნივთების სავაჭრო განყოფილება, დაწესებულებები კი ისევ კერძო ვაჭრებისაგან იძენენ საკანცელარიო ნივთებს და თვეში 600—700 მანეთს მატებენ მათ. ეს იმ დროს, როდესაც სახელგამი გაცილებით იაფად ყიდის ყველაფერს, ვიდრე კერძო ვაჭრები.

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს გორის საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებმა და მიიღონ ზომები ნაკლის გამოსასწორებლად.

კოხტაიძე.

წერილებიდან

მეჯვრისხევის თემი, გორის მაზრა

ვებრძოლოთ მავნებლებს

სოფ. ზერტში თაგვებმა დიდი ზარალი მიაყენეს გაზაფხულის ნათესებს. ნათესების მოკრეფის შემდეგ თაგვები სოფელს ესევიან და თითქმის სავსებით მოსპეს წვრილფეხა ფრინველები. თაგვები იმდენად დიდებია, რომ ხაფანგები და სხვა ასეთები საქმეს არაფერს შველის.

სამწუხარო ბედი მოელის აგრეთვე სათესლეთ და საკვებად შენახულ ქირნახულს, თუ ამ თავითვე არ მივიღეთ სასტიკი ზომები ამ მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიწადმოქმედების კომისარიატის გორის მაზრის განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გამონახოს საშუალება თაგვების საწინააღმდეგოთ.

შავსოფლელი.

საგარეჯო, თბილისის მაზრა

გლეხების ქონების გაფლანგვას არ შევარჩენთ

სამი წელიწადია, რაც სოფ. პატარძეულის გლეხკომის სვე-ბედს განაგებს მოქ. ჰინჭარაული. ის ტკბილად და განცხრომით ატარებდა ცხოვრებას და უშიშრად შეექცეოდა გლეხკომის ქონებას.

მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელებულა მოქ. ჰინჭარაულის ასეთი მდგომარეობა. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად თავს დაესხა სარევიზიო კომისია, რომელმაც აღმოაჩინა 1.200 მან. გაფლანგვა. ჰინჭარაული ამჟამად გამსახლში ბრძანდება.

საგარეჯოს გლეხკომის თავმჯდომარემ, იაკო შიოშვილმაც მიბაძა მოქ. ჰინჭარაულის მაგალითს და მიითვისა გლეხკომის 150 მანეთი, შიოშვილი არ კისრულობდა ამ ბრალდებას. ის ცდილობდა თავიდან აეცილებინა მითვისებული ფულის გადახდა, მაგრამ ამაოდ, მითვისება უკვე დამტკიცდა, რაიც მან მოკლე ხანში უნდა აანაზღაუროს და წარსდგეს სასამართლოს წინაშე.

გ—ლ.

სოფ. ტაბახმელა, თბილისის მაზრა

კულტმუშაობა მოისუსტებს

სოფ. ტაბახმელა მდებარეობს აგარაკ კოჯორის მახლობლად. მიუხედავად ასეთი სიახლოვისა სოფელი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია. აქ არსებობს საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელი სადგური, სადაც მუშაობს დაახლოვებით 70 მუშა. მუშები მოკლებულნი არიან კულტურულ მუშაობას. აქ არ არის კლუბი, რომ შესაძლებელი იყოს დროგამოშვებით საღამოების გამართვა და ამ საშუალებით გლეხებში და მუშებში კულტურული მუშაობის გაცხოველება.

არსებობს მხოლოდ ერთი სასწავლებელი, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოწაფეთა მოთხოვნილებას.

საჭიროა შრატის დამამზადებელი სადგურის ადმინისტრაციამ და სოფლის საბჭომ იზრუნონ სოფლის გლეხებში და მუშებში კულტურული მუშაობის გასაცხოველებლად.

მოაგარაკე.

სოფლის ქრონიკა

— **ახალი არტელი.** სოფ. ჰანეთში (ოზურგეთის მაზრა) დაარსდა სას. სამ. არტელი.

— **თაფლი.** წელს ცუდი ამინდების გამო თაფლის მოსავალი გურიაში საშუალოზე ნაკლები იქნება.

— **სკოლა.** სოფ. ცახანში (აბასთუმნის რაიონი) საკურორტო სამმართველო აგებს სკოლას.

— **პატარა საავადმყოფოების მოსაწყობად** მაზრებში აჭარისტანის ფინსახკომმა გადასდო 10.000 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

ოთხშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ 5 საათზე.

მუშკორების მონაწილეობა ოქტომბრის მომავალ ზეიმში

მუშკორ-გლეხკორთა ორგანიზაციებმა, როგორც ყოველთვის, ისე ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზეც მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ზეიმის ჩატარებაში.

ამ მიზნით მუშკორ - გლეხკორთა წრეებმა უნდა დაისახონ მიზნათ წრის წევრების მიერ ოქტომბრის რევოლიუციის შედეგების გაშუქება პრესაში, კედლის გაზეთის მომზადება და გამოშვება და ადგილობრივ ორგანოების მიერ გამართულ საღამოებში მხურვალე მონაწილეობის მიღება.

მუშკორთა წრეებმა უნდა გამონახონ მუშები, რომელთაც შეეძლებათ თავიანთ მოგონების დაწერა ოქტომბრის რევოლიუციის წინადღეების შესახებ.

მასალები ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ არ უნდა შესდგებოდეს მარტო მოგონებებიდან. მხედველობიდან არ უნდა გამოუშვათ ის გარემოება, რომ ჩვენ ჯამს უკეთებთ მთელს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს 10 წლის მიღწევებს.

ამიტომ მუშა - გლეხკორებმა უმთავრესად შემდეგი საკითხები უნდა გააშუქონ გაზეთებში: რა გაკეთდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რა მიღწევები აქვს ამა თუ იმ ფაბრიკა - ქარხანას, რამდენად გაუმჯობესდა წარმოება, რანაირ მდგომარეობაში იყვნენ მუშები ოქტომბრის რევოლიუციამდე და რანაირ მდგომარეობაში არიან დღეს და სხვა.

გარდა ამისა, მუშკორ - გლეხკორთა წრეებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ კედლის გაზეთის საიუბილეო ნომრის გამოცემას. ეს ნომერი არ უნდა იყოს დატვირთული პოლიტიკური სახის გრძელ-გრძელი წერილებით, რაიც მიუღებელია ჩვეულებრივ ნომერშიაც კი. მოთავსებული უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლე და კონკრეტიული წერილები ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნის, ან სოფლის ცხოვრებიდან. კარგი იქნება, თუ კედლის გაზეთები ამ დღისათვის გამოჰყოფენ ცალკე კუთხეს სათაურით: „რა მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ?“ ამ განყოფილებაში უნდა დაგროვდეს მოკლე და კონკრეტიული მასალა.

ოქტომბრის რევოლიუციამ მშრომელ ხალხს მისცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. პროლეტარულმა პრესამ მუშებსა და გლეხებს გაუწია კულტურული და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. მან თავი მოუყარა მშრომელ ხალხს რევოლიუციონურ კომუნისტურ პარტიის ირგვლივ და ოქტომბრის — რევოლიუცია მიიყვანა საბოლოო გამარჯვებამდე.

თვით მუშკორთა მრავალრიცხოვანი არმიაც ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლი შვილია. ამიტომ მუშკორ - გლეხკორთა ორგანიზაციებმა მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დღესასწაულის ჩატარებაში.

ვ. ნ.

საჭიროა აილაგმონ

(აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის საყურადღებოთ)

ლიზა და იოსები იგიტოვი, მცხოვრებნი ალუზის ქ. № 43, ყოველ დღე ჩხუბობენ, რითაც აწუხებენ და შეურაცხყოფას აყენებენ აღნიშნულ სახლში მცხოვრებ მუშა - მოსამსახურეებს, რომლებსაც მეტი მოთმენა აღარ შეუძლიათ. ალაგმეთ აღნიშნული პირები.

ხელს აწერს ოთხი მდგმური.

სპირტის ქარხანაში

საქართველოს სპირტის პირველ ქარხანაში ეხლა მუშაობს 50 კაცი, აქედან 23 კაცი ითვლება მაგარ შტატში. შემოდგომით ხილის დაგროვების გამო შტატი დიდდება, ვინაიდან იწყება სასეზონო მუშაობა.

ქარხნის მასალა შემოდის გორის და ზესტაფონის მაზრებიდან, აგრეთვე ყიდულობენ სხვა მაზრებშიაც.

სასმელების დამამზადებელ განყოფილებებისათვის ზაფხულობით იძენენ 300 ფუთ სხვადასხვა ხილეულობას, რომლებსაც ინახავენ უზარმაზარ კოდებში (ასეთი ქარხანაში 12-ტია), ნახევრად ასხამენ სპირტს; ერთი თვის შემდეგ აქედან ღებულობენ დანაყენს, რომელიც გადააქვთ მეზობლად მდებარე შენობაში, სადაც ამუშავებენ იმის და მიხედვით, თუ რა სასმელი უნდა მიიღონ. ასეთი კი 75 ხარისხისაა.

მიმდინარე წელს პურის სპირტი იყო დამზადებული 65 პროცენტით ნაკლები, ვიდრე გასულ წელს, ეს აიხსნება იმით, რომ ამ წელს საგრძნობლად შემცირდა მოთხოვნილება. სამაგიეროთ ლიქიორი და სხვა ასეთი ტკბილი სასმელები ამ წელს გამომუშავებულია 158 პროც. მეტი, ვიდრე გასულ წელს, რაც გამოწვეულია აღნიშნულ ნაწარმოების დიდი მოთხოვნილებით.

ქარხნის დანაკლისი იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოო თათბირი არ მუშაობს, რომლის საშუალებით შეიძლებოდა მრავალი მტკივნეული საკითხის მოწესრიგება და წარმოების აწევა.

წინეთ ქარხანაში გამოდიოდა კედლის გაზეთი „ზარია“, სადაც იწერებოდა ასეთი საკითხების შესახებ, ეხლა არც ის გამოდის და არავინ არაფერს არ ამბობს.

პირველი ნაბიჯი წარმოების რაციონალიზაციისა გამოიხატა სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე ჭურჭლეულობის სარეცხი და სხვა წყოსნების ყიდვაში. ეს წყოსნები იმუშავებენ ზაჰესის დენის საშუალებით. ამ სამუშაოზე ეხლა მუშაობს 15 კაცი, ხოლო წყოსნების დაყენების შემდეგ იმუშავებს 5 კაცი და ნამუშევარიც იქნება უფრო კარგი ხარისხის.

ლოხ.

რა აფერხებს ახალგაზრდათა კვალიფიკაციის ამაღლებას

პროფორგანიზაციების უმთავრესი ყურადღება მიქცეული არის იქითკენ, რომ რაც შეიძლება სწორედ იყოს დაყენებული ახალგაზრდათა კვალიფიკაციის ამაღლება ყველა ფაბრიკა - ქარხნებში და გეგმიანად სწარმოებდეს მათ მიერ ხელობის შესწავლა.

მოზარდი ახალგაზრდობა იგზავნება იქ, სადაც მას შეუძლია მიიღოს რაიმე გარკვეული კვალიფიკაცია. ამას გარდა მუშავდება კიდევ ცალცალკე კვალიფიკაციის პროგრამა. პროგრამის თანახმად შეგირდი განაგრძობს ხელობის შესწავლას ხელოსნის ხელმძღვანელობით. არის შრომის კომისარიატის სპეციალური დადგენილება, აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსში ნაჩვენებია. რომ ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც არის განსაზღვრულ განყოფილებაში მიმაგრებული ხელობის შესასწავლად, არ შეიძლება გადაყვანილ იქნას სხვა რომელიმე განყოფილებაში, რომელიც არ არის მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული.

ადმინისტრაცია ხშირად არღვევს ამ დებულებას და მოწაფეები გადაჰყავს ერთი განყოფილებიდან მეორეში. არის შემთხვევები, როდესაც შეგირდებს შავ სამუშაოსაც აძლევენ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მის კვალიფიკაციის აწევასთან. ეს კი აფერხებს ხელობის შესწავლას. ზემოდ ჩამოთვლილ დეფექტებს ადგილი აქვს, მაგალითად, მაკაროვის ქარხანაში საქართველოში, „როზა ლუქსემბურგის“ და „პროლეტარის“ თუთუნის ქარხნებში. აღნიშნულ საკითხის შესახებ შეგირდებს ბევრჯერ შეუტანიათ კავშირში საჩივარი, მაგრამ მიუხედავად კავშირის წინადადებისა, დასახელებულ წარმოებებში მაინც ადგილი აქვს მოწაფეების გადაყვანა - გადმოყვანას.

ლ. ჯ.

შეაკეთეთ სკოლა

ბორჯომის მუშათა უბნის შრომის სკოლა [illegible] მდგომარეობაშია და საჭიროებს როგორც შენობის შეკეთებას, ისე ინვენტარის შევსებას. კერძოდ ფიზიკური კაბინეტის მოწყობას. ამ სკოლაში მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან 90 პროც. ბორჯომის ქარხნების მუშების შვილებია, რის გამოც მას საქართველოს გასაბჭოებამდე და შემდეგშიაც ინახავდა ბორჯომის შუშის ქარხანა. მაგრამ დღეს მისგან არავითარი დახმარება აღარ აქვს.

მართალია, სკოლის შეკეთებას ნაწილობრივ აწარმოებს ბორჯომის აღმასკომი. მაგრამ ეს სკოლის მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს და იგი მოუწყობელი რჩება.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ვალ. სულაქველიძე.

ვინაა დამნაშავე

ამ რამოდენიმე დღის წინათ სადგ. შულავერის ნიშან სვეტთან მიმწოლი ორთქლმავალი დაეჯახა სახალხო მატარებელს და დააზიანა ერთი საბარგო რონოდი.

ერთი შეხედვით დამნაშავეა მიმწოლი ორთქლმავლის მემანქანე, მაგრამ მეტი დანაშაული მიუძღვის სადგურს, რადგან ნიშან სვეტი არ ნათდება საკმაოდ. გარდა ამისა, სახალხო მატარებლის მემანქანეს რომ პირდაპირ დაეჭირა ნიშანსვეტთან გაეჩერებია მატარებელი, მაშინ მიმწოლი ორთქლმავლის მემანქანე შენიშნავდა მატარებელს და დაჯახება არ მოხდებოდა.

ნამდვილად კი მატარებელი გაჩერდა მოხვეულ ადგილას. გაჩერდა თუ არა სახალხო მატარებელი, ბოლო რონოდის მემუხრუჭეს მაშინვე უნდა გამოეჩინა სათანადო ნიშნები და გაეჩერებინა მიმწოლი ორთქლმავალი. ამნაირად, ნიშანსვეტის სუსტად განათებამ სახალხო მატარებლის უალაგო ადგილას გაჩერებამ, ბოლო რონოდის მემუხრუჭის მიერ სათანადო ზომების არ მიღებამ და მიხვეულ-მოხვეულმა ლიანდაგმა გამოიწვია ეს დაჯახება.

საერთოთ დაუდევრობით აუარება ზარალი მოსდის ტრანსპორტს.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა თვითეული რკინის გზელი გრძნობდეს მეტ პასუხისმგებლობას.

ძველი მუშა.

ახალგაზრდათა კოლონია

სადგ. წაღვერის ახლო გაშლილია პალატკები. ამ.-კავკ. რკინისგზის კავშირის ინიციატივით აქ მოწყობილია ახალგაზრდათა კოლონია, სადაც მოსული არიან მოწაფეები მთავარ სახელოსნოდან და კომკავშირელები ლენინის რაიონიდან. აქ მომსვლელები აწარმოებენ სხვადასხვა მუშაობას, მაგალითად, მოაქვთ წყალი, ასუფთავებენ სახლს, აწყობენ ექსკურსიებს, ბანაობენ მდინარეში და სხვა. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: კოლონიის გამგე სადილს იღებს კერძო მოიჯარადრისაგან, რომელიც სადილში ღებულობს 1 მან. 50 კაპ. დასასვენებელ სახლების გამგე კი პირდება სადილს და ვახშამს თავის სასადილოდან 1 მან. 20 კაპ. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, კოლონიის გამგე ღებულობს სადილს კერძო მოიჯარადრისაგან.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს რკ. გზ. კავშირმა.

ა. ხტრიშკო.

აღადგინეთ დანგრეული თავშესაფარი

(ამ.-კ. რკ. გზ. სამმართველოს საყურადღებოდ)

სადგ. საჯევახოს და ნიგოითის გადარბენის შუა არსებობს ბაქანი „ამაღლება“, სადაც იყო აგებული თავშესაფარი ქოხი, რომელიც ძლიერი ქარის წყალობით იქნა დანგრეული. ქოხის ნაწილები ადგილობრივ შემკეთებელ მუშებმა მოაგვარეს. ამის შემდეგ ორი წელიც გადის. ჯერ - ჯერობით მაგიერს ვერ ვხედავთ, რომლის უქონლობა ადგილობრივ მცხოვრებთა მდგომარეობას ართულებს. აქ მოდიან მგზავრები შორეული სოფლებიდან და ზამთრის სუსხიან ღამეში სიცივისაგან შეწუხებულნი იძულებულნი არიან დამტვრიონ ახლო - მახლო მცხოვრებთა ბაღ-ბოსტნის ღობეები და გააჩაღონ ცეცხლი მატარებლის მოსვლამდე. ასეთ მოვლენებს ადგილი რომ არ ქონდეს, საჭიროა ქოხი აღდგენილ იქნეს.

იჭაური.

მუშათა ქრონიკა

— **მუშა - გამომგონი.** მარელისის გრეხილ-ყვეჭის ფაბრიკის მუშამ გამოიგონა ახალი სისტემის დაზგა, რომელიც 4.000 მანეთის ეკონომიას იძლევა წელიწადში. საექსპერტო კომისიას გამოგონება მოეწონა.

— **დაწინაურება.** მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფთიაქის სექციის მიერ წარმოდგენილი დაწინაურებულ მოსამსახურეთა სია 18 კაცის რაოდენობით.

— **სოხუმის შრომის ინსპექტორად** აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო ამხ. პლიენერი.

— **თვითმფრინავის ასაშენებლად.** სამთო-[illegible]ნო კავშირის ცენტრ. გამგ. გაიღო თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები“-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 3.000 მანეთი.

— **ქუთაისის ფიზკულტურის წრისათვის** იარაღების შესაძენად სამტრედიის უბკავშირმა გაიღო სამოცდახუთი მანეთი.

— **უმუშევართა კოლექტივის მოსაწყობად** აფხაზეთის პროფსაბჭოს აფხ. შრომის სახალხო კომისარიატიდან გამოითხოვა სათანადო თანხა.

— **ბორჯომის თეატრის შეკეთება.** ბორჯომის პროფბიურო აღმასკომის დახმარებით შეუდგა ბორჯომის საზამთრო თეატრის შენობის შეკეთებას.

— **მუშათა კლუბებში.** საქართველოს პროფსაბჭოს კულტ - განყოფილების განმარტებით, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის საზეიმო მზადების გამო, მუშათა კლუბების გამგეობათა და სარევიზიო კომისიების გადასარჩევი კამპანიის ჩატარება გადადებულია მიმდინარე წლის ნოემბრისათვის.

საქ. ცაკში

სუბსიდია გლეხკომებს

სრ. საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური სახსრებიდან გადასცა ახალქალაქის სამაზრო გლეხკომს 250 მანეთი საორგანიზაციო მუშაობის გასაძლიერებლად.

დახმარება ინვალიდებს

სრ. საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ თავისი სპეციალური სახსრებიდან გადასცა ზუგდიდის სამაზრო სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას 300 მანეთი ომისა და შრომის ინვალიდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

აფხაზეთის საკომსაბჭოში

საკურორტო სამმართველოს გამოკვლევა

აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს გამოსაკვლევათ აფხაზეთის სახკომსაბჭომ გამოყო სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: აფხაზეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარი **სემერჯიევი,** წევრებათ—**გორბაჩოვი, მასსელსკი, ბერმიატო; ჩერდაცკი** და **სუკორანი.**

სახკომისარიატების საგასავლო ხარჯთაღრიცხვა

აფხაზეთის სახკომსაბჭომ დაამტკიცა აფხაზეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო თათბირის მიერ წარმოდგენილი საგასავლო ხარჯთაღრიცხვის შემდეგი ციფრები: ცაკისთვის—57.668 მ., სახკომსაბჭოსთვის—109.142 მან., შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისთვის—108.305 მ., იუსტიციის სახ. კომ.—62.922 მან:, განათლების სახ. კომ.—536.260 მან., ჯანმრთელობის სახ. კომ.—252.362 მან: და მიწათმოქმ. სახკომ.—273.529 მან.; სულ 1.420.188 მან.

ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი დამტკიცებულია 859.741 მან. რაოდენობით.

საბჭოთა ორგანოების მუშაობა

ტერიტორიალურ ჯარების შევსების რაიონებში

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა წინადადება მიეცეს ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს, რათა მათ გამოსცენ დადგენილება ადგილობრივ ორგანოების მოვალეობათა შესახებ ტერიტორიალურ ჯარების შევსების რაიონებში.

დადგენილებას საფუძვლად უნდა დაედოს ის დებულება, რომ მთელი მუშაობა ტერიტორიალურ ნაწილების შესავსებათ მოითხოვს ამ რაიონის საბჭოთა ორგანოების უშუალო და შეთანხმებულ მონაწილეობას ამ მუშაობაში; სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ყველა ზომები ტერიტორიალურ ნაწილების საომარ და პოლიტიკურ აღზრდისათვის.

სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ეკისრება წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოხდენა წვევამდელ ასაკის ახალგაზრდობაში და წერაკითხვის ცოდნის გაუმჯობესება ცვალებად შემადგენლობის წითელარმიელებში, პოლიტიკურ - განმანათლებელი მუშაობა წვევამდელთა შორის, ყოველმხრივ ხელშეწყობა და აუცილებელ ნივთიერ საშუალებათა გადადება სამხედრო - პოლიტიკურ მუშაობის მოსაწყობად და ჩასატარებლად, და აგრეთვე სამხედრო კუთხეების მოწყობა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ქოხ - სამკითხველოებში.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს ეკისრება წვევამდელთათვის სამკურნალო - სანიტარულ სამსახურის გაწევა, მოსახლეობაში სათანადო ცოდნის გავრცელება, განსაკუთრებით ქიმიურ თავდაცვის დარგში, შესაკრებ პუნქტების სამკურნალო - სანიტარული უზრუნველყოფა და სხვ.

ამას გარდა წვევამდელთა შორის მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ ადგილობრივი საწინადმოქმედო ორგანოები, სათემო და სოფლის საბჭოები. (ადს).

ბათომის ხაზი აღდგენილია

უკანასკნელ წყალდიდობის გამო ბათომის უბანზე დაზიანებული რკინის გზის ხაზის აღდგენა თითქმის უკვე დამთავრებულია.

სახალხო მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა ბათომამდე გაიხსნა გუშინ, 12 სექტემბერს, ღამით.

საქონლის მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა გაიხსნება დღეს 13 სექტემბერს.

საგლეხო სესხი

ობლიგაციების რეალიზაციის შეფერხება აჭარისტანში

უკანასკნელ წვიმებით გამოწვეულმა ძლიერმა წყალდიდობამ, როგორც აჭარისტანის სასოფლო - სამეურნეო ბანკიდან მიღებულ ცნობიდან სჩანს, შეაფერხა მესამე საგლეხო მომგებიან სესხის ობლიგაციების რეალიზაცია აჭარისტანში და გურიაში.

აჭარისტანში ეს ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ მიმოსვლა ზემო - აჭარისტანთან წყალდიდობის გამო შეწყდა.

მიუხედავად ამისა, აჭარისტანის სასოფ. - სამეურნეო ბანკის მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები სესხის ობლიგაციების რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად.

მიწის ძვრა სოხუმში

12 სექტემბერს ღამის 12 საათსა და 15 წუთზე სოხუმში მოხდა მიწისძვრა, რომელიც გაგრძელდა 2 წუთს. მიწისძვრის გამო ბევრ სახლებში ჩაიმტვრა ფანჯრის მინები. რამოდენიმე ხანს შემდეგ მიწისძვრა განმეორდა უფრო სუსტად. კიდევ უფრო სუსტი ბიძგი განმეორდა დილით. არის ცნობები, რომ მიწისძვრას ადგილი ჰქონდა შავი ზღვის მთელ სანაპიროებზე, გარდა ბათომისა.

მებამბეობის განვითარებისათვის

მებამბეობას ჩვენს ეკონომიკაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. უკანასკნელ ხანებში საგრძნობი გახდა კულტურის შემცირება. მებამბეობის გასაძლიერებლათ და ბამბის კამპანიის მოსამზადებელ მუშაობის დროზე ჩასატარებლათ სახკომსაბჭომ დაამტკიცა შემდეგი ღონისძიებები:

1) წინადადება მიეცეს ვაჭრობის სახ. კომისარიატს გააძლიეროს მებამბეობის რაიონების კარგი ხარისხის ხორბლით გეგმიანი მომარაგება, 2) მიღებულ იქნეს ზომები მებამბეობის ფართლეულით თავის დროზე მომარაგებისათვის, 3) წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყურადღება მიაქციოს მებამბეობის რაიონში სარწყავი სისტემის მდგომარეობის და ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები ირიგაციის საშუალებათა გაძლიერებისათვის საჭირო ზომების შესახებ, 4) წინადადება მიეცეს „საქართველოს ბამბას“ და „სოფლის კავშირს“—შეუთანხმდენ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს და დასდონ ხელშეკრულობები იმ რაიონებში, რომლებიც უფრო უზრუნველყოფილი არიან სარწყავი წყლით თავის დროზე მიღებით, 5) წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს გააფართოოს მებამბეობის აგრო-მოვლანი და მიაწოდოს სათანადო თესლი და სასუქი მასალა. 6) წინადადება მიეცეს „სოფლის კავშირს“ მაქსიმალურათ ჩააბას კოოპერატიული ქსელი მებამბეობის რაციონალიზაციის საქმეში და მისი მუშაობა მაქსიმალურათ შეუთანხმოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს და „საქართველოს ბამბის“ მუშაობას და 7) წახალისების მიზნით, მიეცეს მეტი ავანსი იმ მებამბეებს, რომელნიც რაციონალურათ აწარმოებენ მეურნეობას წარსულში და წელს უზრუნველყოფილი აქვთ დიდი მოსავალი.

საგზაო მშენებლობა

სვანეთის გზა

სვანეთის გზაზე ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. იქ მუშაობას აწარმოებს 200 მესანგრე და სვანეთის გლეხობა. მუშაობა გაგრძელდება ოქტომბრის ბოლომდე.

სამხრეთ - ოსეთის გზა

ძველი გზის უვარგისობის გამო, გზატკეცილების სამმართველო ამთავრებს სრულიად ახალი გზის გაყვანას 3 ვერსის მანძილზე.

მუშაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო რაჭის მაზრის გლეხობამ.

ამხ. დავთიანი თბილისში

გუშინ საღამოს საქართველოს სამხედრო გზით მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. **დავთიანი,** რომელიც თეირანში მიემგზავრება.

მასთან ერთად ჩამოვიდა სპარსეთში სრულუფლებიან წარმომადგენლობის მრჩევლად ახლად დანიშნული ამხ. **ლოგანოვსკი.**

ამხ. დავთიანის შესახვედრად თბილისიდან გაემგზავრენ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. **კვიტაშვილი** და სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. **მირ-ალი-ხან-ზახირი.**

ამხ. დავთიანი თბილისში დარჩება რამოდენიმე დღე, შემდეგ გაემგზავრება ბაქოში, იქიდან კი პეხლევში და თეირანში.

ამხ. დავთიანი
საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში

საუბარი ამხ. დავთიანთან

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად, ამხ. **დავთიანმა განაცხადა:**

— მოლაპარაკება უკვე დამთავრდა. საბოლოოდ ჩამოყალიბებული ხელშეკრულება სპარსეთის საელჩოს წარმომადგენელის საშუალებით გადაგზავნილია თეირანში; სპარსეთის საელჩოს წარმომადგენელი კვირა დილით გაფრინდა თეირანში და თან წაიღო ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულება უნდა დაამტკიცოს სპარსეთის მთავრობამ და სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ალი-გული-ხანმა, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება, ნებართვა უნდა მიიღოს ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

არსებითად არავითარ უთანხმოებას არ აქვს ადგილი და უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთის მთავრობა სათანადო განკარგულებას მისცემს თავის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ამ უკანასკნელმა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების მთავარი ნაწილი ეხება სავაჭრო ურთიერთობას, შეთანხმებას მეზობლობის შესახებ და მთელ რიგ სხვა საკითხებს. სავაჭრო შეთანხმება მეტად გაადვილებს სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობას და საშუალებას მისცემს სპარსეთის ვაჭრებს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდენ საბჭოთა ბაზარს.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ მხედველობაში მიიღო რა სპარსეთთან ვაჭრობის თავისებურება და ანგარიში გაუწია სპარსეთის ვაჭრობისათვის ხელის შეწყობის სურვილს, მიანიჭა მათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები.

შეთანხმება საშუალებას აძლევს სპარსეთს შემოიტანოს საბჭოთა კავშირში თითქმის მთელი თავისი სამრეწველო ნედლეულის პროდუქცია, როგორიც არის: მატყლი, ბამბა, ნედლი ტყავეულობა და სხვა. და სამომხმარებლო საქონლის დიდი ნაწილი.

შეთანხმებით დაწესებული იქნება განსაზღვრული კონტინგენტი, რომლის ფარგლებშიაც ნებადართულია საქონლის ულიცენზიოდ შემოტანა. ეს კონტინგენტი პირველი წლისათვის უდრის 50 მილიონ მანეთს.

ამას გარდა, სავაჭრო შეთანხმება ითვალისწინებს მთელ რიგ სხვა შეღავათებს, კერძოდ საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციებისათვის კრედიტების მიწოდების საკითხებში.

დანარჩენი შეთანხმებებიც ისევე, როგორც სავაჭრო შეთანხმება, ლოღიკური დამატებაა 1921 წლის ხელშეკრულებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის.

ეჭვს გარეშეა, ყველა ეს შეთანხმებები ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

მიუხედავად მთელი იმ მტრული კამპანიისა, რომელსაც სპარსეთში აწარმოებენ ჩვენი საერთო მტრები, ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის დღითი-დღე უმჯობესდება; ეხლანდელი შეთანხმებები ხელს შეუწყობენ ამ მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას და განვითარებას.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, საღამოს ახალ მუშათა კლუბში შესდგა თბილისის აღმასკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. **ადიკაშვილის მოხსენება თბილისის საადგილმამულო განყოფილების მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელმა ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა განყოფილების მუშაობას მიწადმოწყობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მესაქონლეობის გაუმჯობესების, მებაღეობა-მევენახეობის აღდგენის, სავეტერინარო და სატყეო დარგებში.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც განყოფილების მუშაობას საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად სცნობს.

რეზოლიუციით აღმასკომის პლენუმი განყოფილებას ავალებს მიიღოს ყოველგვარი ზომები მწყობრითი მიწადმოწყობის დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად.

აგრიკულტურულ დარგში პლენუმის დადგენილებით განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მაზრის ბუნებრივ და ეკონომიური პირობების შესწავლას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, რისთვისაც გაფართოებული უნდა იქნეს სას.-სამ. იარაღების გასაქირავებელი პუნქტები და გაძლიერდეს ტექნიკური დახმარება სოფლად შეტანილ მანქანა-იარაღების წესიერი და მაქსიმალური გამოყენების მიზნით. მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად პლენუმი საჭიროდ სცნობს საგრილებელ პუნქტების და ჯიშიან საქონლის საჯიშეების მოწყობას, მესაქონლეთა ამხანაგობების შექმნას და საქონლის რაციონალური კვება-მოვლის შემოღებას.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ჩატარდეს ფართე მუშაობა კოლექტივების და კომუნების დასაარსებლად და ამჟამად არსებულ კოლექტივების ხელისშესაწყობად; მემინდვრეობის კულტურის გაუმჯობესების დარგში განყოფილებას ევალება განაგრძოს მუშაობა ეკონომიურად მისაღებ კულტურის გასავრცელებლად და წესიერი მემინდვრეობის წარმოების შემოსაღებად; მევენახეობა-მებაღეობის აღსადგენად პლენუმი საჭიროდ სცნობს არსებულ სანერგეების გაფართოებას და ულარიბესი გლეხობისათვის შეღავათიან ფასებში მიწოდებას.

სავეტერინარო დარგში განყოფილებას ევალება მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ეპიზოოტიების საწინააღმდეგო პროფილაქტიურ ღონისძიებებს, ზოოტექნიკურ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას და სხვ.

სატყეო დარგში, პლენუმის დადგენილებით, განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ტყეების რაციონალურ მოვლა-მოშენებას და წესიერ ექსპლოატაციას. ამ მიზნით გაძლიერებული უნდა იქნეს მუშაობა ტყის მოვლის საქმის გლეხობის მზრუნველობის ქვეშ დასაყენებლად.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება გატარდება 1 იანვრიდან

ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ხელფასის მომწესრიგებელმა განყოფილებამ დაასრულა დეკრეტის პროექტის დამუშავება ამიერ - კავკასიაში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გატარების შესახებ. ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში განხილვის შემდეგ აღნიშნული დეკრეტი ახლო ხანში გამოქვეყნდება.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, ალბათ, გატარდება 1928 წ. 1 იანვრიდან. ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ხელფასის მომწესრიგებელი განყოფილების გამგე ამხ. ჯანი ბახჩიევმა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების არსებასა და ხასიათის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— სახელმწიფოებრივი მოწესრიგების პირვანდელი პროექტი ითვალისწინებდა დაწესებულებებში თანამდებობათა ნომენკლატურის შემცირებას და თვითეული თანამდებობისათვის ხელფასის ერთნაირი განაკვეთის შემოღებას. წინად ამ მხრივ დიდ სიჭრელეს ჰქონდა ადგილი: სხვადასხვა დაწესებულებებში ერთი და იმავე თანამდებობისათვის სხვადასხვა განაკვეთები არსებობდა.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გასატარებლად ამიერ - კავკასიის შრომის სახ. კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დიდძალი მასალა დააგროვა მთელ ამიერ - კავკასიაში.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების განხორციელების მიზნით განზრახული იყო განსაკუთრებული საშუალებების გადადება.

მაგრამ ამჟამად ამ ამოცანის ფარგლები რამდენათმე ვიწროვდება.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება უნდა გატარდეს სამუშაო ხელფასის ფონდის საშუალებებით, სპეციალური საშუალებები კი ამ საქმისათვის აღარ გადაიდება.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების დროს, ჩვენ უმთავრესად მიზნად ვისახავთ, რამდენათმე შევამციროთ იმ მოსამსახურეთა ხელფასი, რომლებიც შედარებით მეტს ღებულობენ და მათ ხარჯზე გავუდიდოთ მცირე ხელფასის მქონეთ.

გარდა ამისა ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებით, ჩვენ შევსძლებთ იმ „ანარქიის“ აღმოფხვრას, რომელიც გამეფებულია შტატების საკითხში მთელ რიგ დაწესებულებებში. საქმე იმაშია, რომ შტატებისა და ფაქტიური ხელფასის შემოწმების დროს, ჩვენ არა ერთხელ შევხვედრივართ დაუშვებელ მოვლენას: ამა თუ იმ დაწესებულების შტატი აღმოჩენილა დაწესებულ შტატზე დიდი და ამ ზედმეტი შტატის შესანახი ხარჯები იფარებოდა ადმინისტრატიულ - სამეურნეო საშუალებებიდან. სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გატარების შემდეგ თავიდან აცილებული იქნება ზედმეტი შტატის შენახვის შესაძლებლობა, ვინაიდან გათვალისწინებულია ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯებიდან გადარჩენილ ყველა თანხების სავალდებულო დაბრუნება სახელმწიფო ხაზინაში.

საშტატო მუშაობას ამიერ - კავკასიის მასშტაბით ჩაატარებს ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ამ.-კავკ. რესპუბლიკებში ამ საქმეს განახორციელებენ რესპუბლიკანური მუშათა და გლეხთა ინსპექციები, ხოლო ხელფასის მოწესრიგებასთან დაკავშირებული მუშაობა დაეკისრება ცალკე რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებს.

საშტატო მუშაობა უნდა დასრულდეს დეკემბერში, ხოლო 1 იანვრიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ცხოვრებაში გატარდება ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება.

ნ.

ახალი ქარხნები

ზუგდიდის კაკლის სარჩევი ქარხანა

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში მიღებულია ცნობები, რომ ზუგდიდში კაკლის სარჩევი ქარხნის აგება დიდის წარმატებით მიმდინარეობს. ქარხნის აგება დამთავრებული იქნება 1-ლი ოქტომბრისათვის.

ყოველწლიურად ქარხანა გადაამუშავებს 73.000 ფუთ კაკალს. ქარხნის აშენება დაიწყო ივლისში და მისი აგება სულ დაჯდება 30.000 მანეთი.

შაქრის ქარხანა

საბოლოოთ გამოირკვა, რომ გორის მაზრაში შაქრის მრეწველობის დასაწყებათ საჭირო იქნება 2.500 დესეტ. მიწის ნაკვეთის გამოყოფა. მიწის ეს სივრცე საჭიროა, როგორც ქარხნის ასაგებათ, აგრეთვე ჭარხლის პლანტაციების გასაშენებლათ.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს დაევალა მიიღოს ზომები. საჭირო მიწის ნაკვეთების გამოსაყოფად.

მომავალი წლის განმავლობაში ჭარხალი დაითესება 60 დესეტინა მიწის ნაკვეთზე. თვით შაქრის ქარხნის აგება განზრახულია სოფ. გომში.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციის მიმართვა

თბილისის პროლეტარულ სტუდენტობისადმი

ამერიკის სტუდენტთა დელეგატებმა რ. სამმიმ და ი. აფრომმა, თბილისში ყოფნის დროს დაათვალიერეს ზაჰესი, თამბაქოს ქარხნები, საქართველოს მუზეუმი, საბავშვო ბაგები, სახლები და სხვ. განათლების სახალხო კომისარიატში ისინი დაწვრილებით გაეცნენ სტუდენტთა მდგომარეობას. ყველა ნახულით ისინი ძალიან კმაყოფილი დარჩენ.

11 სექტემბერს, დილით დელეგატები სამხედრო გზით გაემგზავრენ კავკავისაკენ. მოსკოვში შეუერთდებიან დანარჩენ დელეგატებს და შემდეგ დაბრუნდებიან ამერიკაში.

გამგზავრების წინ მათ შემდეგი წერილით მიმართეს თბილისის სტუდენტობას:

„**ამხანაგებო,** როდესაც ჩვენ საბჭოთა კავშირში მოვემგზავრებოდით, თან მოგვყვებოდა ამერიკაში შექმნილი წარმოდგენა თქვენი ქვეყნის შესახებ. მაგრამ საბჭოთა კავშირში ფეხის შემოდგმის თანავე, საბჭოთა კავშირში ჩვენი მოგზაურობის პირველ დღიდანვე ჩვენ დავრწმუნდით წინააღმდეგში.

ჩვენ დავათვალიერეთ თქვენი ფაბრიკები, ქარხნები, სოფლები, სკოლები და სახლები. ჩვენ ვესაუბრეთ მუშებს და სტუდენტობას. ჩვენ და[illegible] გაუკეთებია ყველაფერი ადამიანის ცხოვრების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად.

თბილისში ჩვენ ვნახეთ თქვენი სიამაყე—თქვენი ახალი მძლავრი ელექტრო - სადგური, რომელიც წარმოადგენს იმ ეროვნული კულტურის ნაყოფს, რომლის გაფურჩქვნის მოწმეც ჩვენ ვართ.

უკანასკნელ საღამოს ჩვენ ვიდექით ფუნიკულიორზე და იქიდან დავყურებდით უამრავი ელექტრო ლამპებით გაჩირაღდნებულ ქალაქს. ეს უამრავი ელექტრო ლამპები ამტკიცებენ თქვენს დიად ნებისყოფას და იმას, რომ თქვენ შეძლებთ დასახული მიზნის — სოციალიზმის განხორციელებას.

ჩვენ ვართ ამერიკის ორ უდიდესი უნივერსიტეტის დელეგატები და ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ჩვენ საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებას გაუზიარებთ არა მარტო ამერიკის სტუდენტობას, არამედ ფართო მასასაც. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხელს შეუწყობს მჭიდრო კავშირის დამყარებას ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის.

უდიდეს მადლობას გიძღვნით თქვენი სტუმართმოყვარეობისათვის.

ამხანაგური სალამით **ი. აფროსი რ. სამმი.**

სამზადისი ოქტომბრის დღესასწაულისათვის

საკლუბო მუშაკთა თათბირი

გუშინ, საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა თბილისში არსებული ყველა კლუბების და წითელი კუთხეების გამგეთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ზეიმის ჩატარების წესი.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ასრიბეკოვი.** მომხსენებელმა განმარტა საიუბილეო ზეიმების ჩატარების მნიშვნელობა და აღნიშნა, თუ როგორი სამზადისი უნდა აწარმოონ ცალკე კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა, წარმოებებმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. დღესასწაულების ღირსეულათ ჩატარების მიზნით საჭიროა მოსამზადებელ მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღონ ყველა ძირითადმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან პარტუჯრედები, ადგილკომები და ფაბკომები. დღესასწაულების დღეებში განსაკუთრებულათ უნდა იქნეს აღნიშნული კავშირი გლეხობასა და ქალაქის პროლეტარიატს შორის. საშეფო ორგანიზაციები საიუბილეო დღესასწაულების დროს ხელმძღვანელობას გაუწევენ ზეიმის ჩატარებას სოფლად.

დასასრულ მომხსენებელი განმარტავს დღესასწაულების ჩატარების კონკრეტიულ გეგმას: ქალაქის კინო - თეატრებში ნოემბრის 1-ლი რიცხვებიდან დაიწყება რევოლიუციონური სურათების ჩვენება. 6 ნოემბერი გამოყოფილ უნდა იქნეს, როგორც დასასვენებელი დღე, ხოლო 7 ნოემბერს მოეწყობა დიდი მასიურ-პოლიტიკური დემონსტრაციები. დემონსტრაციებში მონაწილეობა უნდა მიიღონ თბილისის ყველა მშრომელებმა. 6 ნოემბერს უნდა გაიხსნას მთელი რიგი საწარმოო - საჩვენებელი გამოფენები. ერთი ასეთი გამოფენა გაიხსნება ქალაქის ცენტრში.

აფხაზეთში

საქართველოს ცაკთან არსებულმა ოქტომბრის 10 წლის თავის საიუბილეო დღესასწაულების ჩამტარებელმა კომისიამ მიიღო ცნობები დღესასწაულებისათვის სამზადისის შესახებ აფხაზეთში.

აფხაზეთის ცაკთან დაარსებულია დღესასწაულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია, რომელიც აერთიანებს ორ ქვე - კომისიას—სანახაობათა და ამნისტიის. სანახაობათა კომისიას გამომუშავებული აქვს გეგმა, რომლითაც დაწვრილებითაა გათვალისწინებული დღესასწაულის ჩატარების ყოველი მხარე.

7 ნოემბერს, განზრახულია მოეწყოს სრულიად აფხაზეთის სასკოლო გამოფენა, რომელსაც უწოდებენ „თანამედროვე და ძველი სკოლა“-ს კომისიას განზრახვა აქვს აგრეთვე გამოუშვას კინო - სურათი აფხაზეთის ცხოვრებიდან. აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემიას დავალებული აქვს გადათარგმნოს აფხაზურათ რომელიმე რევოლიუციონური პიესა. დღესასწაულების დროს სოხუმში გაიხსნება აფხაზეთის მუზეუმი, რომელთანაც მოეწყობა რევოლიუციის განყოფილება. განზრახულია აგრეთვე მოეწყოს სრულიად აფხაზეთის კულტურულ და ეკონომიურ მიღწევათა გამოფენა.

აჭარისტანში

აჭარისტანის ცაკთან არსებული ცენტრალური საიუბილეო კომისია დიდი ხანია, რაც აწარმოებს სამზადისს დღესასწაულების ჩასატარებლათ. კომისიას განზრახვა აქვს ბათომში მოაწყოს აჭარისტანის კულტურულ და სამეურნეო მიღწევათა გამოფენა.

საიუბილეო დღესასწაულებისათვის გათვალისწინებულია აგრეთვე აჭარისტანის სხვადასხვა ადგილებში სამკითხველოებისა და სამკურნალო პუნქტების გახსნა.

7 ნოემბერს ბათომში გაიხსნება ფიზკულტურის დიდი სტადიონი რომლის მოსაწყობად ამჟამად სწარმოებს მუშაობა. გარდა ამისა სოფლებში განზრახულია გაიგზავნოს მოძრავი კინოები, ორკესტრები და მოეწყოს წარმოდგენები.

დღესასწაულების დროს იწარმოებს რადიოკონცერტების და სიტყვების გადაცემა თბილისიდან. რადიო - კონცერტების მისაღებათ სოფლებში იდგმება რადიო - მიმღები აპარატები.

ამიერ-კავკასიის 1925—26 წ. ბიუჯეტის შესრულება

ამიერ-კავკასიის ცაკმა მიიღო ა. კ. ცაკის და ა. კ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილების პროექტი, რომლითაც მტკიცდება ანგარიში ამიერ-კავკასიის ფედერაციის 1925—26 წლის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დამტკიცებულია 36.418.345 მან. 57 კაპ. რაოდენობით, საგასავლო შეღავათიან პერიოდის ხარჯების ჩართვით და კრედიტორთა სიებით—74.260.615 მან. 39 კაპ.

დეფიციტი უდრის 37.842.270 მან. 39 კ. და საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცებულ დეფიციტის თანხას აჭარბებს 5.354.200 მან. 39 კაპ. ით. დეფიციტი შესდგა შემოსავლის არა სრულად აკრეფისა (543.745 მან. 43 კაპ.) და ზედმეტ დანახარჯის (4.810.454 მან. 96 კაპ.) გამო.

4.810.454 მან. 96 კაპ. ზედმეტად დახარჯვა აიხსნება მთელ რიგ გაუთვალისწინებელ და გადაუდებელ ხარჯებით, რომელთა ნაწილი 2.684.963 მან. 26 კაპ. რაოდენობით უკვე დაფარულია საბჭოთა კავშირის ფინსახ. კომისარიატის მიერ. ნაწილობრივ კი ეს ზედმეტი დანახარჯი დაფარულია ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინ. სახ. კომისარიატის მიერ მიღებული ზომებით.

რათა მომავალში თავიდან აცილებულ იქნას ზოგიერთი მომენტები, რომლებიც ბიუჯეტის შესრულების დროს გავლენას ახდენდენ შემოსავლის არა სრულად აკრეფაზე და ზედმეტ დანახარჯზე, ა. კ. ცაკს საჭიროდ მიაჩნია აცნობოს საბჭოთა კავშირის ცაკს და სახ. კომ. საბჭოს, რომ შემოსავლის არასრულად აკრეფის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ბიუჯეტში არ გადარიცხულა სატონო გადასახადი 1925—26 წელში გაზიდულ მარგანეცისათვის.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს დაევალა რათა მან უზრუნველჰყოს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახ. კომ. საბჭოების მიერ საგადასახადო კამპანიების თავის დროზე ჩატარება, ბიუჯეტის შესრულების დროს შემოიღოს პრაქტიკაში სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის შემოსავლიდან ხაზინისთვის კუთვნილ ანარიცხების ავანსებით და თამასუქებით უზრუნველყოფა, გააძლიეროს სალარიების მიერ სახელმწიფო შემოსავლიდან ანარიცხების კონტროლი და შემოწმება

ქრონიკა.

ცეკავშირის ინსტრუქტორთა ყრილობა

ყრილობის მორიგი სხდომა შესდგა გუშინ დილას. სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები უფროს ინსტრუქტორის ალ. კაბულაძის—აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივების მდგომარეობის და ინსტრუქტორთა მუშაობის შესახებ 1926—27 წლის პირველ ნახევარში და ამავე ხასიათის მოხსენება უფროს ინსტრუქტორის გ. კანდელაკისა—დასავლეთ საქართველოს შესახებ.

სამომხმარებლო კოოპერაცია აღმ. საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივების მშენებლობა თითქმის უკვე მოთავებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამხრეთ-ოსეთის და დუშეთის მაზრას, სადაც ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ადგილები, რომელთათვისაც კოოპერატივი უცხოა.

კოოპერატივებში მოსახლეობის შეკავშირება ნელის ტემპით იზრდება. 1926 წ. 1 აპრილისათვის იქ ირიცხებოდა მთელი მოსახლეობის (კომლობრივათ) 30,6 პროც., ა. წ. 1 აპრილისთვის კი ირიცხებოდა 39,2 პროც. (ზრდა 8.6 პროც.) მაზრობრივ ამ მხრივ პირველ ადგილზე სდგას სიღნაღი, ხოლო უკანასკნელზე—დუშეთი. ქალთა მონაწილეობა მცირეა და უდრის 10.3 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდში საპაიო თანხა კოოპერატივებში საგრძნობლადაა გაზრდილი. ა. წ. 1 აპრილისათვის იგი უდრის 244.760 მან. და 1926 წ. 1 აპრილთან შედარებით იძლევა 37.9 პროც. ზრდას. საშუალო საპაიო გადასახადი უდრის 3 მ. 14 კაპ. ამ მხრივ პირველ ადგილზე სდგას თელავის მაზრა (3 მ. 63 კ.), უკანასკნელ ადგილზე—დუშეთი—2 მ. 20 კ.

წევრთა საპაიო დავალიანება მთელს აღმ. საქართველოში ა. წ. 1 აპრილისათვის უდრის 144.245 მანეთს, ანუ მთელი საპაიო თანხის 37,2 პროც.

საპაიო დავალიანების სიდიდე აიხსნება კოოპერატივთა გამგეობების სუსტი მუშაობით საორგანიზაციო დარგში.

აღმოსავლეთ საქართველოს კოოპერატივების მმართველ ორგანოებში სულ ითვლება 210 წევრამდე, აქედან 125 აქტიურია. მათგან ქალები 3.1 პროც. შეადგენენ.

გამგეობის და სარევიზიო კომისიების წევრთა კვალიფიკაცია გასულ წლებთან შედარებით თვალსაჩინოდ არის აწეული.

რაც შეეხება მომხმარებელთა კოოპერატივების დამოკიდებულებას სხვა სახის კოოპერატივებთან, ეს დამოკიდებულება სავსებით ნორმალურია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პარალელიზმს სოფლად მუშაობაში „ზაკტეპო“-ს მხრივ.

კოოპერატივების კულტურული საქმიანობა მოიკოჭლებს.

აღმოსავლეთ საქართველოს კოოპერატივების სავაჭრო საქმიანობას საანგარიშო პერიოდში გამოცხოველება ეტყობა. ყველა მათ 1 აპრილისათვის შეუძენიათ 5.937.000 მან. საქონელი, ანუ 39 პროც. მეტი, ვინემ 1925—26 წ. პირველ ნახევარში.

ამასთანავე გადიდებულია საქონლის შეძენა ცეკავშირიდან.

საანგარიშო პერიოდში გაყიდულია სულ 6.646.000 მან საქონელი (ზრდა 35 პროც.).

დანარიცხები საქონელზე შემცირებულია 6.1 პროც. და უდრის 16,2 პროც.

დირექტივა საცალო ფასების 5 პროცენტით შემცირების შესახებ კოოპერატივებში შესრულებულია.

საერთო წარმატებასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს კოოპერატივებს ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებაც ეტყობათ. მათი შენაერთი რეალური ბალანსი (თბილისის მუშკოოპის გარდა) უდრის—2.865.643 მან.

დასასრულ შეეხო რა ინსტრუქტორთა მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა საინსტრუქტორო გამოცხოველებაც და დასძინა, რომ მომავალში იგი უფრო გაუმჯობესებული იქნება.

დას. საქ. სამომხმარებლო კოოპერატივების განვითარების მთავარი მომენტები 1926—27 წ. პირველ ნახევარში

მიმდინარე საანგარიშო წელი,—ამბობს ინსტრ. გ. კანდელაკი,—ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციულად გაძლიერების და ეკონომიურად გაჯანსაღების დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

ცეკავშირის მდგომარეობის გამოკეთებამ სათანადო კვალი დააჩინა ძირითად ქსელს, რომელიც უფრო მჭიდროდ დაუახლოვდა თავის ცენტრს და სრულის კონტაქტით აწარმოებს მასთან მუშაობას.

დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის გამოკლებით, იქ ა. წ. 1 აპრილისათვის ითვლებოდა 72 კოოპერატივი. დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება ისეთი კუთხე, სადაც მოსახლეობა გაერთიანებული არ იყოს კოოპერატივის ირგვლივ.

სავაჭრო წერტილების რიცხვი ამ პერიოდში გაიზარდა 585-დე, ანუ 6 პროცენტით. ამ ზრდას ადგილი ქონდა უმრავლესად სენაკის და შორაპნის მაზრებში.

კოოპერატივებთან არსებულ საწარმოო ერთეულების რიცხვმა იკლო 124-დან 121-დე.

საანგარიშო პერიოდში წევრთა რიცხვი ამ კოოპერატივებში გაიზარდა 13 პროცენტით და ეხლა უდრის 115.978-ს. მოსახლეობასთან შეფარდებით წევრთა რიცხვი შეადგენს 53.8 პროც. ქალთა გაერთიანება უმნიშვნელოა და უდრის 5,5 პრ. წევრთა რიცხვის ზრდის 1-ლ ადგილზე სდგას ოზურგეთის მაზრა, უკანასკნელ ადგილზე სენაკის.

ეტყობა ზრდა საპაიო თანხასაც. იგი პირველ აპრილისათვის უდრის—368.255 მან., ანუ 27 პროც. საშუალო საპაიო გადასახადი უდრის 3 მ. 17 კაპ., საპაიო დავალიანება—223.826 მანეთს.

აღსანიშნავია, რომ კოოპერატიული მოძრაობა დასავლეთ საქართველოში ამ უკანასკნელ ხანებში მასების ფართო ყურადღებას იპყრობს. წევრები მეტ მონაწილეობას იღებენ კოოპერატივის საქმეში.

კოოპერატივებში სულ ირიცხება 242 გამგეობის წევრი აქედან—119 აქტიურია.

დასავლეთ საქართველოს მომხმარებელთა კოოპერატივების სავაჭრო საქმიანობის განხილვიდან სჩანს, რომ მათ სავაჭრო ბრუნვაში ცეკავშირმა საპატიო ადგილი დაიკავა. წლის პირველ ნახევარში სულ შეძენილ იქნა 7.103.928 მან. საქონელი და აქედან 46.74 პროც. მოდის ცეკავშირზე.

კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობა მართალია ცოტათ, მაგრამ მაინც გაუმჯობესებულია თუ ოქტომბრამდე თითოეულ საკუთარ მანეთზე მოდიოდა ნასესხები ორი მან. და 33 კაპ., 1 აპრილისათვის ეს ვალი ორი მან. 08 კაპ., შემცირდა.

კამათი

საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ა. კაბულაძის და გ. კანდელაკის მოხსენებების გარშემო.

ქრონიკა

ამხ. პეტროვსკის, სკვორცოვის და ბუციენკოს დეპეშა

საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ სოხუმიდან ამხ. პეტროვსკისა, სკვორცოვის და ბუციენკოსაგან, რომლებიც გავლით იმყოფებიან აფხაზეთში, მიიღო შემდეგი დეპეშა:

— მხურვალე სალამს უძღვნით საქართველოს მშრომელთ. იმედი გვაქვს საბჭოთა კავშირის მშრომელთა სოლიდარობით დავამარცხებთ სტიქიას, რომელმაც ასე გაანადგურა სახოფლო - მეურნეობა.

გერმანიის ვიცე-კონსული ამხ. ლ. ქართველიშვილთან

გუშინ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლ. ქართველიშვილმა მიიღო თბილისში ახლად დანიშნული გერმანიის ვიცე-კონსული ბ. უნფერფერტი.

ბ. უნფერფერტი ამხ. ლ. ქართველიშვილს წარუდგინა საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობის აღმასრულებელმა ამხ. კვიტაშვილმა.

ამხ კ. ი. ჩხენკელის დაბრუნება

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ი. ჩხენკელი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

პროფ. გორევის მოწვევა

საქართველოში ახლად დაწყებულ ჰიდროელსადგურების დასათვალიერებლად, მოსკოვიდან მოწვეულია ცნობილი პროფ. გორევი, რომელსაც თბილისში მოელიან ამ დღეებში.

მიწისძვრები

12 სექტემბერს საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია სამი მიწისძვრა ერთ და იმავე კერასთან. პირველი — ღამის 1 საათსა და 16 წუთზე, მეორე — 2 საათსა და 46 წუთზე და მესამე დილის 6 საათსა და 16 წუთზე.

პირველი მიწისძვრა კატასტროფიულია, ორი დანარჩენი შედარებით სუსტი. კერა თბილისიდან დაშორებულია 1.100 კილომეტრის მანძილზე.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ რამდენიმე ხნით შეფერხდა ტრამვაის მოძრაობა. მიზეზი ის არის, რომ ტრამვაის ელსადგურის ერთ-ერთი მანქანა, რომელიც ზაჰესის ენერგიაზეა გადაყვანილი, გაფუჭდა და სამმართველო იძულებული გახდა ვაგონების ერთი ნაწილის მუშაობა შეეჩერებია ორ-სამ დღეში გაფუჭებული მანქანა შეკეთებული იქნება.

ლიცენზიები სატყეო ტრესტს

საკავშირო ს. მ. ე. საბჭოდან მიღებულია ცნობა, რომ მომავალი წლის განმავლობაში საქართველოს სატყეო ტრესტს მიეცემა ლიცენზიები 60.000 მან. ღირებულ მანქანა - მოწყობილობათა შემოსატანად საზღვარ-გარეთიდან.

მაუდის ფაბრიკის მოწყობილობანი

სმოხ. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა ნება მიეცეს მას თბილისის მაუდის ფაბრიკის საჭიროებისათვის ინგლისიდან შემოიტანოს 160.000 მან. მანქანები.

ფქვილის შემოზიდვა

მიმდინარე სექტემბრის განმავლობაში საქართველოში შემოზიდული იქნება ფქვილი „ხლებოპროდუქტის" მიერ—130.000 ფუთი, „კავხლების"-ს მიერ—200.000 და „ზაკოოპის" მიერ—125.000 ფუთი. სულ შემოზიდული იქნება 455.000 ფუთი ფქვილი.

ზაფხულის თვეებში ფქვილის ნორმალური ხარჯი საქართველოში უდრის 409.000 ფუთს.

თბილისის აღმასკომში

◆ **წარმოებების გაერთიანება.** თბ. აღმასკომის ცნობით, წელს მოხდება თბ. ელექტრომექანიკურ სახელოსნოს და ემხის სახელოსნოების გაერთიანება.

◆ **ამბულატორია მცხეთაში.** ახლო მომავალში მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანასთან მოეწყობა ამბულატორია.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სამმართველო ახლო მომავალში მოსკოვიდან მიიღებს 14 ახალ ვაგონს.

◆ **ოქტომბრის დღესასწაულისათვის** თბ. აღმასკომმა დაამუშავა მასალები თბილისის მიღწევების შესახებ.

ამ.- კავკ. ცაკში

◆ **საბიუჯეტო კომისიაში.** ა.-კ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნენ კომისიის წევრები—ამხ. **ს. ჯუღელი** და ბაგიროვი.

◆ **სასკოლო აღწერა.** ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმასკომებს დაავალა ყოველი მხრივ შეუწყონ ხელი საკავშირო სასკოლო აღწერას, რომელიც დაიწყება დამდეგ სასწავლო წელში.

◆ **ყრილობების მოწვევა.** ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეუწონლად სცნო მუშა და გლეხ-ქალთა საკავშირო ყრილობის მოწვევა. პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე ყრილობები მოწვეულ იქნას დამოუკიდებლად ყველა რესპუბლიკებში.

◆ **წითელი ჯვრის საზ-ბათა ყრილობა.** ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო „წითელი ჯვრის" და წითელი ნახევარ მთვარის" საზოგადოებათა საკავშირო ყრილობა მოწვეულ იქნას თბილისში.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 11 სექტ., ქურდობისათვის შეიპყრეს სერგო კახიანი.

◆ **სკოლის გაქურდვა.** 11 სექტ. გაქურდეს მე-71 შრომის სკოლა.

◆ **„ზაკგოსტორგ"-ს შენობაში** შეიპყრეს დიმიტრი შვიდჩენკო, რომელსაც უნდოდა გაექურდა სალარო.

◆ **თბ. ალმ. ჯანმრთ-ბის** განყოფილების ადგილკომიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ **დაჭრა.** 11 სექტ. ივანე ალდგომელაშვილი თავში ქვით მძიმედ დასჭრა მოსე საღინაძემ.

◆ **მოკვლის განზრახვით** 11 სექტ. შეიპყრეს ბაირამ-ოღლი და მამედ ალაკი არ-ოღლი, რომლებმაც სასიკვდილოთ დასჭრეს მაჰი ბაგიროღლი.

◆ **„არტო"-ში** ვიქტორ ქაცარავას აშოაცალეს 170 მანეთი.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 10 სექტ. შეიპყრეს ჯიბგირი მიხეილ ქალაზოვი.

◆ **ხანძარი.** 11 სექტ. პანასკერტის ქ., № 25, ცეცხლი გაუჩნდა სტეფანე რადიშევსკის ბინას. ზარალი უდრის 1000 მანეთს.

◆ **ნივთები.** სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი მეჩექმის ხელსაწყოები. პატრონს შეუძლია მოიკითხოს სისხ. სამ. მილიციის საწყობში.

◆ **ტანისამოსის მოპარვა.** 10 სექტ. არსენალის გზატკეცილი, № 16, მოიპარეს ეზოში გამოსაშრობლად გადაკიდებული ტანისამოსი, სულ 700 მ.

◆ **„ტელი"-ს საწყობიდან** (მადათოვის კუნძული, № 1), მოიპარეს ერთი ფუთი ტყვია და სხვა რკინეულობა.

◆ **თბ. აღმასკომის** საკანალიზაციო ქ.-განყოფილებიდან მოიპარეს სპეცტანსაცმლები.

◆ **დაჭრა.** 11 სექტ. მნაცაკან ბოღიანცი შუღელში დანით მძიმედ დასჭრა ბაგრატ მანუკიანმა. დაჭრილი გადაიყვანეს სავადმყოფოში ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ქუთაისი

სიმინდის ფქვილის ფასის დაკლება

ქუთაისში უკვე შემოდის ახალი სიმინდის ფქვილი, რის გამო ფასმა ამ საქონელზე საგრძნობლად დაიკლო.

წევრობის აკრძალვა

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობას მოუვიდა ფინსახკომის ცირკულარული განკარგულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენი და აგრეთვე თავისუფალი პროფესიის პირნი არ შეიძლება დარჩნენ საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა წევრებად.

უვარგისი პური

კერძო მეპურეები, რომელთაც ადგილობრივა მუშკოოპი „კოოპერაცია" ამჟამად წინანდელზე ნაკლები რაოდენობით აძლევს ფქვილს, სცდილობენ — სხვა საშუალებით აინაზღაურონ ეს დანაკლისი. ამ მიზნით პურს აცხობენ ისინი დილაობით, 7—8 საათზე, როდესაც პურის დიდი მოთხოვნილებაა, და ჰყიდიან პირდაპირ ფურნიდან გამოღებულს, ცხელს, ნახევრად ცომს. ისიც ერთი კაპეიკით უფრო ძვირად, ვიდრე მუშკოოპი ჰყიდის. უკანასკნელთან დადებული პირობით კი ეს მეპურეები, რომელნიც კოოპერატივის სახელით ჰყიდიან პურს, ვალდებული არიან კარგი ხარისხის პური აცხონ და კოოპერატიულ ფასებში გაჰყიდონ ის. ყურადღებას არ აქცევს მუშკოოპი ამ გარემოებას?

რკინისგზეზე

მატარებლის ჩავარდნა

10 სექტემბერს ბადიაურ - მელაანის შუა (კახეთის ხაზზე) ხაზის გაფართოების გამო ჩავარდა სახალხო მატარებელი № 13.

პირველად ჩავარდა ორთქლმავალი და შემდეგ რვა საკლასო ვაგონი. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ქონია.

ამ შემთხვევამ გამოიწვია კახეთის ხაზზე მოძრაობის შეფერხება 7 საათით.

ხაზის დაზიანება

ამავე დღის ნავთლუღ - საღანლუღის შუა მიმავალ მატ. № 123-ადნ ლიანდაგს ასცდა ერთი ვაგონი.

ვაგონის ლიანდაგიდან აცდენა კონდუქტორებმა და მემანქანეებმა თავის დროზე ვერ შეამჩნიეს და ამის გამო ხაზი დაზიანდა 1 ნახ. კილომეტრის მანძილზე.

ხაზი უკვე შეკეთებულია.

დაიწვა ვაგონი

სადგ. განჯაში მისული მატ. № 205-ს ერთ-ერთ ვაგონს მოულოდნელად გაუჩნდა ცეცხლი. ვაგონი დატვირთული იყო სხვადასხვა გვარი საქონლით.

მიღებული ზომებით შესაძლებელი გახდა დანარჩენ ვაგონების გადარჩენა, მაგრამ ცეცხლ-წაკიდებული ვაგონის გადარჩენა ვერ მოხერხდა, — იგი დაიწვა სავსებით ტვირთთან ერთად.

ცეცხლის გაჩენის მიზეზს იკვლევენ.

ხელოვნება

თეატრები პროვინციაში

საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ საინსტრუქციო წერილი დაუგზავნა ყველა სამაზრო განყოფილებებს საქართველოს პროვინციალურ ქალაქებში მომავალი თეატრალური სეზონის ჩატარების შესახებ.

კავშირის ცენტრალური გამგეობა წინადადებას აძლევს სამაზრო განყოფილებებს, რათა თავიანთ გამგეობების სხდომებზე დასვან საკითხი თეატრალური წარმოდგენების მოწყობის შესახებ.

ამისათვის, სამაზრო განყოფილებებს წინადადება ეძლევათ მოელაპარაკონ ადგილობრივ აღმასკომებს. გარდა ამისა, საქ. ხელ. მუშ. კავშირის ცენტრალური გამგეობა აუწყებს თავის ყველა სამაზრო განყოფილებებს, რომ მომავალ თეატრალურ სეზონის ორგანიზაციისათვის, მათ არავითარი დოტაცია არ მიეცემათ თბილისიდან. საქ. განათლების სახ. კომისარიატს არ აქვს სამისო თანხები.

ამის გამო, საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო განყოფილებებს, რომ თავიანთი თავზე, აიღონ მომავალ თეატრალურ სეზონისათვის დასის მოწყობის ინიციატივა ადგილობრივ აღმასკომის აქტიურ მონაწილეობით.

საქმის გასაადვილებლად საქ. ხელ. მუშ. კავშირის ცენტრალურ გამგეობამ გამოიმუშავა და თავის სამაზრო განყოფილებებს დაუგზავნა სამაგალითო ხარჯთ-აღრიცხვა თეატრალური დასის შექმნისათვის პროვინციაში.

საქ. ხელ. მუშ. კავ. ცენტრ. გამგეობა თეატრალურ სეზონს აწესებს 15 ოქტომბრიდან — 15 აპრილამდე — ე. ი. 6 თვეს, წარმოდგენა კვირაში უნდა დაიდგას სამჯერ. თითოეული წარმოდგენა საქ. ხელ. მუშ. კავშ. ცენტრ. გამგეობის აზრით შემოიტანს 200 მანეთს, ანუ 2400 მანეთს თვიურად, ხოლო მთელი სეზონის განმავლობაში 16.800 მანეთს.

დასის შენახვა წარმოდგენის დადგმისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად, საქ. ხელ. მუშ. კავ. ცენტრ. გამგეობის ხარჯთ - აღრიცხვის მიხედვით არ უნდა სჭარბობდეს 3.660 მანეთს თვეში, ხოლო შვიდი თვის განმავლობაში კი — 25.620 მანეთს.

ასეთი ბიუჯეტი, როგორც საქ. ხელ. მუშ. კავ. ცენტრალური გამგეობა მიუთითებს თავის ყველა სამაზრო განყოფილებებს, აუცილებლად გამოიწვევს დოტაციის საჭიროებას 10.000 მანეთის რაოდენობით. ხოლო ზოგიერთ ადგილებში, სადაც შესაძლებელი იქნება კვირაში მხოლოდ ორი წარმოდგენის ჩატარება და შემოსავალი 150 მანეთზე მეტი არ იქნება, დოტაცია გადიდებული უნდა იქნეს 15—16 ათას მანეთამდე. დოტაცია გაღებულ უნდა იქნას ადგილობრივ საშუალებებიდან.

პროვინციის თეატრისათვის დასის შედგენას აწარმოებს საქ. ხელ. მუშაკ. კავშ. არესბული საშუამდგომლო ბიურო.

სასამართლო

ხულიგანი ბებუთით

სახალხო სასამართლოს მორიგი კამერა სავსეა ხალხით. საბრალმდებლო სკამზე მშვიდათ ზის „ყარაჩოღულათ" გამოწყობილი მოქალაქე: ფართო სახელოებიანი ხალათი, შარვალი „გალიფე" და აზიური ფეხსაცმელები.

გაისმა ზარის ხმა და სასამართლომ დაიკავა თავისი ადგილი.

— ბრალდებულო ნიკოლოზ ჩერემესინო! ადექით და მოახსენეთ სასამართლოს, იცით თუ არა თქვენ რაში გედებათ ბრალი, — ეუბნება ბრალდებულს თავმჯდომარე **ი. ალანია.**

ბრალდებული დგება. დარბაზს რაღაც დაშტერებული თვალებით გადახედავს და ისეთი ხალისიანი კილოთი იძლევა პასუხს, თითქო ბაღში ზის და არა საბრალმდებლო სკამზე.

— ამხანაგო თავმჯდომარე! ისე მეკითხები, თითქოს დიდი ბოროტმოქმედი ვიყო, ან ძარცვა-მოლიციელს შევეურაცხებდი ან და მეეზოვეს სიფათში ავადებდი.

— სწორედ მაგაში გედებათ ბრალი, — ეუბნება მას ამხ. ალანია.

— თქვენ სიმთვრალის დროს ქუჩაში გააჩაღეთ ჩხუბი. ბებუთით დაერიეთ მოქალაქეებს; ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეთ მილიციელებს.

— ძალიან კარგათ მოვქცეულვარ...

— რა დაგიშავა თქვენ მილიციის თანამშრომლებმა?

— როგორ თუ რა დამიშავა, მილიციის შიშით პურ - მარილი ვეღარ გვიჭამია. ძმა-ბიჭებთან ქუჩაში ვეღარ გაგვივლია.

სასამართლომ დაჰკითხა მთელ რიგი მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს ბრალდება.

უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებულმა განაცხადა. ამხანაგო მოსამართლენო! გთხოვთ გამიშვათ სახლში. ვინ იცის, ძმა-ბიჭები, როგორ დაშვებენ.

სასამართლომ ჩერემესინი 6 თვით მიაბრძანა გამასწორებელ სახლში. „ძმა-ბიჭები", ალბად, ეხლაც დაეძებენ მას.

ა.

ბიძა-მკვლელი

სენაკის მაზრის მცხოვრებთ ამბაკო და ივანე მაკალათიებს მუდამ ჩხუბი ჰქონდათ ადგილ - მამულისა და სახლის გარშემო. თვითეული თავის საკუთრებათ სთვლიდა გაუყოფელ ქონებას და ერთმანეთს არ ანებებდნენ სახლში ცხოვრებას.

ბოლოს ივანემ შეირთო ქალი და ბიძა გააძევა ბინიდან

გარდა აწისა, ივანემ ღობე გაავლო სადაო არხის გასწვრივ და არხი თავის ადგილში მოიტოვა, რითაც ბიძას ადგილის მორწყვის საშუალება მოესპო. ამის გამო მათ ერთ-მანეთს ცხვირ-პირი დაამტვრიეს.

მეზობლებში ივანე სულ მუდამ იმას იძახოდა:

— ამბაკო უნდა მოვკლაო.

ა. წ. 13 მაისს, შეღამებისას ივანე გამოდის გარეთ ძალაზე აღელვებული, მას უკან მისდევენ ყველა მოკეთეები და ეუბნებიან არ წავიდეს, რადგან იციან, რომ ის ამბაკოს ემუქრება და მოკვლას უპირებს.

ამბავი ხდება სადგურის მახლობლად, სწორედ იმ დროს, როცა ქუჩაში ჩოჩქოლია და ივანეს ამშვიდებენ; ქუჩის მეორე მხარეს გამოჩნდება ამბაკო.

დანახვისთანავე ივანე გაექანება ამბაკოსაკენ და თვალის დახამხამებაში ესვრის სანადირო თოფიდან.

— ბიძაჩემო არ მოგეკალა და მთელი ქონება წაგეღო, — ამოიკვნესა ამბაკომ და იქვე დაეცა უსულოთ.

ივანე მაკალათია დააპატიმრეს. მისი საქმე გაირჩა სენაკში დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ ე. როდონაიას თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ი. მაკალათიას მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

გასამართლებას დიდძალი გლეხობა დაესწრო.

ჟ.

თავხედი ქმარი

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ბრალდებულს, ივანე ბაკურაძეს.

ბრალდებული: მოსამართლენო, გთხოვთ კარგათ დაუკვირდეთ ჩემს მიერ ნათქვამს. მე მუხლობრივად შევეხები ბრალდების თვითეულ ნაწილს. მართალია, რომ ჩემს ცოლს სილა გავარტყი, მაგრამ ვამტკიცებ, რომ ეს მას არ სტკენია. სასამართლოს უნდა მოვახსენო, რომ ჩემმა ცოლმა ამის შემდეგ ქვა დამარტყა თავში. იმედი მაქვს სასამართლო არ გამოიჩენს ცალმხრივობას და სათანადოთ შეაფასებს ჩემი მომჩივანის საქციელსაც.

მე მაბრალებენ, თითქოს ჩემს ცოლს პირსახოცი წაუჭირე ყელზე და ვაღრჩობდი. ეს მტკნარი სიცრუეა.

გახა დაეჯერება იმ მოწმეს, რომელიც ლაპარაკობს:

— ჩემი თვალით ვნახე, რომ ბაკურაძის ცოლს კელზე წანაჭერი ეტყობოდაო.

ამრიგათ, მოსამართლენო, განაგრძობს ბრალდებული, — ცემით ორივემ ვსცემეთ ერთმანეთს. მე ვამტკიცებ, რომ უფრო მეტი მე მომხვდა და რატომ უნდა დავისაჯო მარტო მე.

სასამართლომ ამხ. ი. ალანიას თავმჯდომარეობით არ მიიღო მხედველობაში ბაკურაძის „განმარტებები" და ცოლის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მიუსაჯა ერთი თვით დაპატიმრება.

დ.

ზამფლანგველი

მოქ. რუბენ მღებროვი საზოგადოება „ტრანსპორტ"-ის შიკრიკი იყო.

იგი თავიდანვე ოცნებობდა გაფლანგვაზე, მაგრამ მას 25—50 მანეთზე მეტი ხელში არასოდეს არ უვარდებოდა და ასე მცირე თანხის გაფლანგვას ხომ ვერ „იკადრებდა". უკანასკნელად მოთმინების ფიალა აევსო მღებროვს:

— არა, მეტს ვეღარ მოვითმენ, — სთქვა მან.

ერთ დღეს მღებროვი ცალიერი ჯიბით მიადგა „ტრანსპორტ"-ის კანტორას.

— რაშია საქმე! — ჰკითხეს მას.

— ფული შემომეფლანგა, მიშველეთ რამე— მოკლე ხანში გადავიხდი, — ამბობდა იგი და კაკკალებდა...

მოახდინეს რევიზია და აღმოჩნდა, რომ მას 115 მანეთი გაუფლანგია და თანაც ყალბი საბუთებიც შეუდგენია.

დააპატიმრეს შიკრიკი და უკრეს თავი გამასწორებელ სახლში.

მღებროვის საქმე გუშინ გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში მ. ლაზიშვილის თავმჯდომარეობით.

საბრალმდებლო სკამზე წელში მოხრილი იჯდა მღებროვი...

— მიშველეთ ამხანაგო მოსამართლენო! მაპატიეთ ეს ერთი (!) დანაშაული, ჩემს სიცოცხლეში არაფერი გამიფლანგავს! ასე ევედრებოდა სასამართლოს მოქ. მღებროვი.

სასამართლოში გამოირკვა, რომ მღებროვს გაფლანგვისათვის გურჯაანის სასამართლოს შიერ მისჯილი ჰქონია სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მღებროვს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ მას მისჯილი ჰქონია სამი წლით დაპატიმრება, სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის ძალით მოსახდელათ დაუტოვა უმაღლესი სასჯელი, ე. ი. სამი წლით გამასახლში დაპატიმრება.

თ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 13 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ნაცვლიშვილი შალიკო, მანუჩაროვ მარიამ, ლეიზინ მიხეილ.

მშენებელ მუშათა მე-5-ე სექცია: გუდაძე დავითი, არშაკუნი იაგორა.

რკინის გზის მე-7-ე სექცია: მაისეევა ალექსანდრა, ადამოვიჩი ვეჩესკი, ფერანსკაია ტატიანა, ჯიჯოვეი არსენი; დემეტროვი ადამი,, გამცემლიძე ელენა.

სპორტი

ველო - შეჯიბრი

უკანასკნელი ველო - შეჯიბრი, რომელიც გაიმართა თბილისის ველოდრომზე კვირას, 11 სექტემბერს, განსაკუთრებით საინტერესო იყო.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ყველა ველო - სპორტსმენებმა; მათ შორის ყველაზე უკეთეს სიმარდეს მიაღწია **გ. რუდენკომ,** რომელმაც მანძილი (200 მეტრი) დაფარა 17,1 წამში, რაც რეკორდათ ითვლება ამ სეზონში. მეორე ადგილზე გამოვიდა **პ. ხესლავიანი,** რომელმაც მანძილი დაფარა — 17,85 წამში და მესამე ადგილზე — **ფირსოვი და გრიგორიანი,** რომლებმაც მანძილი გაიარეს — 18,1 წამში (თითომ).

შემდეგ გაიმართა შეჯიბრი წრის შემოვლაში მე-3 კლასის ველო-სპორტსმენისტებისათვის დისტანციად დაწესებული იყო 1 კილომეტრი. ამ შეჯიბრში **ანტოშვილმა** მოუგო **ზაკალოვს** და **ხაჩატუროვს,** — დისტანციის 2 წ. 20 წამით დაფარვით. შემდეგ **გრიგორიანი** უგებს **ჟუკოვსკის და ჯანპოლადოვს** (დისტანცია დაფარულ იქნა 2 წ. 5 წამში) და იგივე უგებს **ნესტოროვს და სტეფანოვს,** დისტანციის 2 წ. 25 წამში დაფარვით.

კვირას პირველად ამ სეზონში გამოვიდა **კალანდარაშვილი,** რომელიც ეჯიბრება ფირსოვს, მაგრამ გამარჯვებული გამოდის უკანასკნელი, რომელიც ფარავს დისტანციას 3 წ. და 56 წამში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია **რუდენკოს და ლისკუტკინის** შეჯიბრმა. ისინი წყნარად დაიძრნენ ადგილიდან და ორჯერ შემოუარეს წრეს. უეცრად ლისკუტკინმა გაუსწრო მოწინააღმდეგეს. რუდენკო არ უშვებს მომენტს, მოხერხებულად ხელთ იგდებს ინიციატივას,უკანასკნელ ვირაჟში უვლის თავის მოწინააღმდეგეს და პირველი მიდის ფინიშთან. დისტანცია დაფარულ იქნა 3 წ. 57 წამში.

წრის შემოვლის შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე **სესლავინმა, წვერიანოვმა და ჯანპოლადოვმა.** აქ გამარჯვებული გამოვიდა ჯანპოლადოვი, რომელმაც 200 მეტრის მანძილი გაიარა 22,1 წამში.

წრის სტაიერულ პირველ შემოვლაში (მოტოციკლეტების უკან რბენა) **წვერიანოვმა** მოუგო **ტატინიანცს,** ხოლო მეორე შემოვლაში **მიკირტუმოვმა** მოუგო **რუდენკოს.** ეს უკანასკნელი მეექვსე შემოვლის შემდეგ გამოვიდა წრიდან. მიკირტუმოვმა 3 კილომეტრი გაიარა 6 წ. და 14 წამში.

მსაჯებად ისხდნენ **მარკევიჩი** და **მარდიაშვილი.**

სან.

მეცნიერება და ტექნიკა

ტვინის პულსის გამოკვლევა

როგორც ვიცით, ტვინის ცოტათ თუ ბევრად გაძლიერებული მუშაობა დაკავშირებულია ტვინში სისხლის მოქცევასთან. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ტვინის გაძლიერებული მუშაობის პირობებში, ტვინის არტერიების გავსება სისხლით უნდა გაიზრდეს სისხლისადმი ჩვეულებრივ პირობებში. ფრანგმა მეცნიერმა **ტინელმა** მოახერხა ამ აზრის შემოწმება ცდის გზით ავადმყოფზე, რომელსაც აცლილი ჰქონდა თავის ქალის ძვლის ნაწილი. ამ ცდამ დაამტკიცა, რომ ტვინის სისხლისადმი მილები რეაქცია ძლიერ აღგზნებაზე (შიში, სიხარული და სხვ.) არაფრით არ განირჩევა სხვა შინაგან ორგანოების რეაქციისაგან ასეთივე შემთხვევებში, ე. ი. ტვინის სისხლისადმი მილები ამგვარ შემთხვევებში ფართოვდება.

კუპრონიკელინი — მომავლის ლითონი

ლითონის მრეწველობის ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა — სპილენძ - ნიკელის ნადნობი—სრული გადატრიალების მოხდენას უქადის ლითონებს, როგორც მასალას ამა თუ იმ საგნების დასამზადებლათ.

უცხოეთის და საბჭოთა კავშირის მრავალი ლითონის ლაბორატორიები დაინტერესდნენ „კუპრონიკელინით" — ასე იწოდება სპილენძისა და რკალის ნადნობს. მრავალრიცხოვან გამოკვლევებისა და ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ნიკელის მცირეოდენი რაოდენობის ჩარევაც კი ცვლის ლითონის თვისებებს.

ავტორიტეტიან სპეციალისტები უწინასწარმეტყველებენ კუპრონიკელინს ფართე გამოყენებას ელექტრო - ტექნიკაში, ქიმიური აპარატების დამზადებაში, ორთქლმავლების აღმშენებლობაში.

კუპრო - ნიკელინს უწოდებენ „მომავლის ლითონს".

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 73

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან 204, 205, 206, 207, 208, 209 მუხ. და 210 მუხ. „ა" და „ბ" პუნქტების ამოღების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოიშალოს 204, 205, 206, 207, 208, 209 მუხ. და 210 მუხ. „ა" და „ბ" პუნქტები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. სექტემბრის 5.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან სტატისტიკური საგეგმო კომისიის დაარსების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოსთან მოეწყოს მუდმივი სტატისტიკური საგეგმო კომისია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით.

სტატისტიკურ საგეგმო კომისიას დაეკისრება.

ა) შეადგინოს სტატისტიკურ სამუშაოთა საერთო რესპუბლიკანური გეგმა და თვალყური ადევნოს ამ გეგმის შესრულებას;

ბ) დაამტკიცოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებების მიერ და აგრეთვე რესპუბლიკანური-მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სტატისტიკური მასალის შეკრებისა და შემუშავების წესი და პროგრამა;

გ) დაამტკიცოს იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა, რასაც აწარმოებს მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპ., ავტონომიური აჭარისტანის სოც. საბჭ. რესპ. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სამუშაო საერთო რესპუბლიკური გეგმით გათვალისწინებული არ არის;

დ) შეიმუშაოს ყოველგვარი სტატისტიკური ოპერაციის მეთოლოგიური საკითხები;

ე) განიხილოს იმ სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა, რასაც საქართველოს ცენტ. სტატისტ. სამმართველოს სექტორები აწარმოებენ და მისცეს დასკვნა ამ პროგრამისა და გეგმის შესახებ;

ვ) განიხილოს სტატისტიკურ ორგანოთა ანგარიშები გეგმით დაკისრებულ სტატისტიკურ სამუშაოთა შესრულების შესახებ;

ზ) შეიმუშაოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ბალანსისა, დინამიკისა და კონიუქტურის შესასწავლად საჭირო სამუშაოთა მეთოლოგიისა და ორგანიზაციის საკითხებში;

თ) შეადგინოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთლიანი ბალანსი და აგრეთვე სახალხო მეურნეობის დინამიკისა და კონიუქტურის დარგ" წარმოებულ სტატისტიკურ სამუშაოთა ჯამლები;

ი) თვალყური ადევნოს სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმის შესრულებას და აგრეთვე განიხილოს ხოლმე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის სტატისტიკურ ორგანოთა საანგარიშო ცნობები იმავე გეგმის შესრულების საქმეში;

კ) შეიმუშაოს სტატისტიკურ სამუშაოთა საერთო რესპუბლიკური პერსპექტიული გეგმა სახალხო მეურნეობის პერსპექტიული გეგმის მიხედვით.

2. რადგანაც მეთოდოლოგიის საკითხების შემუშავება ამა დადგენილების ძალით სტატისტიკურ საგეგმო კომისიას დაეკისრა, — საქართველოს ცენტრ. სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო - სამეთოდოლოგიო კოლეგია გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი
ს. სტეფანოვი.

1927 წ. აგვისტოს 20.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული დახმარება

საჩამია-სერის მცხოვრებ ი. ალ. ჭუასელს

პასუხი

თქვენი შეკითხვა იმდენად ბუნდოვანია და გაუგებარი, რომ არ შეიძლება გამოვარკვიოთ მიწა იჯარით გაქვთ აღებული თუ ისე სარგებლობთ, ამიტომაც პასუხს ვერ მიიღებთ. თუ გაინტერესებთ პასუხი, მოგვეცით გარკვეული და სწორი კითხვა.

სადგ. აბაშის მუშას ლ. გოგიას

პასუხი

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ თქვენ გაიღოთ ალიმენტი თქვენი შვილის სასარგებლოდ, კანონიერია და თქვენ გადაიხდით მას მანამდე, ვიდრე თქვენი შვილი სრული წლოვანი გახდებოდეს (ე. ი. მანამდის მას შეუსრულდება 18 წელი).

გიორგი გაჩეჩილაძე

პასუხი

მიწის კოდექსის მე-40 მუხლისა და მის შენიშვნის თანახმად, კორწინებით ან გარეშე პირის მეკომურად მიღების წესით კომლში შესულ პირს იგივე უფლება აქვს კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, რაც ძირითად წევრს დაეკარგება სხვა კომლში მიწის სარგებლობის უფლება. თუ თქვენი დედინაცვალი წავა თავის მშობლებთან მუდმივად საცხოვრებლად და თავის მშობლების კომლის წევრი გახდება, მაშინ ის თქვენი კომლიდან ვერაფერს მიიღებს და თუ ის დარჩება თავის ქმრის ოჯახში, მაშინ იგი ისეთივე კანონიერი წევრია თქვენი საერთო ოჯახის, როგორც თქვენ და თავის წილს საერთო ქონებისას მიიღებს თქვენთან თანასწორად.

პარტიული ცხოვრება

სოფლისა და ქალაქის კავშირის თბილისის საბჭოს ორგინ სექციის სხდომა შესდგება დღეს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის [illegible] რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალ კლუბის შენობაში შესდგება 1927—28 წლის მოწვევის ახალ დელეგატ-ქალების არჩევნები.

აუცილებელია შემდეგ წარმოების თანამშრომელ ქალთა დასწრება. პოლიგრაფტრესტის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სტამბების, თბილისის აღმასკომის პირველი და მეორე სტამბების, კრასნი ვოსტოკ"-ის სტამბის, „ზარია ვოსტოკა"-ს და პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიის.

საქ. რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრთათვის — სავალდებულოა.

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება აცხადებს, რომ განათლების განყოფილების თბილისის და მისი მაზრის სკოლებში ახლად დანიშნული მასწავლებლები-კომუნისტები უნდა გამოცხადდნენ განყოფილებაში (აღმასკომის შენობა, ოთახი № 333) კრებებზე დასასწრებლად სამშაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე.

სამუდამოთ გულდათუთქული მამა მიხეილ სამსონის ძე და დედა მაწაწი (ნინო) ნესტორის ასული ხარაძე, ბიძები ნიკოლოზ, ვარლამ და იონა ხარაძეები და ანდრო და გიორგი კალანდაძეები, დეიდა თამარ კალანდაძე, ბაბუები: სამსონ ხარაძე და ნესტორ კალანდაძე, დიდედა კეკელა და მამიდა ვერა ხარაძეები ამით აუწყებენ თავიანთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ ქამს თვალ წინ მდგომი პაწაწინა

ნოდარი (კვინტრიშა)

გამოსვენება დღეს, სამშაბათს, 4 საათზე შტაბის ქ. № 2, დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

მე-23 შრომის სკოლის მასწავლებლები და მოწაფეები, დამწუხრებულნი კარგი მასწავლებლის და ამხანაგის

ელისო გიორგის ასული გონჯილაშვ ლის

უდროოთ დაკარგვით, სთხოვენ პატივისმცემელთ, ნათესავთ და ნაცნობთ შეიკრიბონ მის საფლავზე 14 სექტემბერს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე. 3827

ამ.-კავ. რკ. გზ. საშემოსავლო ნაწილის სატვირთო განყოფილების თანამშრომლები აუწყებენ ნათესავებს, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 11 ენკენისთვეს აგარაკ ცემში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე, ენერგიული ახალგაზრდა

შალიკო ერასტის-ძე ხაინდრავა

გამოსვენების დღე იქნება ცალკე გამოცხადებული. 3828

თავზარდაკემული და გაუბედურებული დედა ქეთევან, დები: მარო, თამარა, ოლღა, სიძეები: ივანე ბუაჩიძე და ივანე მეიფარიანი, დისშვილები: პატარა ნოდარი და ლამარა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 9 სექტემბერს ცემში გარდაიცვალა მათი საყვარელი და ძვირფასი

შალვა ერისტოს-ძე ხაინდრავა

1—1

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის შორაპნის სამადგილკომი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამავე ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ.

კონსტანტინე ნესტორის-ძე სუთიძის

უდროოთ გარდაცვალების გამო. ნის. 1647

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო (არტოს ბაღში).

0—11 ნ. 1388

დიდი წარმატ. გამო გრძელდება მხატვრული კინო პიესის

ЖЕНЩИНА ГОСТИННЫХ

ჩვენება. მთავ. როლში კონრად ვეიდტი და ემილ იანინგსი.

ანონსი: ამ დღეებში „სისხლიანი კვირა" (9 იანვარი)

პირველად თბილისში, ისტორიული კინო-დრამა 8 ნაწ.

„ვოლგის მეამბოხენი"

მთ. როლ. იონა ტალანოვი და გოდლევსკაია

მონოპოლურად, მხოლოდ ჩვენს ეკრანზე, მხატვრული კინო-პიესა

„ქ ა რ ი"

მთ, როლ. სალტიკოვი, პოდლესნაია

ანონსი: მალე არაჩვეულებრივი სურათი „დედამიწის მეექვსედი ნაწილი" და „სამი ეპოქა".

საკანცელარიო ნივთების და საწერ ქაღალდის

დამზადება—ვაჭრობა

„საწერ-კალამი"

თბილისი, პლეხანოვის პრ. 57, ტელ. 20—54.

მომავალ სეზონისათვის დამზადებულია დიდი რაოდენობით:

სხვადასხვა რვეულები, საკლასო ჟურნალები, საკანტორო და საკანცელარიო წიგნები, სხვადსხვანაირი ბლოკნოტები, ყოველგვარი ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები.

ფასები მაქსიმალურად დაკლებულია

საზოგადო ორგანიზაციებს წინანდელზე მეტ შეღავათიან პირობებში.

დაკვეთები მიიღება შემდეგ ადგილებში:

მთავარი კანტორა—პლეხანოვის პროსპ. № 57, ტელ. 20—51.
მაღაზია № 1—თავისუფლ. მოედ. № 7, ტელ. 14—95.
მაღაზია № 2—კ. მარქსის მოედ. № 3, ტელ. 3—00.
მაღაზია № 3—დახურული ბაზარი № 12, ტელ. 21—86.
ქუთაისის მაღაზიაში—„1905 წ. რევოლიუციის ქ. № 103, ტელ. 1—89.

12 სექტემბრიდან მაღაზია № 1 და 2-ში ვაჭრობა იწარმოებს განუწყვეტლივ დილიდან საღ. 7 საათამდე.

მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი—საწერ-კალამი.

ნ. 1641

განათლების კომისარიატი

საბუღალტრო კურსები № 2

ამით აცხადებს, რომ მეცადინეობა იწყება 1-ლ ოქტომბერს ბესიკის (ყოფ. დავითის) ქ. № 25 განცხადებების მიღება და ყოველგვარ ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე ნიკოლაძის (ყოფ. დუშეთის) ქ. № 19, 5—6 საათ.

კურსების გამგე: ი. ავალიშვილი

3—1 3829

ამით ვაცხადებ მოქალაქეთა საყურადღებოთ

რომ ქალ. ჭიათურაში ლენინის ქუჩაზე რკინის გზის მახლობლად სახლში № 18 გახსნილი არის

სასტუმრო **„ფრანცია"**

ოთახები მოწყობილია სუფთათ.

ვანო ბარათაშვილი

3826

საზაფხულო კინო **„აპოლო"** (ბაღი „არტო")

მონოპოლიურად მხოლოდ ჩვენ ეკრანზე მხატვრული კინო-პიესა

ქა რი

მთავ. როლ. სალტიკოვი, პოდლესნაია

რეჟის. შეფფერის დადგმა

იშვიათი წარმატება ყველგან

კინოს ბილეთის შემძენნი არ იხდიან ბაღში შესასვლელ ფასს

ნ. 1645

თბ. აღმასკომის საფინ. განყოფილება

აცნობებს ქ. თბილისის მოქალაქეთ, რომ ამ მიმდინარე სექტემბრის თვის 14 რიცხვიდან გახსნილი იქნება სიონის ქუჩაზე, სახლი № 1-ში

შემოსავალ გასავლის სალაროს განყოფილება

რომელიც აწარმოებს მიღებას ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებისას და აგრეთვე სავაჭრო სამრეწველო პატენტების გაცემას.

2—1 ნ. 1639 აღმასკომის საფინგანი

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 15 სექტემბერს 1927 წ. დილის 12 საათზე სახლში ალავერდოვის ქუჩ. ძვლის ქარხანაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ სტეფანოვის მოძრავ ქონებას: რომელიც შესდგება ცხენებისა და სხვ. შეფასებულს 350 მან., „შინამრეწველკრედიტის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტემბერს 1927 წ. თარიღით, № 4164 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1646

თბ. აღმასკომის კეთილ-მოწყობი ქ განყოფილება

ა. წ. 17 სექტემბერს, დილის 12 საათზე, ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

ლენინის ქ. № 3 სახლის (ყოფ. მელიქ. აზარიანცის) ცენტრალურ გათბობის კაპიტალურ შეკეთებაზე, რომელ საათისათვისაც მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დაბეჭდილი კონვერტები, თავიანთი წინადადებებით, დაბეჭრილო სალერბო გადასახადით და ქვითარით 10 % აღმასკომის სალაროში შეტანის შესახებ.

ყოველივე ცნობების (კონდიციები და პირობები) მიღება შეიძლება კეთილ-მომწყობ ქ | განყოფილების კანცელიარიაში, ოთახი № 338.

ქ | განყოფ. გამგის მოადგილე
ნ. 1633. მთავარი ინჟინერი ქურდიანი.

ამ.-კავ. რკ. გზათა გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 21 სექტემბერს, დილის 10 საათზე,

თბილისის სალიკვიდაციო საწყობში

(გორის ქ. № 34, რკინისგზის რაიონი) მოხდება ამ.-კავ. რკინის გზების სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ ტვირთებისა და ბარგის

აუქციონით გაყიდვა

პირველ ვაჭრობიდან გაუყიდავათ დარჩენილ ტვირთების საჯაროთ გაყიდვის დროს გამოაცხადებს ვაჭრობის მწარმოებელი კომისია.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამსახურის დროს თბილისის სალიკვიდაციო საწყობში, ხოლო ვაჭრობის დღეს—მის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 1643

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს 1927 წ. დილის 11 საათზე სახლში № 4, გალავანის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქსენია და სხვა ივანოვების მოძრავ ქონებას: ძროხების—შეფასებულს 400 მანეთად იაკუბჩიკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 20 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 2628. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3813

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში წულუკიძის ქუჩაზე სახლი № 8, დანიშნულია 16 სექტემბერს 1927 წ. დილის 10 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა იაგორ და ქრისტინე ბარკალაიების ოჯახის ავეჯეულობისა: ბუფეტის და სატახისამოსე შკაფების, მაგიდების, სკამების, სამოვრის, სარკეების, პირსაბანის და სხვა, შეფასებულის 154 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან პლატონ ეჯიბიას ფულების ძიების დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1642

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის უწყებაში მყოფი

ადმინისტრატიულ ტეხნიკის სახელმწიფო

კურსები

მომზადება და გადამზადება მოანგარიშე მუშაკთა

ქართულ და რუსულ **საბუღალტრო სექტორის** განყოფილებებზე დაიწყო მსმენელთა მიღება.

საგნები: 1) საერთო და 2) სპეციალური-მეურნეობის და მმართველობის უმთავრესი დარგების მიხედვით.

ანგარიშთ წარმოების რაციონალური ორგანიზაცია

უკანასკნელი დროის სისტემები და ფორმები ანგარიშისა.

დაწვრილებით (ცნობების მიღება და აგრეთვე მსმენელთა ჩაწერა სწარმოებს ყოველდღიურად საღ. 7—9 საათამდე, ა.-კ. ორგშენის შენობაში აღმასკომის ქუჩა № 2 (ყოფილ სოლოლაკის). ნ. 1640 3—1

ამწყობი

დ. სანინაძე

იღებს შეკეთებას როიალის და პიანინოს ასაწყობად და შესაკეთებლად. მისამართი: მოსკოვის ქ. № 34—1 უბ.

3823

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

სხივებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ღებულობს მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილით 7 ს-დან 11 ს-მდე, საღასოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე

როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.

კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა თბილისში.

ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი **მებრაგიანცი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ძილტაგების, ფილტვის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი

გ. ი. მირიანაშვილი

შინაგანი სნეულებანი

მიღება დილის 8—10

ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 158695 გაცემული ქ. ქუთაისის მეტყევეთა კავშირის მიერ გაბრიელ ალექსანდრესძე დათეშაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1642

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გაცემული „მმაჩ"-ის მიერ 1921 წ. საღლამე ალექსანდრეს ასული ყანჩელის სახელზე, ჩ. გ. 3820

დაკარგა პარტკანდიდატო ბარათი № 13985 მიცემული ლენინის სამაზრკომიდან გედეონ ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 3826

დაკარგა პარტიული ბილეთი № 0849672 ალექსანდრე ივანესძე ბუჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3825

დაკარგა პირადობის უვადო მოწმობა გაცემული სოფ. სხვიტიდან (რაჭის მაზრა) გიო დომენტისძე და ვლიანის სახელზე, ჩ. გ. 3824

დაკარგა პარტ-კანდიდატის ბილეთი № 18194, ა. ლ. კ. კ. მოწმობა № 6803 იარაღის მოწმობა № 55906 | 1196, ლიტერი 100 პროცენტიანი და შუამდგომლობა განათლების კომისარიატში, შკოლაში მიღების შესახებ მაზრაღმასკომის მიერ მოცემული მიხეილ გიორგისძე ხერგიანის სახელზე, ჩ. გ. 3822

დაკარგა პირადობის და იარაღის მოწმობები მოცემული ერწოს აღმასკომის მიერ აჯი ხუდოევის სახელზე, ჩ.გ. 3830

აღმასკომის სტამბა, კამ